

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

რომანული ფილოლოგია

ლია ყავლაშვილი

**ფრანგული ენის ბელგიური ვერსიის ჩამოყალიბების
ევოლუციური პერსპექტივები და ტენდენციები
(სტანდარტულ ფრანგულთან შეპირისპირებით)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის
დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი: ციური ახვლედიანი



2 0 0 9

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----	4
თავი I: ენობრივი სიტუაციის ევოლუცია ბელგიაში -----	11
1. რომანულ-გერმანიკული ენობრივი საზღვარი ბელგიის ტერიტორიაზე. -----	11
2. ფრანგული ენის გენეზისი ბელგიაში. -----	17
3. ენობრივი სიტუაციის ევოლუცია ბრიუსელში. -----	28
თავი II. ვალონური დიალექტის როლი ბელგიური ფრანგულის ფორმირებაში -----	36
1. ბელგიური ფრანგულის ვალონური დიალექტები. -----	40
2. ვალონური დიალექტის წერილობითი ფორმა. -----	53
3. რომანული ბელგიის დიალექტური ლიტერატურა. -----	67
თავი III. ბელგიური ფრანგულის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი. -----	77
1. ბელგიური ფრანგულის ფონეტიკური თავისებურებანი.-----	79
2. ბელგიური ფრანგულის გრამატიკული თავისებურებანი. -----	95
3. ბელგიური ფრანგულის ლექსიკური თავისებურებანი. -----	105
თავი IV. ფრანგული ენა თანამედროვე ბელგიაში -----	123
1. ლინგვისტური პოლიტიკა ბელგიის დამოუკიდებელ სახელმწიფოში-----	123
2. ფრანგული ენის დაცვისა და გამოყენების საკითხისათვის თანამედროვე ბელგიაში -----	130
დასკვნა -----	140
გამოყენებული ლიტერატურა -----	147

ინტერნეტ რესურსები -----	159
დანართი 1 -----	160
დანართი 2 -----	161
დანართი 3 -----	162
დანართი 4 -----	163
დანართი 5 -----	164
დანართი 6 ბელგიციზმების ლექსიკონი -----	165

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ფრანგული ენის ბელგიური ვარიანტი, რომელსაც “ბელგიური ფრანგული” ეწოდება, არის ბელგიაში გამოყენებული ფრანგული ენა, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ცალკეული სახესხვაობებით ხასიათდება.

“ბელგიური ფრანგულის” განმარტებასთან ერთად საჭიროა განვმარტოთ ცნება “საფრანგეთის ფრანგული”. «საფრანგეთის ფრანგული» ეწოდება საყოველთაოდ აღიარებულ ფრანგულს, რომელიც საფრანგეთის ფარგლებში ყველა ფრანგის მიერ გამოიყენება.

ბელგიური ფრანგული (FB) მიხნეულია საფრანგეთის ფრანგულის (FF) ერთგვარ «დანამატად». მეცნიერთა აზრით, ბელგიაში დამკვიდრებული ფრანგული განისაზღვრება შემდეგი ფორმულით: «სტანდარტულ» ფრანგულს + ბელგიციზმი (français «standard» + belgicisme).

XVII-XVIII საუკუნეებში, მაშინ როცა ბელგია ჯერ კიდევ არ არსებობდა დღევანდელი ფორმით, ლინგვისტები დაინტერესდნენ სამხრეთ-ნიდერლანდების (Pays-Bas) კილოთა თავისებურებებით და დიდი შემოფოთება გამოხატეს როცა აღმოაჩინეს როგორ ზეგავლენას ახდენდა ფლამანდიური დიალექტი ფრანგულ ენაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი ნაშრომი შეიქმნა. ერთ-ერთ მათგანში 1778 წელს პირველად გამოიყენება ტერმინი “ფლანდრიციზმი” (flandricisme), 1806 წელს ანტუან ფიდელ პუაიარის (Antoine Fidèle Poyart) პუბლიკაციაში «Flandricismes, wallonismes et expressions impropres dans le langage français» («ფლანდრიციზმები, ვალონიზმები და ფრანგული მეტყველებისათვის უცხო გამონათქვამები»), ფლანდრიციზმის გვერდით ვხვდებით ახალ ტერმინს “ვალონიზმი” (wallonisme), ხოლო იგივე პუბლიკაციის 1811 წლის გამოცემაში გამოყენებულია ტერმინი “ბელგიციზმი” (belgicisme), რომელიც გამოხატავს ბელგიური ფრანგულის ლექსიკურ ფორმას.

მკვლევარ ფ.-ჟ. ოსმანის (F.J. Hausmann) (146) მოსაზრებით, ბელგიური ფრანგული წარმოადგენს ფრანგული ენის ერთ-ერთ ეროვნულ სახესხვაობას, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს რეგიონალურ ვარიანტებსა და დიალექტებს «Le français de Belgique constitue donc une variante nationale du français qui a elle-même ses

variantes régionales: le français parlé à Bruxelles n'est pas le même que celui parlé à Liège, Mons ou Charleroi; et dialectes: picard, wallon, liégeois, gommiais etc.». (146; 59).

ენა იცვლება სამი მთავარი მიმართულების მიხედვით, ესენია: სივრცე, საზოგადოება და დრო. ერთმანეთისგან განსხვავდება სხვადასხვა ტერიტორიაზე გამოყენებული ერთი და იგივე ენა, მაგალითად არლონისა და ტურნეს ფრანგული; სხვადასხვა სოციალური წრის მიერ გამოიყენება ენის სხვადასხვა სტილი, რადგან ბურჟუაზიის წარმომადგენლები არ შეტყვევდებიან ისე, როგორც დამახასიათებელია მუშებით დასახლებული გარეუბნებისათვის; ასევე განსხვავებას ვხვდებით დღევანდელ და ერთი საუკუნის წინ გამოყენებული ენის ფორმებს შორის. ამგვარად, ენა შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა კუთხით, გეოგრაფიული, ქრონოლოგიური და სოციალური ვარიაციის განსხვავებული ასპექტების თვალსაზრისით.

თითოეული ამ ფენომენის ვარიაცია საკმაოდ რთულია. ასე მაგალითად, თუ განვიხილავთ ენის სოციალური ვარიაციის ტიპს, იგი გვიჩვენებს, რომ ენა იცვლება ერთ არსებულ მომენტში და იგი წარმოდგენილია ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები არანაკლებ ორი განსხვავებული სოციალური ფენით. საზოგადოების ფუნქციურ გაყოფას, უპირველეს ყოვლისა, იწვევს გამოყენებული ენის ფიზიონომიური ცვლილებები, რადგანაც სხვადასხვა სტატუსის მქონე ადამიანები არ იყენებენ ერთი და იგივე ენობრივ რესურსებს.

შეუძლებელია ენის ევოლუციის აღწერა მისი ტერიტორიული გავრცელების გათვალისწინების გარეშე. დიდ ტერიტორიაზე გავრცელებულ ენებს ხშირად გააჩნიათ განვითარების ერთი ცენტრალური ნაწილი, რომლის პრესტიჟიც იმდენად დიდია, რომ იქ შემუშავებული ენობრივი სიახლე ვრცელდება მთელს ტერიტორიაზე, რომელსაც ეს ენა მოიცავს (ფრანგულის შემთხვევაში ეს ცენტრი, რა თქმა უნდა, პარიზია). ამ ინოვაციებს გარკვეული დრო სჭირდებათ მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად, ამიტომაც შესაძლოა ენის ყველაზე პერიფერიულ ზონებში გამოიყენებოდეს ისეთი ფორმები, რომლებიც მის ცენტრალურ ნაწილში უკვე ამოღებულია ხმარებიდან. ჩვენი კვლევის ფარგლებში, სადაც ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ფრანგული ენის ბელგიური ვარიანტის თავისებურებების წარმოჩენით და მათი განხილვით, ასეთი ტიპის არქაიზმად შეიძლება განვიხილოთ ფონემა [ǣ], რომელმაც პარიზულ ფრანგულში ადგილი დაუთმო ფონემას [ɛ], თუმცა იგი ჯერ ისევ გავრცელებულია ბელგიელ ფრანკოფონებში და შესაძლოა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იყოს

შენარჩუნებული ენის ცენტრალური რეგიონიდან მოშორებულ პერიფერიულ ნაწილში; ვალონიის ფრანგული ჯერ კიდევ იყენებს ცენტრალური ფრანგულის მიერ XVII საუკუნეში უარყოფილ განმასხვავებელ თავისებურებას მამრობითსა და მდედრობით სქესს შორის *ami-amie* (იგულისხმება მდედრობით სქესში ხმონის სიგრძე), ასევე ფშვინვიერ – *h-s*, რომელიც ლიეჟის ზონაში გამოიყენება (წარმოთქმის თვალსაზრისით) და სხვა მსგავს მაგალითებს; ასევე ისეთ ენობრივ ელემენტებს, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ რეგიონალური ფრანგულისათვის და არასოდეს ყოფილა ცნობილი ცენტრალური ზონისათვის.

აღსანიშნავია, რომ ენის განვითარების გეოგრაფიული და სოციალური მიმართულებები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მაგალითად, როცა ამბობენ რომ “საუკეთესო ფრანგულით” (*meilleur français*) საუბრობენ პარიზის მე-16 უბანში (*arrondissement XVI*), საზს უსვამენ ნორმას, რომელიც ერთდროულად გეოგრაფიულიცაა და სოციალურიც.

ასევე, ქრონოლოგიური და სოციალური მიმართულებებიც ურთიერთდამოკიდებულია. ისტორიის მანძილზე მომხდარი სოციალური ღირებულებების შეცვლამ შეიძლება წინა პლანზე წამოწიოს განსხვავებული ჯგუფები, რომლებიც ენის ახალ ფორმებს ქმნიან.

კვლევის მიზანი. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ფრანგული ენის ბელგიაში გავრცელებული ფორმის შეპირისპირება სტანდარტულ ფრანგულთან. იმ თავისებურებების გამოვლენა, რომლითაც ბელგიური ფრანგული უახლოვდება სტანდარტულ ფრანგულს ან პირიქით, განიცდის ადგილობრივი დიალექტების თუ მახლობელი გერმანიკული ენების გავლენას, რაც მას განასხვავებს საფრანგეთში გამოყენებული ფრანგული ენისაგან. ნაშრომში განვიხილეთ ფრანგული ენის ფორმირების საკითხი ბელგიაში და მისი ევოლუცია შექმნის დღიდან XX საუკუნის ბოლომდე.

თემის აქტუალობა. ბელგიაში ფრანგულ ენას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც საფრანგეთი მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომერციული პარტნიორია. ამასთანავე ამ ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებს მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა. ბელგიური ფრანგულის გამოყენების აქტუალობა განისაზღვრება იმით, რომ ფრანგული ენის ბელგიურ ვარიანტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცენტრალურ ფრანგულთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია იმით, რომ იგი ვალონური დიალექტის გავლენის შედეგად გამოირჩევა განსაკუთრებული თავისებურებებით.

ჩვენი დაინტერესება ბელგიური ფრანგული ენის ევოლუციის საკითხით გამოწვეულია იმით, რომ რეგიონალური ენის ისტორიული განვითარების განხილვისას განსაკუთრებულად გამოიკვეთება მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ თავისებურებებს განვიხილავთ და ვაჩვენებთ ბელგიის რეგიონალური ფრანგულის მსგავსებასა და განსხვავებას სტანდარტულ ფრანგულ ენასთან მიმართებაში, რაც ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს.

საკვლეპ მასალას წარმოადგენს:

- ა) ფრანგული ენის ადგილის განსაზღვრა ისტორიულ ბელგიაში;
- ბ) ლინგვისტური სიტუაციის განხილვა და ფრანგული ენის ადგილის განსაზღვრა თანამედროვე ბელგიაში;
- გ) რეგიონალური ფრანგული ენის ურთიერთობა რომანული ბელგიის ვალონური დიალექტის ზეპირ და წერილობით ფორმებთან და ვალონური ლიტერატურის მსგავსება და განსხვავება ფრანგულ სალიტერატურო ტრადიციებთან;
- დ) რეგიონალური ფრანგული ენის დამახასიათებელი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებების წარმოჩენა და მათი სხვაობა სტანდარტული ფრანგულის ენობრივ ფორმებთან.

დღესდღეობით ვალონიაში მყოფი შემთხვევითი მოგზაური ჩათვლის, რომ იქ გავრცელებულია ფრანგული ენა და ის ვერც კი შეამჩნევს სტანდარტული ფრანგულისგან განსხვავებულ ენობრივ ფორმებს. თუმცა ეს სიტუაცია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება 100 წლის წინანდელი ვალონური სიტუაციისაგან, გამოწვეულია 2 სახის ევოლუციით: ესაა ფრანგულის გავრცელება ვალონიის მთელს ტერიტორიაზე და რეგიონალური კილოების გავრცელების შეზღუდვა ამავე ტერიტორიაზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. წარმოდგენილი ნაშრომი პირველი ცდაა ფრანგული ენის ბელგიური ვარიანტი ქართულ ენაზე აღწეროს. თანამედროვე ბელგიური ფრანგულისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოსავლენად ჩავატარეთ ექსპერიმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა ბელგიელ ფრანკოფონებზე ლინგვისტური დაკვირვების საფუძველზე, ბელგიური რეგიონალური ფრანგულის სტანდარტული ფრანგულისაგან განმასხვავებელი ელემენტების გამოვლენას.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო სამოცდაათამდე ბელგიელმა ფრანკოფონმა, რომელთა ასაკიც მერყეობდა 16-65 წელს შორის. ისინი ბელგიის

სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები იყვნენ. ჩვენ 1 თვის განმავლობაში ვაკვირდებოდით მათ ყოველდღიურ მეტყველებას სხვადასხვა სოციალურ სფეროში. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ბელგიური ფრანგულისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ნიუანსები, რითაც იგი განსხვავდება სტანდარტული ფრანგულისაგან ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ დონეზე.

ჩვენ შევეცადეთ ერთგვარი ლექსიკონის სახე მიგვეცა ბელგიურ ფრანგულში დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულებისათვის, რომლებიც ლინგვისტიკაში ბელგიციზმების სახელითაა ცნობილი და იგი დანართის სახით დავურთეთ ნაშრომს, რაც ასევე პირველი მცდელობაა ქართულ რომანისტიკაში.

კვლევის მეთოდოლოგია. მოცემული ნაშრომი ტიპოლოგიური კვლევაა. კვლევის პროცესში ვიყენებთ შედარებით მეთოდს. ენის ვარიანტების დიაპაზონის დასადგენად ვყვრდებით როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს. ვითვალისწინებთ სოციოლინგვისტიკის, ლინგვისტური გეოგრაფიისა და დიალექტოლოგიის კვლევის შედეგებს.

წინამდებარე **ნაშრომის თეორიული დირექციები** მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვავლინეთ:

1. საფრანგეთში გავრცელებულ ფრანგულ ენასა და ფრანგული ენის ბელგიაში დამკვიდრებული ვარიანტს შორის არსებული მსგავსება და განსხვავება;

2. სტანდარტულ ფრანგულ ენასთან შედარების საფუძველზე განვიხილეთ ფრანგული ენის წარმოშობა და მისი ევოლუცია ბელგიაში, კერძოდ, თუ რა გზა გაიარა ბელგიურმა ფრანგულმა თავისი განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, რომლის დროსაც ამ უკანასკნელზე, ფრანგული ენის გვერდით, გავლენას ახდენდა მასთან ახლომდებარე გერმანიკული კილოკავებიც, რის შედეგადაც წარმოიშვა მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც ბელგიურ ფრანგულს განასხვავებენ სტანდარტულ ფრანგულში დამკვიდრებული ნორმებისაგან;

3. განვიხილეთ სტანდარტულ და ბელგიურ ფრანგულში არსებული ისეთი თავისებურებებიც, რომლებზეც გავლენა ვერ იქონია ტერიტორიულმა სიშორემ და რომლებიც იდენტურია სტანდარტულ ფრანგულ ენასა და ფრანგულის ბელგიურ ვარიანტში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს შემდეგში: მიღებული შედეგები შეიძლება გამოიყენებულ იქნას ფრანგული ენის ისტორიის, ფრანკოფონიის გეოგრაფიული არეალის, ფრანკოფონული ცივილიზაციის, ლექსიკოლოგიის, ფრაზეოლოგიის სასწავლო კურსებში. ასევე ნაშრომის შედეგებით შეიძლება ისარგებლონ აღნიშნული დისციპლინების პრობლემატიკით დაინტერესებულმა სპეციალისტებმა.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 146 ნაბეჭდ გვერდს და შედგება შესავლის, ოთხი თავის და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული და დამხმარე ლიტერატურის ნუსხა და დანართი.

შესავალში დასაბუთებულია თემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი, ძირითადი მიზნები, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. აღნიშნულია თემის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე.

I თავში განხილულია ენობრივი სიტუაციის ევოლუცია ბელგიაში, ფრანგული ენის გენეზისის საკითხი რეგიონში. დადგენილია რომანულ-გერმანიკული ენობრივი საზღვრები და შესწავლილია ენობრივი სიტუაცია ბრიუსელში. მოცემული თავის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ცვლილებების ტემპი და რაოდენობა გაცილებით დიდია უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში, ვიდრე მთელი მისი ისტორიის განვითარების მანძილზე.

II თავი ეთმობა ვალონური დიალექტის როლს ბელგიური ფრანგულის ჩამოყალიბებაში. ამ საკითხის გადასაჭრელად განხილულია ვალონური დიალექტები და მისი წერილობითი ფორმები. წარმოდგენილია რომანული ბელგიის დიალექტური ლიტერატურა, რომელიც ორი ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენას განიცდის: სტანდარტული ფრანგულის და რეგიონალურის. განხილულია სხვადასხვა ეპოქა, რომელთა გათვალისწინებითაც იცვლება ამ მიმართულებების გავლენა.

III თავში გაკეთებულია ემპირიული მასალის ლინგვისტური ანალიზი. შეპირისპირების ობიექტს წარმოადგენს ენობრივი ქვეტექსტები (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური). პირველი პარაგრაფი ეთმობა ბელგიური ფრანგულის ფონეტიკური თავისებურებების განხილვას, მეორე – გრამატიკულის, მესამე – ლექსიკურის.

IV თავი ეთმობა თანამედროვე ბელგიის ლინგვისტურ პოლიტიკას. ქვეყნის უკანასკნელი საუკუნის ლინგვისტური პოლიტიკა ქრონოლოგიურად 2

პერიოდად და დაყოფილი: 1970-1985 წლები და 1985 წლიდან დღემდე. პირველი პერიოდი ხასიათდება თავდაცვითი პოლიტიკით. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა "სპაკის დეკრეტი".

მეორე პერიოდი გამოირჩევა ფრანგული ენის საბჭოს შექმნით. ფრანგული ენის განმტკიცებას ბელგიაში ხელს უწყობს სამეცნიერო, ეკონომიკური და საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობა ქვეყანაში.

დასკვნაში შეჯამებულია კვლევის პროცესში მიღებული შედეგები და წარმოდგენილია შეპირისპირებითი ანალიზის ძირითადი დებულებები.

ენობრივი სიტუაციის ევოლუცია ბელგიაში

“ენა ესაა არა ერთი რომელიმე კლასის ქმნილება, არამედ ერთად აღებული მთელი საზოგადოების ძალისხმევის შედეგი. არც ერთი ერი არ არსებობს ენობრივი ერთიანობის გარეშე, ვინაიდან ენობრივი ერთიანობა ერის ნიშანდობლივი შტრიხია. ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოებაც კი ვერ იარსებებს ენობრივი ერთიანობის გარეშე, რადგანაც სხვადასხვა საზოგადოების წევრებს, რომლებიც ქმნიან ერთ ერს, ერთმანეთთან ურთიერთობისათვის აუცილებლად სჭირდებათ ერთი საეთო ენა. ამგვარად ენობრივი ერთიანობა ერთ-ერთია ერის მთავარ ნიშანთა შორის. ერი ესაა ისტორიული კატეგორია, რომლის განვითარებასაც თან ახლავს სახელმწიფო ენის შექმნა”. (180; 103).

ბელგიის სახელმწიფოს, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, დღესდღეობით სამი სახელმწიფო ენა გააჩნია: ფრანგული, ნიდერლანდური და გერმანული ენები.

1. რომანულ-გერმანიკული ენობრივი საზღვარი ბელგიის ტერიტორიაზე.

თანამედროვე ბელგიის სამივე სახელმწიფო ენა რომანულ-გერმანიკულ ენათა ოჯახის ჯგუფს მიეკუთვნება. თუმცა მათი წარმოშობისა და გავრცელების შესახებ მეტი ინფორმაციის ფლობისათვის ინტერესს მოკლებული არ არის ორიოდე სიტყვით გადმოცემთ ბელგიის ლინგვისტური ისტორია კელტების პერიოდიდან მოყოლებული, რაც დაახლოებით ჩვ. წ. აღ.-მდე 700 წლის წინ გალების გამოჩენით იწყება, რომლებიც ერთი საუკუნის შემდეგ დაიპყრეს ბელგიკელებმა. ეს უკანასკნელნი იყვნენ გერმანიკული წარმოშობის ტომები და ნაწილობრივ გერმანიზებული კელტური ენის წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი ენის კვალი დატოვეს ბელგიურ ტოპონიმიაზე, სადაც რამდენიმე კარგად ცნობილი ტერიტორიის სახელწოდება კელტური წარმოშობისაა. ასე მაგალითად: არლონი (Arlon), დინანი (Dinant), ვიზე (Vise).

ჩვ. წ. აღ.-მდე 57 წელს, ჩრდილოეთ გალიის დაპყრობისას, იულიუს კეისარს ეს ტერიტორია კელტებთან ერთად გერმანიკული ტომებითაც დახვდა დასახლებული. ეს უკანასკნელნი ჩრდილოეთ გალიაში დამკვიდრდნენენ ჯერ

კიდევ წინარე-რომაულ პერიოდში. იულიუს კეისარმა შეძლო ამ ტომების დამორჩილება და აღნიშნული ტერიტორია გახდა რომაული პროვინცია (Provincia Romana), რის შედეგადაც ჩრდილოეთ გალიის სამხრეთ ნაწილმა განიცადა რომანიზაცია, მაშინ როცა მისი ჩრდილოეთ ნახევარი კვლავ გერმანულენოვანი დარჩა.

ჩრდილოეთ გალიის ტერიტორიაზე რომანიზაციის შედეგად მომხდარმა მსგავსმა ენობრივმა გაყოფამ, გერმანიკულ და რომანულ ენებს შორის, გამოიწვია ის შედეგი, რასაც შეიძლება ენობრივი საზღვრის წარმოქმნის პირველი მონახაზი ვუწოდოთ.

ბელგიის ლინგვისტური ისტორიის განხილვისას ყველაზე თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ენობრივი და ადმინისტრაციული საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. საეპისკოპოსოების შექმნა, 843 წელს ფრანკთა იმპერიის გაყოფა, ბელგიური პროვინციების ჩამოყალიბება – არც ერთი მათგანი არ ხდება ენობრივი დაჯგუფების მიხედვით.

ფლამანდიური ტოპონიმი გვიჩვენებს, რომ ეს რეგიონი თავიდანვე დასახლებული იყო ჰომოგენური, თვისობრივად ერთგვარი მოსახლეობით. იულიუს კეისრის მიერ დაპყრობილი ბელგიკელები ერთბაშად არ გამქრალან, მათ განიცადეს რომანიზაცია და ჩამოყალიბდნენ გალო-რომაელებად.

ვალონური ბრაბანის (Brabant) სრული რომანიზაციის თარიღად სახელდება მე-7 საუკუნე. თუმცა ლინგვისტ მარეშალის (A. Maréchal) (145) მიერ შედგენილ ცნობილ რუკაზე აღნიშნულია რომაული ბელგიის ისეთ ქალაქთა მდებარეობაც, რომლებიც II საუკუნის I ნახევრით თარიღდება, როცა რომაელების გავლენა თავის აპოგეას აღწევს. ამავე რუკაზე ვხვდებით რომაული ქალაქების დიდ უმრავლესობას ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, რომელიც წარმოდგენილია ტურნე (Tournai), ტონგრე (Tongres) და არლონის სამკუთხედით, რაც თანამედროვე ვალონიის რეგიონს შეესაბამება.

268–278 წლებში, ველურ დამპყრობელთა ძლიერი შემოსევის წინააღმდეგ რომაელებმა მიმართეს დამხმარე ძალებს, რომელიც წარმოდგენილი იყო მათ მფლობელობაში მყოფი სხვა ველური ტომებით. ამ უკანასკნელთ, გაწეული დახმარების სანაცვლოდ, გადაეცათ რომაელთა მფლობელობაში მყოფი გალო-რომაელებით დასახლებული მიწები, რამაც, რა თქმა უნდა, ამ ტომების რომანიზაცია გამოიწვია, თუმცა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები გალო-რომაელი

მოსახლეობა რომაელი დამპყრობლებისადმი კეთილადგანწყობილი ტომების გავლენის ქვეშ მოექცა.

IV–V საუკუნეებში, როცა რომაელთა ძალაუფლება ნელ-ნელა სუსტდება, გალიის ჩრდილოეთში (ლუარის მიმართულებით) თანდათან გერმანიკული ტომები მკვიდრდებიან.

გალიის ტერიტორიაზე მოგვიანებით გამოჩენილმა ფრანკებმა, ჯერ კიდევ რომის იმპერიის კეთილდღეობისას მოაწყვეს რამდენიმე თავდასხმა და დამკვიდრდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის. რომაელებსა და ფრანკებს შორის IV საუკუნეში დაწყებული ომები მანამდე გავრძელდა, ვიდრე სალინელი (Franc Salien) და რეინისპირა ფრანკები (Franc Rinuaine) შესაბამისად არ დაეპატრონენ გალიის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთს.

სალინელი ფრანკების კოლონიები უმეტესად ლუარის სამხრეთით და შარბონიერის ტყის (forêt Charbonnière, “charbonnière” — ნახშირის ხის საბადო) ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას იკავებდა. ისინი განთავსებული იყვნენ თანამედროვე ენობრივი საზღვრის ჩრდილოეთით, სადაც იმყოფებოდნენ კომპაქტურად დასახლებულ და მდიდარი ცივილიზაციის მქონე რომაელ მოსახლეობას შორის. დღესდღეობით არქეოლოგიური კვლევების შედეგად მტკიცდება ფრანკთა კოლონიების არსებობა ენობრივი საზღვრიდან საკმაოდ შორ მანძილზე, როგორც საფრანგეთის ჩრდილოეთით, ასევე ბელგიაშიც, რის შედეგადაც შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ზემოაღნიშნული ენობრივი საზღვარი არ წარმოადგენდა ფრანკთა კოლონიზაციის ზღვარს “Il ne faut donc pas considérer la frontière linguistique comme la limite méridionale de la colonisation franque”. (174; 17). ეს მოსაზრება, რომელიც ვალკოფს (M. Valkoff) ეკუთვნის, ერთგვარად ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ თეორიას იმის შესახებ, რომ ფრანკები მცირე რაოდენობით იყვნენ საფრანგეთის ჩრდილოეთით და რომ ენობრივი საზღვარი წარმოადგენდა ბუნებრივ საზღვარსაც.

ბელგიის ტერიტორიაზე რომანულ-გერმანიკული ენობრივი საზღვარი შეიქმნა X საუკუნეში და გამოირჩევა სტაბილურობით. თავდაპირველად ეს იყო დიალექტური საზღვარი, რომელიც გამოყოფდა, ერთი მხრივ, ქვემო გერმანიკული ოჯახის კილოებს (des parlers de la famille bas allemande) და მეორე მხრივ, d'oïl-ის ოჯახის ნეო-ლათინურ კილოებს (des parlers néo-latins de la famille d'oïl), კერძოდ, ვალონურს (wallon), (რომელიც მოიცავს რომანული ბელგიის თითქმის მთელ

ზონას), ასევე პიკარდიულს (picard), ლოტარინგულს (lorrain) და შამპანურს (champenois).

შუა საუკუნეების ბელგიაში არსებული ენობრივი საზღვარი, რომანულ და გერმანიკულ დიალექტებს შორის, დღესდღეობით წარმოადგენს სტანდარტულ ენათა საზღვარს ფრანგულ და ნიდერლანდურ ენებს შორის. თუმცა აღსანიშნავია, რომ, თავისი ისტორიული განვითარების ცალკეულ პერიოდში, ფრანგულს ფლანდრიულ მიწაზე გამოყენების სხვადასხვა ეტაპები გააჩნდა. ასე მაგალითად, XII საუკუნის ვალონიაში ფრანგულს უპირატესობას ანიჭებდნენ ლათინურთან მიმართებაში და გამოიყენებდნენ სხვადასხვა აქტებსა და წესდებებში. ეს ცვლილება აღწევს ფლანდრიის საგრაფოსა და ბრაბანის საჰერცოგოშიც, ასევე ბრიუსელშიც, სადაც ფრანგული გარკვეულ გავრცელებას პოულობს. არსებული სიტუაცია იცვლება XIV საუკუნეში, როცა ბელგიაში ფრანგულს უჩნდება 2 კონკურენტი: გერმანიკული დიალექტები არსებული საზღვრის ჩრდილოეთით და რომანული დიალექტები – სამხრეთით. მათი შეჯერებით ფრანგული ენა იმარჯვებს პირველ შემთხვევაში, თუმცა არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდება – ვალონურ დიალექტებთან.

რომანულ და გერმანიკულ დიალექტებს შორის არსებულ ენობრივ საზღვარს, თავისი წარმოშობიდან დღემდე, დიდი ცვლილებები არ განუცდია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მის ისტორიულ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ XIX საუკუნეში ხდება. ბელგიაში ძველი რეჟიმის დროს სამთავროები და საეპისკოპოსოები ორენოვანი იყო, რაც არ ქმნიდა მწვავე პრობლემებს. მხოლოდ 1850 წელს ხდება ტერმინების “ფლანდრია” (Flandre) და “ვალონია” (Wallonie) გამოყენება იმ გეოგრაფიული მნიშვნელობით, რომელსაც ისინი დღესდღეობით ატარებენ — ორი განსხვავებული ლინგვისტური სფეროს შესაბამისი გეოგრაფიული ტერიტორია.

ენობრივი საზღვრის გრძელი და ცვალებადი ხაზი თითქმის ორად ყოფს თანამედროვე ბელგიას და მისი წარმოშობის პრობლემა მძიმე გამოცდის წინაშე აყენებს ისტორიკოსთა ცოდნასა და გამჭრიახობას. ის არ ემთხვევა არც ერთ ბუნებრივ გეოგრაფიულ და არანაირ ძველ თუ ამაჟამინდელ პოლიტიკურ საზღვარს. იგი სათავეს იღებს დანკერკიდან (Dunkerque) და დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიემართება მოსკრონის (Mouscron), რანექსის (Renaix), ანგენის (Enghien), ჰალეს (Hal) გავლით, ბრიუსელის სამხრეთით, შემდეგ კი – ლანდანის (Landen), გლონსის (Glons), მასტრიხტის (Maastricht) მიმართულებით ობელამდე

(Aubel), სადაც ის ქმნის სწორ კუთხეს და გზას განაგრძობს მალმედის (Malmédy), მარტელანჯის (Martellange), არლონის (Arlon) მამართულებით, რათა გაგრძელდეს საფრანგეთის ლოტარინგიაში. (იხ. დანართი N 1.). ენობრივი საზღვარი რომანულ სამფლობელოს ჩრდილოეთის მხრიდან გამოყოფს ნიდერლანდური (néerlandais) დიალექტებიდან, ხოლო აღმოსავლეთით – გერმანიკული (germaniques) დიალექტებისაგან.

ენობრივი საზღვრის წარმოქმნის მიზეზად სხვადასხვა თეორიები სახელდება. მეცნიერები ერთსულოვნად იზიარებდნენ იმ აზრს, რომ საზღვარი გაჩნდა ფრანკთა შემოსევების შედეგად, ხოლო ამის შემდეგ მეცნიერთა აზრი ორად იყოფოდა: ერთ ნაწილს მიიჩნევს (ვაუთერსი (A. Wauters)), რომ ფრანკების წინსვლა ხდებოდა რომაელების მიერ აშენებული სიმაგრეების გზით; მეორე ნაწილი კი თვლის, რომ IV საუკუნეში რომაელების მიერ შექმნილმა რომის იმპერიის პროვინციების საზღვრებმა ხელი შეუშალა ბარბაროსების წარმატებებს და შესაბამისად მათი ენის გავრცელებას ჩრდილოეთ გალიის მთელ ტერიტორიაზე. მეორე მოსაზრების მიმდევრები იყვნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიცაა: ვან ჰოუტე (Van Houtte), ვენდერუსი (Vandérus).

ენობრივი საზღვრის წარმოქმნის საკითხში ჩვენ ვიზიარებთ ჟისლინგის (M. Gyseling) (102) მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც თანამედროვე ბელგიის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ყველა ტომმა მნიშვნელოვანი გერმანიზაცია განიცადა დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე 50 წელს, რომლის კვალის მთლიანად წაშლა ოთხსაუკუნიანმა რომანიზაციამაც კი ვერ შეძლო. VI საუკუნეში მთელი ჩრდილოეთ გალია წარმოდგენილი იყო ლინგვისტურად შერეული ტერიტორიით, სადაც ენებს შორის “საზღვარი” არსებობდა მხოლოდ დასავლეთით, თანამედროვე პა-დე-კალეს (Pas-de-Calais) დეპარტამენტში და სამხრეთ-აღმოსავლეთით რეინის პროვინციაში, რომელიც შუაზე ყოფდა მდინარე მოზელის (Moselle) ხეობას, რომლის ნაწილიც რომანული გახდა.

VI-XII საუკუნეებში მომხდარ, ძირითადი ცვალებადობების განხილვის შედეგად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩრდილოეთის ზღვიდან ბრაბანამდე (Brabant) მდებარე ტერიტორიაზე რომანული კილოები ძლიერდებოდა. გერმანიკული გავლენიდან გათავისუფლების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ტურნეს (Tournai) და არასის (Arras) საეპისკოპოსოები. აღმოსავლეთით გაცილებით სტაბილური სიტუაცია იყო. X-XI საუკუნეებში რომანული

სამფლობელო კარგავდა ექს-ლა-შაპელის (Aix-la-Chapelle) გარშემო არსებულ ტერიტორიებს, მოზელის ხეობის მიმდებარე ტერიტორია დიდი ხნის განმავლობაში ორენოვანი იყო. მდინარე მეზზე (Meuse) გაშენებული ლიეჟი (Liège) გახდა რომანული ენის მნიშვნელოვანი ცენტრი. ჩრდილოეთის მიწების კოლონიზაციის შედეგად ხდება გერმანულის პოპულარიზაცია (თანამედროვე ფლამანდიური ბელგია), რაც ჩრდილოეთ გერმანული ტომების გავლენის შედეგი იყო. რაც შეეხება სალიჩელ ფრანკებს, ისინი განთავსდნენ შარბონიერების ტყესა და ლუარის ტერიტორიას შორის.

ენობრივი თვალსაზრისით, ქვეყნის სამხრეთის დიალექტებისა და ტოპონიმების ანალიზი ადასტურებს ფრანკების არსებობას ვალონიის ტერიტორიაზე, თუმცა რთულია მისი ზუსტი თარიღის დადგენა.

პირველ რიგში განვიხილოთ ფრანკული წარმოშობის ვალონური ტოპონიმები. ისინი სავარაუდოდ, თავდაპირველად წარმოებული იყვნენ ადგილთა სახელწოდებებიდან, მოგვიანებით კი, გვიან შუასაუკუნეებში მკვიდრდება ტოპონიმების შექმნის ტენდენცია შედგენილი სახელებისაგან. წყაროების, მდინარეების თუ მიწის ნაკვეთების სახელების წარმოება ხდება მაწარმოებელი სუფიქსების მეშვეობით, როგორებიცაა კერძოდ, დატივის მხოლობითი რიცხვის სუფიქსი “-ia” – რომელიც მოგვიანებით განიცდის ევოლუციას ლათინური აბლატივის “-io”-ს გავლენით და გადადის “-i”-ში; ასევე აკუზატივის – “-ium”. მაგ. Hug _ Huiium (VII ს.) – “კამკამა წყარო”; Reng _ Rinium (VIII ს.) მდინარე და ა.შ.

V-VI საუკუნეებში, ფრანკთა კოლონიზაციის შემდეგ ჩნდება “-iaca” სუფიქსიანი ტოპონიმები, რომლებიც იწარმოება გერმანული საკუთარი სახელებიდან: როსინიაკასი (Rociniacas), დოტინი (Dottignies) და ა.შ.

ასევე ფრანკთა კოლონიზაციის შედეგზე მეტყველებს “-ingum” სუფიქსით წარმოებული ტოპონიმები: ბასანჟი (Bassenge), ოლანჟი (Hollange) და ა.შ.

X საუკუნიდან შედგენილი სახელებით წარმოებული ტოპონიმების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება. მსგავსი ტოპონიმების ფორმა უმეტესად შედგება მსაზღვრელისა (determinant) და საზღვრულისაგან (determiné), სადაც ხშირად ვხვდებით შემდეგ საზღვრულებს: “-baki” (მდინარე, ნაკადული), “-berg” (მთა) “-burg” (სიმაგრე), “-dorp” (სოფელი), “-haim” (სახლი) “-lare” (თავისუფალი ადგილი) და ა.შ. მაგ. ობერგი (Oberge), ბიენი (Bienghe) და სხვები.

დაბოლოს, ტოპონიმთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომლებსაც ერთი შეხედვით არავითარი კავშირი არა აქვს ვალონიაში ფრანკთა გავლენასთან. ესენია გერმანული ტოპონიმების ე.წ. კალკირებული თარგმანები (traductions calquées) და მათი დეფორმაცია: ამბერლუ (Amberloup — de Ammberlao).

რომაელთა დროიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ბოლომდე ქვეყნის სამხრეთ ნაწილში შეიქმნა ფრანკული ტოპონიმები, რომლებიც გვხვდება ლათინური წარმოშობის მრავალრიცხოვანი ტოპონიმების გვერდით. ტოპონიმთა ამ ჯგუფს ემატება რამდენიმე კელტური წარმოშობის ტოპონიმი: დინანი (Dinant), დიზონი (Dison)... თუმცა ვალონიის ეს ტოპონიმები არაფერს გვეუბნება იმ ენის შესახებ, რომელზეც მეტყველებდნენ ამა თუ იმ ტოპონიმების გავრცელების ადგილებში და რომელთა სახელიც შედგება გერმანული კომპოზიციებისაგან, არც მათი შექმნის თარიღის შესახებ. ის მხოლოდ ამტკიცებს, რომ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ვალონიაში არსებობდა ფრანკთა მრავალი დაჯგუფება, რომლებმაც თავიანთი კვალი დატოვეს ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელწოდებებზე.

სწორედ რომაული მემკვიდრეობის, ასევე კელტური და გერმანიკული სუბსტრატის ყველაზე აშკარა და თვალშისაცემი კვალი ითვლება ვალონური ლინგვისტიკის განძად.

2. ფრანგული ენის გენეზისი ბელგიაში.

ფრანგული ენა, რომელიც ბელგიის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა, ეკუთვნის ენათა რომანულ ჯგუფს და სათავეს იღებს ლათინური ენისაგან. მისი ისტორია იწყება რომის იმპერიაში გალიის ინტეგრაციის შემდგომ, როდესაც ლათინური ენა დამკვიდრდა ჩრდილოეთ გალიის ტერიტორიაზე და ბელგიის დღევანდელ ფრანკოფონულ ნაწილში.

რომანიზაციის პროცესი რთული და მრავალსაუკუნოვანი იყო. მკვლევარი ილტი (G. Hilty) (120) აცხადებს, რომ რთულია ზუსტი საზღვრის გავლება, თუ როდის შეწყვიტა მოსახლეობამ ლათინური ენის გამოყენება ყოველდღიურ ურთიერთობაში და თანდათან როგორ შეცვალა იგი ფრანგულმა ენამ. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ენა გადაეცემა თაობიდან თაობას და თაობათა ცვალებადობასთან ერთად იგი განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. ამ ცვლილებების სისწრაფე განისაზღვრება მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთა გათვალისწინებითაც ფრანგული ენის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ მკვეთრი

და თითქმის შეუმჩნეველი ცვლილებების პერიოდები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ძნელია განვსაზღვროთ ზუსტი თარიღი, თუ როდის შეწყვიტა არსებობა ლათინურმა ენამ ჩრდილოეთ გალიაში და როდის დაიბადა ფრანგული. "À partir du moment où la population a adopté le latin comme langue de la communication spontanée et quotidienne, il n'y a plus eu la césure fondamentale dans l'histoire de cette langue, et il serait impossible de fixer une date où l'on ait cessé de parler latin et commencé à parler français. La langue est transmise de génération en génération et, dans cette transmission, elle est nécessairement soumise à des changements. La vélocité des changements est déterminée par un assez grand nombre de facteurs, et on peut dans l'histoire du français distinguer des périodes à changements rapides et des périodes à changements presque insensibles. Il n'en reste pas moins que, depuis la romanisation de la partie septentrionale de la Gaule, l'histoire linguistique de cette région est un continuum, dans lequel il est impossible de fixer la date de la mort du latin et de la naissance du français". (120; 10).

აღსანიშნავია, რომ რომანული გალიის ტერიტორიაზე შეიქმნა სამი განსხვავებული ლინგვისტური სფერო:

1. გალიის ჩრდილოეთ ნაწილში გაგრძელებული ფრანგული სფერო ე.წ. *langue d'oïl* (*langue d'oïl* – parlée en France au Moyen-Âge, au nord de la Loire, “oïl” – participe affirmative, forme ancienne de *oui*.) (70; 759);
2. სამხრეთ ნაწილში პროვანსალური ანუ ოქსიტანური სფერო, ე.წ. *langue d'oc* (*langue d'oc* – ensemble des dialectes parlés en France au sud de la Loire et dans lesquels « oui » se disait *oc*.) (70; 754);
3. ფრანკო-პროვანსალური დიალექტები ე.წ. *les dialectes franco-provençaux*, რომელიც დაახლოებით მოიცავს ლიონის, ჩრდილოეთ დოფინეს, სამხრეთ ბურგუნდიის, ფრანშკონტეს, ასევე სავოიასა და ფრანგულენოვანი შვეიცარიის ზონებს. (იხ. დანართი 2).

ეს ენობრივი სფეროები, თავის მხრივ, განვითარების პროცესში განიცდიდნენ შინაგან სეგმენტაციას, რის შედეგადაც ხდება სხვადასხვა დიალექტების წარმოქმნა. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ *langue d'oïl*, რომელმაც კაროლინგების ეპოქაში ფრაგმენტაციის შედეგად შექმნა ისეთი მსხვილი დიალექტები, როგორებიცაა: ვალონური, პიკარდიული, შამპანური და ა.შ. თუმცა ეს ენობრივი ფრაგმენტაციის პროცესი დამახასიათებელი იყო მხოლოდ სასაუბრო ენისათვის, რომელიც მიჩნეული იყო სპონტანური ურთიერთობის საშუალებად. რაც შეეხება სალიტერატურო ენას, ამ წოდებას რომანიზაციიდან მრავალი

საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა ლათინური ენა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის ტრანსფორმაცია გაცილებით ნელა ხდებოდა, ვიდრე ყოველდღიური სასაუბრო ენის.

სასაუბრო და სალიტერატურო ენას შორის განსხვავება თვალშისაცემია რომანიზაციის დაწყებისთანავე, თუმცა ეს განსხვავება უფრო მკვეთრად გამოხატული ხდება რომის იმპერიის უკანასკნელ საუკუნეებში და შუა საუკუნეების დასაწყისში, რაც გამოწვეული იყო კაროლინგების მიერ გატარებული რეფორმით, რომელიც ცნობილია "კაროლინგების რეფორმის" ("La réforme carolingienne") სახელით. იგი მიზნად ისახავდა სალიტერატურო ენის სფეროში კლასიკური ლათინურის ფორმების აღდგენას. "კაროლინგების რეფორმამ" საბოლოოდ გაწვევითა ყოველგვარი კავშირი სალიტერატურო ენასა და მის ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოყენებულ სპონტანურ ფორმებს შორის. რეფორმის განხორციელების შედეგად აღდგენილი ლათინური გამოიყურებოდა როგორც უცხო ენა და მხოლოდ საზოგადოების უმცირესობისათვის იყო მისაღები.

ამიტომაც აუცილებელი გახდა სალაპარაკო ენისაგან შექმნილიყო ახალი სალიტერატურო ენა, რომელიც ხალხს საშუალებას მისცემდა გაცნობოდა კულტურულ სფეროს. მართალია ჩვენ არ შეგვიძლია დავადგინოთ ფრანგული სასაუბრო ენის წარმოშობის ზუსტი თარიღი, მაგრამ სალიტერატურო ენის შემთხვევაში თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მისი გამოჩენა ემთხვევა პირველი ლიტერატურული ძეგლის შექმნის თარიღს, რაც აადვილებს მისი წარმოშობის თარიღის განსაზღვრას.

ბელგიაში ფრანგული ენა თანდათან აძევებს ლათინურს და იკავებს მის ადგილს როგორც სალიტერატურო, ასევე ადმინისტრაციულ სფეროშიც. პირველი ფრანგულენოვანი ლიტერატურული ძეგლი "წმინდა ეულალიას კანტილენა" (Cantilène de Sainte Eulalie) თარიღდება IX საუკუნით და შექმნილია ლიეჟის მახლობლად, ხოლო d'oïl-ის ენაზე შექმნილი უძველესი ადმინისტრაციული დოკუმენტი მიეკუთვნება 1194 წელს.

ვალონიაში ლიეჟის სამთავროს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ენათა ისტორიის საკითხში. უკვე X საუკუნეში ლიეჟი წარმოადგენდა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს.

ფრანგულ ენაზე შექმნილი პირველი ტექსტები IX საუკუნეს მიეკუთვნება, რაც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ, რომ სალიტერატურო ფრანგულის შექმნას ხელი შეუწყო კაროლინგების მიერ განხორციელებულმა რეფორმამ.

ფრანგული, როგორც სალიტერატურო ენა, თანდათან ისაკუთრებს იმ პოზიციებს, რომელიც ეკავა ლათინურს უკვე შუა საუკუნეების ვალონიაში და ბელგიის პიკარდიულ ნაწილშიც. ისევე როგორც ძიილ-ის ყველა სამფლობელოში, რომანულ ბელგიაშიც, სალიტერატურო ენა გახდა ფრანსიული ენა თავისი ცვალებადი დიალექტებით, რომელიც უკვე XIII საუკუნეში თანდათანობით ხდება ადმინისტრაციული ენაც.

ბელგიაში ფრანგული ენის ევოლუციაზე საუბრისას, აუცილებელად მიგვაჩნია ავლნიშნოთ მისი წარმატება შუა საუკუნეების ფლანდრიაში. ვალონიისაგან განსხვავებით, ფლანდრიაში ლათინური ენა უფრო ხანგრძლივად გამოიყენებოდა ადმინისტრაციული ენის მნიშვნელობით, მოგვიანებით კი იგი შეიცვალა ფრანგულით და არა ადგილობრივი ფლამანდიური დიალექტით. ფლანდრიაში ფრანგული ენის გავრცელება იწყება XIII საუკუნიდან, ანუ გაცილებით გვიან, ვიდრე ვალონიაში. XII-XIII საუკუნეებში ფლამანდიელი მოსახლეობის უმეტესობა მართალია ერთენოვანია, ისინი საუბრობდნენ ადგილობრივ დიალექტზე, მაგრამ ეს არ ითქმის არისტოკრატისა და სამღვდელთა წარმომადგენლებზე. არსებობს მრავალი დამამტკიცებელი დოკუმენტი იმისა, რომ ეპოქის ცნობილი პიროვნებები ფლობდნენ ორ ენას და ხანდახან ლათინურსაც კი. ქვეყნის არისტოკრატის დიდი ნაწილის ბილინგვიზმი თანდათან მიბადვის საგანი ხდებოდა ბურჟუაზიისათვისაც, რის შედეგადაც ხდება ფრანგული ენის გავლენის ზრდა ენობრივი საზღვრის მიღმა, რაც თავისთავად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხდებოდა; თუმცა საშინაო საქმეებში ფლამანდიელები კვლავ თავიანთ დიალექტებს იყენებდნენ, რომელიც თანამედროვე ნიდერლანდურს ენათესავება. ისინი ცდილობდნენ «ფრანგული ენის განდევნას» და ფლამანდიურის პოზიციების გამყარებას; თუმცა სამეფო კარზე ფრანგულს იყენებდნენ, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მის პრესტიჟს. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ ბელგიის პროვინციები ემტერებოდნენ საფრანგეთს, ისინი ფრანგული ენის უპირატესობას აღიარებდნენ, როგორც სრული განათლების მიღების აუცილებელ პირობას.

XIII-XIV საუკუნეებში მნიშვნელოვანი ფლამანდიური ქალაქები – ბრიუსელი და ანტვერპენი ეწინააღმდეგებიან ფრანგული ენის გამოყენებას

ადმინისტრაციულ სფეროში და ისინი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ ლათინურს. XIV საუკუნიდან კი, ქალაქების განვითარებისა და ეკონომიკური აღმავლობის შედეგად, ფლანდრიაში ძლიერდება ფლამანდიურის პოზიციები და ფრანგული თანდათან კარგავს გავრცელების სფეროს, თუმცა აღსანიშნავია, რომ, კულტურული თვალსაზრისით, იგი კვლავ დომინირებს ფლანდრიაში. XIV საუკუნეში რონსარი და მარო დიდ გავლენას ახდენენ ნიდერლანდელ პოეტებზე. განმანათლებლობის ეპოქაში კი ადგილი ჰქონდა ფლანდრიული ელიტის სწრაფი ტემპით გაფრანგულენობას.

ამ პერიოდის ბელგიაში ენობრივი საზღვრები სოციალური უფრო იყო, ვიდრე გეოგრაფიული. მაღალი საზოგადოება ურთიერთობის საშუალებად იყენებდა ფრანგულ ენას, უბრალო ხალხი კი — სხვადასხვა დიალექტებს, რომანულ რეგიონებში — ვალონურსა და პიკარდიულს, ხოლო ფლანდრიის ტერიტორიაზე — ფლამანდიურს.

1516 წელს, შარლ V-ის ტახტზე ასვლის შედეგად, ბელგიაში იწყება ესპანელთა ყოფნის (Présence Espagnole) ეტაპი, რომელიც გრძელდება 2 საუკუნის განმავლობაში — 1713 წლამდე და ხასიათდება ესპანური მემკვიდრეობის გავრცელებით.

შარლ V-ის მემკვიდრეები არ ლაპარაკობდნენ ფლამანდიურად და უმეტეს შემთხვევებში ადმინისტრაციულ ენად ფრანგულს იყენებდნენ. სამეფო კარის პოზიცია გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობაზე და ფლანდრიაში ფრანგული ენა კვლავ აღიდგენს თავის პოზიციებს. იწყება ფლამანდიელებისათვის ფრანგულის შემსწავლელი სახელმძღვანელოების გამოცემა, კერძოდ პიერ ჰეინის (Pierre Heyns) "ფრანგული ენის გრამატიკა", რომელიც 1571 წელს გამოვიდა ფლამანდიურ ენაზე, იქმნება ფრანგულ-ფლამანდიური ლექსიკონები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ფრანგული ენის აღზევება მხოლოდ ბელგიისთვის არაა დამახასიათებელი, ფრანგული გამოიყენებოდა ევროპის სამეფო კართა უმრავლესობისა და ევროპელი ბურჟუაზიის დიდი ნაწილის მიერ, რადგან იგი მიჩნეული იყო კულტურისა და მაღალი საზოგადოების ენად.

სწორედ ესპანურ პერიოდს ემთხვევა ფრანკოფონთა საზოგადოებების დაარსება დიდ ფლამანდიურ ქალაქებში, განსაკუთრებით კი — დედაქალაქში. ამავე პერიოდით თარიღდება პირველი წერილობითი ტექსტები ვალონურ დიალექტზე.

ბელგიაში ესპანური პერიოდი ავსტრიელთა ბატონობით (la Domination Autrichienne) იქნა შეცვლილი, რომელიც 1713 წლიდან საუკუნის ბოლომდე გრძელდება.

ენათა ოფიციალური სტატუსით გამოყენების სფეროში ეს პერიოდი ხასიათდება ფრანგული ენის გამოყენებით ფლამანდიურ ქალაქებში, რაც დიდ მხარდაჭერას პოულობს მარია-ტერეზა ავსტრიელის (მარია-ანტუანეტ ავსტრიელის დედა) მიერ. მართალია არქივში ვხვდებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცემულ ფლამანდიურ ოფიციალურ დოკუმენტებს, მაგრამ მათი რიცხვი ამ დროისათვის კიდევ უფრო მცირეა, ვიდრე წინა პერიოდში. თუმცა ავსტრიელები, ფრანგული ენის გვერდით, ფლამანდიურ დიალექტსაც გამოიყენებენ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პირველი პამფლეტები ავსტრიელთა ბატონობის წინააღმდეგ სწორედ ფრანგულ ენაზე შეიქმნა ფლანდრიაში.

1790 წელს ბელგიურმა პროვინციებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს ბელგიის გაერთიანებული შტატების სახელით და ბელგიის ოფიციალურ ენად ფრანგული აღიარეს. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება ფლამანდიური პროვინციების წარმომადგენლების მიერაც იქნა გაზიარებული.

ბელგიაში ფრანგულის წარმატება მხოლოდ სოციალური მოვლენა არ იყო. აქ გარკვეულ როლს ასრულებდა გეოგრაფიული მომენტიც, რადგან ენობრივ საზღვართან ახლოს მდებარე ფლამანდიური რეგიონებიც განიცდიდნენ ფრანციზაციას. ფრანგულთან ასეთმა დაახლოებამ გარკვეული კვალი დატოვა მათ ადგილობრივ კილოებშიც.

1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ, რომელიც თავისუფლების იდეის მატარებელი იყო, გავრცელება და მოწონება მოიპოვა ბელგიაშიც, განსაკუთრებით ლიეჟის მოსახლეობის უმრავლესობაში. ბელგიაში ფრანგული ოკუპაცია (l'Occupation Française) 1792 წლიდან 1815 წლამდე, კერძოდ კი ვატერლოოს ბრძოლამდე გაგრძელდა. ბელგია დაპყრობილი იქნა ნაპოლეონის მიერ და გადაიქცა ფრანგულ დეპარტამენტად. საფრანგეთის ინტერესებში იყო ფლანდრიის ფრანციზაციის საკითხიც, სადაც ამიერიდან ფრანგული ერთადერთი ოფიციალური ენა იყო. დაწყებითი სკოლების გამოკლებით, ფლანდრიის სკოლებში სწავლება ფრანგულად მიმდინარეობდა. ბრიუსელის, გენტის (Gand) და ბრიუგეს (Bruges) ლიცეუმებში ფლამანდიური სწავლება შეწყდა. ბრიუსელში ფლამანდიური სასწავლებლები, რომლებიც სწავლებას განაგრძობდნენ ფრანგულ ენაზე, დებულობდნენ ჯილდოს. ფლამანდიური მასმედია იდგა გაქრობის

საშიშროების წინაშე, თუ ისინი არ გააკეთებდნენ თავიანთი სტატიების თარგმანებს ფრანგულ ენაზე. "La francisation progressive, qui touche en premier lieu l'aristocratie et la haute bourgeoisie, est renforcée, approfondie et étendue à d'autres couches de la population durant l'occupation française (entre 1792 et 1814)". (182; 34).

ფრანგების ოკუპაციის ხანმოკლე პერიოდმა ხელი ვერ შეუშალა ფრანგული ენის არსებობის პროგრესირებას ბელგიაში. მართალია ფრანგულმა ენამ ვერ შეძლო ფლამანდიელი მოსახლეობის უმრავლესობაზე გავლენის მოხდენა, მაგრამ მან თავისი პოზიციები განიმტკიცა ფლამანდიურ ბურჟუაზიაში. ფრანგული მმართველობის შედეგად ფლამანდიური დიალექტი შენარჩუნებული იქნა მხოლოდ დაწყებით სწავლებასა და მოსახლეობის ფამილიარულ მეტყველებაში.

ნაპოლეონის მარცხის შემდეგ ბელგია ჰოლანდიასთან იქნა დაკავშირებული და ბელგიის ისტორიის ეს პერიოდი ცნობილია ჰოლანდიური მმართველობის სახელით (la Domination Hollandaise). ისინი ერთად ქმნიან ნიდერლანდების (Pays-Bas) გაერთიანებულ სამეფოს, რომელშიც ბელგია გაერთიანებული იყო 1830 წლამდე, ვიდრე იგი არ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ლინგვისტურ საკითხში გიომ I-მა ფრანგული პოლიტიკის საწინააღმდეგო მიმართულება აირჩია. ახალი სამეფოს ერთადერთი ოფიციალური ენა ნიდერლანდური გახდა და ფრანგული ენა გამოიყენებოდა მხოლოდ ვალონიის ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობაც არ ლაპარაკობდა ფლამანდიურად. ფლანდრიაში ნიდერლანდური დამკვიდრდა ყველა სფეროში. გიომ I-ის სურვილი იყო ვალონიის ფლამანდიზაციაც. 1823 წელს ფლამანდიური გამოცხადდა ერთადერთ ოფიციალურ ენად ბრიუსელსა და ლუვენის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სადაც ფრანკოფონები უკვე ისედაც უმცირესობას წარმოადგენდნენ. ენობრივი საზღვარი ბელგიის ისტორიაში პირველად ემთხვევა პოლიტიკურს. "L'action positive du roi Guillaume I-er pendant la période hollandaise (1915-1830), c'est ce mouvement qui est responsable de la progression du néerlandais en Flandre. À côté de la régression du français, il a eu pour conséquence la création et l'utilisation toujours croissante du néerlandais standard". (182; 34).

გიომ I-ის მიერ გატარებული სასკოლო რეფორმა მიზნად ისახავდა ნიდერლანდურის როლის უფრო და უფრო გაზრდას ფლანდრიაში, რის შედეგადაც შეიქმნა ფლამანდიურენოვან ადმინისტრაციულ და იურიდიულ პირთა ერთობა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ფლამანდიური მოძრაობის კონსტიტუციას, რომლის როლიც თანდათან იზრდება თანამედროვე ისტორიაში.

XIX საუკუნის დასაწყისში გიომ ჰოლანდიელი ცდილობდა ნიდერლანდური ენის პოპულარიზაციას ბელგიაში, რაზეც სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ბრიუსელში, რადგან ეს ენა ადგილობრივი ფლამანდიური დიალექტებისაგან ძალიან განსხვავდებოდა; ამიტომაც ვერ მოხერხდა მისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება, რის შედეგადაც იძულებული გახდა შეგუებოდა ფრანგულს, რომელიც უკვე XIII საუკუნიდან მაღალი საზოგადოების ენად იყო მიჩნეული და ფლამანდიელების უმრავლესობისათვის უფრო ახლობელი იყო, ვიდრე ნიდერლანდური ენა.

ინდუსტრიული რევოლუციის დასაწყისი, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და მათი უდიდესი მობილურობა, წერილობითი მედიის განვითარება – აი, ის ძირითადი პრიორიტეტები, რამაც ბელგიის ენობრივ სიტუაციაში მკვეთრი ცვლილებები გამოიწვია.

1830 წლის რევოლუციის და 1831 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ფრანგული კვლავ პრივილეგირებული გახდა ბელგიაში, გამოცხადდა რა ახლადშექმნილი სახელმწიფოს ოფიციალურ ენად. ფლანდრიული დიალექტი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როცა თავდაცვაზე უნდა ეზრუნა. ის გარკვეულწილად ჰოლანდიური რეჟიმის სიმბოლირებას წარმოადგენდა. მეტიც ფლამანდიელების უმრავლესობას ნიდერლანდური უცხოურ ენად მიაჩნდა, რომელიც განსხვავდებოდა დიალექტისაგან და გამოიყენებდნენ ამ უკანასკნელის როგორც ლექსიკურ, ასევე ორთოგრაფიულ ფორმებს. ქვეყნის ახალი კონსტიტუციის თანახმად, მომხმარებელს თავისუფლება ენიჭებოდა ენის არჩევისას, რაც არაზუსტი პოზიცია იყო ფლანდრიაში ფრანგულის გამოყენების განმტკიცების საკითხში. "L'Etat belge fondé en 1830 est unitaire. Malgré l'article 23 de sa Constitution qui affirme la liberté d'usage de la langue, sa seule langue officielle est le français. C'est celle de la classe dirigeante bruxelloise, c'est aussi celle de l'élite flamande francophone et des wallons urbanisés et cultivés". (182; 35).

მოგვიანებით შეიქმნა ფლამანდიური ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ცდილობდა ფლამანდიური დიალექტისათვის კვლავ დაებრუნებინა თავისი ადგილი (ამის შესახებ ჩვენ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ ნაშრომის IV თავში, სადაც განვიხილავთ თანამედროვე ბელგიის ლინგვისტურ პოლიტიკას, ამჯერად კი ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ფრანგული ენის ევოლუცია ბელგიაში). ფრანგულ ენაზე შექმნილი ოფიციალური მასალები ითარგმნებოდა ნიდერლანდურად. 1844 წელს შეიქმნა პირველი ყოველდღიური ფლამანდიური

გაზეთი "Vlaemsch Belgie", რომელიც იბეჭდებოდა გახდა 9 თვეში შექმნილი არსებობა. ამ ფლამანდიური პოლიტიკური და კულტურული მოძრაობის პარალელურად ვალონიაში ჩამოაყალიბეს ლიტერატურული და კულტურული მოძრაობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ვალონური კილოების შესწავლის მხარდაჭერა და ვალონური ლიტერატურის განვითარების მფარველობა. ასე შეიქმნა 1856 წელს "ვალონური ლიტერატურის ლიეჟის საზოგადოება" ("Société Liégeoise de Littérature Wallonne") და სხვა მრავალი კულტურული, თეატრალური, პუბლიკაციური საზოგადოებები, რომლებიც ასევე ამ ეპოქაში იქმნება და ემსახურება ვალონურ ენას და სხვა დიალექტებს, რომლებიც ვალონიაში გამოიყენება. 1787 წელს გამოვიდა ლიეჟური კილოს პირველი ლექსიკონი, რასაც მოჰყვა სხვა მრავალი ლექსიკონის გამოცემა. ვალონური დიალექტის გაახლების მხარდამჭერი მოძრაობა სწორედ იმ პერიოდში მოქმედებს, როცა ფრანგული ენა იწვევს ვალონურ დიალექტზე დამუქრებას.

რაც შეეხება ვალონიის რეგიონს, იქ ფრანგული, რომელიც ახლონათესაურ კავშირშია ვალონურ დიალექტთან, საუკუნეების მანძილზე რჩებოდა უცხოურ ენად მოსახლეობის უმრავლესობისათვის. თვით ბურჟუაზიის დიდი ნაწილიც კი თავიანთ ყოველდღიურ ურთიერთობებში ვალონურ დიალექტს გამოიყენებდა, რითაც ვალონიაში ფლანდრიისგან განსხვავებული სიტუაცია იყო.

ქვეყნის სამხრეთ ნაწილში წარმოებულმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ, რომელიც ქვანახშირის საბადოების ექსპლუატაციით იყო გამოწვეული, განაპირობა ფლამანდიურის გავლენა ვალონურ კილოებზე, განსაკუთრებით ლიეჟში, სადაც ფლამანდიელი მუშები დიდი რაოდენობით ჩადიოდნენ, ისევე როგორც ვალონიის სხვა ქალაქებში.

უცხო ელემენტების ამგვარი გავლენა იწვევს ვალონურ და საერთოდ ბელგიურ ფრანგულში არქაული ნიშან-თვისებების გაძლიერებას, რაც განსაკუთრებით აშკარაა სინტაქსური თვალსაზრისით. XVII საუკუნისათვის დამახასიათებელი სტანდარტული ფრანგულის კონსტრუქციები, რომლებიც შემთხვევითაა შემორჩენილი საფრანგეთის ხალხურ მეტყველებაში, ბელგიურ ფრანგულში კვლავ განაგრძობს გავრცელებას, თვით მაღალი საზოგადოების წარმომადგენლების მიერაც კი.

მკვლევარი ლ.-ჟ. კალვე (L.-J. Calvet) (52) მიიჩნევს, რომ ფრანგულ-ვალონური ბილინგვიზმი ბელგიის ფრანკოფონულ ტერიტორიაზე, კერძოდ ვალონიაში, რომანული ენების წარმოქმნისთანავე შეიქმნა, თუმცა კალვე აქვე აღნიშნავს, რომ

იგი საგრძობლად განსხვავებულია ურბანულ და პერიფერიულ გარემოში. ბილინგვიზმი უფრო აქტიური ხდება მოგვიანებით, მაგრამ მთელი რიგი ნიშნები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ოფიციალურ საუბარში ფრანგული ენა მეტოქეობას უწევს ვალონურ დიალექტს უკვე XVII საუკუნიდან. თუმცა სოფლებში თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე გავრცელებული იყო ვულგარული ლათინური, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში, ვალონიის პერიფერიულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს სწრაფ და ღრმა ცვლილებებს და ერთ საუკუნეზე ნაკლებ დროში ერთენოვანი ვალონოფონები (wallonophones) იცვლება ერთენოვანი ფრანკოფონებით (francophones).

ამ პროცესის დაჩქარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სკოლამ, რომელიც ფრანგული ენის განმტკიცებისათვის პროვოცირებას უწევდა რეგიონალურ მეტყველებას. ყოველივე ამის შედეგად ვალონიის ტერიტორიაზე მკვიდრდება ბილინგვიზმის მდგომარეობა, რომელიც მალე გადადის დიგლოსიაში – ე.წ. ორი ენის თანაარსებობაში, რომელთა შორისაც ყალიბდება ფუნქციური იერარქია; ერთი მათგანი, რომელიც წარმოადგენს სალიტერატურო ენას, დამახასიათებელია ოფიციალური და ფორმალური ურთიერთობისათვის; ხოლო მეორე – რომელიც უმეტესად გამოიყენება ყოველდღიურ სფეროში და განკუთვნილია შეზღუდული ურთიერთობებისათვის. პირველი ენა მიჩნეულია კანონიერებისა და მაღალი სოციალური წრის ენად და ესაა ფრანგული; ხოლო მეორე ენა, რომელიც წარმოდგენილია ვალონური და პიკარდიული დიალექტებით, განეკუთვნება ფამილიარულ სტილს.

XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ იყო შემთხვევები, როცა სოფლის სკოლებში გამოიყენებოდა ვალონური დიალექტი, მაგრამ 1920 წლიდან სკოლებში ფრანგულის შესწავლა სავალდებულო გახდა. ეს ტრადიცია ნელ-ნელა მკვიდრდება ოჯახებშიც და დედები თანახმანი არიან თავიანთი შვილების სასკოლო წარმატებებს მსხვერპლად შესწირონ თავიანთი მშობლიური ენა. ამ თაობისათვის ვალონური დიალექტის გაცნობა შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ სასკოლო წრის გარეთ, უფროსებთან ურთიერთობით. თუმცა აღსანიშნავია, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, მამრობითი სქესის უმრავლესობა ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად გამოიყენებს ვალონურს, მაშინ როცა მდებრობითი სქესი ინარჩუნებს ფრანგულ ენას და მათ ახასიათებთ ვალონური დიალექტის პასიური ფლობა.

ფრანგულ ენას მხოლოდ ნახევარი საუკუნე დასჭირდა იმისათვის, რომ სოფლის მოსახლეობაში საბოლოოდ დაემკვიდრებინა თავისი ადგილი და XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბელგიელი მოსახლეობა იყენებდა ორ ენას – ფრანგულსა და ნიდერლანდურს.

ვალონიის მოსახლეობის ფრანციზაცია, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან გაძლიერებულ ხასიათს ღებულობს, პირველ ეტაპზე შეიზღუდა ვალონური ტრადიციების მქონე ლექსიკური ერთეულების ფრანგული ეკვივალენტებით შეცვლის საკითხში და დაკმაყოფილდა ვალონური სიტყვების ფრანგული ფონეტიკური სისტემით გამოხატვით.

ლექსიკის სფეროში, ბელგიური ფრანგული უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში განიცდიდა ვალონურის ძლიერ გავლენას და რაღაც ნაწილში ფლამანდიური დიალექტისა თუ ნიდერლანდური ენის გავლენასაც. დამოუკიდებელი ბელგიის შექმნის შემდეგ პერიოდში ვალონური დიალექტი თანდათან ჩამორჩებოდა ფრანგულ ენას, თუმცა მან ღრმა კვალი დატოვა ბელგიურ ფრანგულზე, რადგან ფრანგულიც და ვალონურიც ერთი საერთო ლინგვისტური ოჯახის წარმომადგენლებია.

XX საუკუნის დასაწყისში ერთენოვანი ვალონელების მხოლოდ შემცირებული ნაწილი განაგრძობდა არსებობას, რომელთა რიცხვიც, დროთა განმავლობაში, სულ უფრო და უფრო მცირდებოდა; ადგილობრივ დიალექტს ძირითადად უფროსი ასაკის ადამიანები იყენებენ. მიუხედავად ამისა ვალონურმა და პიკარდიულმა დიალექტებმა გარკვეულწილად მაინც შეინარჩუნეს სიცოცხლისუნარიანობა და ჯერ ისევ ბევრ ვალონელს ახასიათებს მისი პასიური ფლობა.

ეს დიალექტური ფორმები მკვიდრდება ყოველდღიურ მეტყველებაში და მას ისეთი ადამიანებიც კი იყენებენ, რომლებიც არ იცნობენ ვალონურ თუ პიკარდიულ დიალექტებს. მსგავს მოვლენას, ფლამანდიურის გავლენით, ადგილი აქვს ბრიუსელშიც. ფრანგულისა და ვალონურის ამგვარი ინტერფერენცია იწვევს მრავალი ლექსიკური ბელგიციზმის წარმოქმნას; ბელგიურ ფრანგულში ვალონური დიალექტიდან ნასესხებ ტერმინებს შორის შეიძლება 2 ჯგუფი გამოვყოთ:

1. დიალექტური ტერმინები, რომლებიც უცვლელნი დარჩნენ და შეინარჩუნეს თავიანთი დიალექტური ფორმა. ასეთ შემთხვევებში ხშირად საქმე ეხება ისეთ აღმნიშვნელებს, რომელთა შესაბამისი აღსანიშნი არ არსებობს საფრანგეთის

ფრანგულში: მაგ. tarte al djote (ჭარხლის ტორტი). ეს ჯგუფი საკმაოდ მცირერიცხოვანია და ბელგიურ ფრანგულში მეორეხარისხოვან როლს იკავებს.

2. დიალექტური ტერმინები, რომლებმაც განიცადეს ფრანციზაცია და უმეტეს შემთხვევაში შეიცვალნენ ძველი ფრანგული ფორმით, რომლებიც დიდი ხანია აღარ გამოიყენება საფრანგეთში. ეს ჯგუფი საკმაოდ მნიშვნელოვანია და მრავალი ასეთი არქაიზმი დღემდე გამოიყენება, მაგ. aubette (გადახურული მოსაცდელი), escabelle (რამდენიმე საფეხურიანი კიბე), passet (ტაბურეტი) და ა.შ.

ბელგიურ ფრანგულში ლექსიკური არქაიზმების ეს სიუხვე აიხსნება იმ მოვლენის არსებობით, რაც სხვა მსგავს სიტუაციაში მყოფი კილოებისთვისაცაა დამახასიათებელი (ამერიკული ინგლისური, კვებეკური ფრანგული და ა.შ.) და რის მიზეზადაც სახელდება ის ფაქტი, რომ ენის ევოლუცია პერიფერიაში მნიშვნელოვნად ნელა ხდება, ვიდრე ცენტრში.

ქვეყანაში გარკვეული ინტერვალებით განხორციელებული ენობრივი აღრიცხვები, რომელიც XIX საუკუნეში რეგულარულ ხასიათს ატარებდა, საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ენობრივი საზღვრის ევოლუციას და ფრანგულის წარმატებას ბელგიაში. პირველი ასეთი აღრიცხვა მოხდა 1842 წელს ბრიუსელში, როცა დედაქალაქის 37% ფრანკოფონი იყო. ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული პირველი აღრიცხვა თარიღდება 1846 წლით, რომელმაც გამოავლინა, რომ ქვეყნის მცხოვრებთა 57% ნიდერლანდოფონი იყო, ხოლო 43% – ფრანკოფონი.

ბელგიის დამოუკიდებლობის შემდეგ ენობრივი საკითხი თანდათან იღებს იმ მასშტაბებს, როგორსაც იგი დღესდღეობით ფლობს.

1932 წელს მიღებული ენობრივი ერთგვაროვნების პრინციპზე დაყრდნობილი მნიშვნელოვანი კანონის თანახმად, ფლამანდიური რეგიონების ოფიციალური ენა გახდა ნიდერლანდური, ვალონიისა – ფრანგული ენა, ხოლო ეპანის და სენ-ვიტის რეგიონებისა – გერმანული. ფლამანდიურ ზონაში აღმოჩენილი დედაქალაქი – ბრიუსელი კი — ორენოვანი დარჩა, სადაც ორი ენის თავისუფალი გამოყენება გადაიზარდა აუცილებელ ბილინგვიზმში.

3. ენობრივი სიტუაციის ევოლუცია ბრიუსელში.

წინა ქვეთავში, რომელშიც საუბარი იყო ბელგიის სახელმწიფოში ენათა ევოლუციის შესახებ, ჩვენ განზრახ ავუარეთ გვერდი ბრიუსელის გარემოებას,

რადგან საჭიროდ მივიჩნით მისი ისტორიული, პოლიტიკური თუ ლინგვისტური საკითხებისათვის ცალკე ქვეთავი დაგვეთმო.

სანამ დედაქალაქის ფრანციზაციის შესახებ ვისაუბრებდეთ, რომელსაც ბოლო სამი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა ადგილი, ორიოდ სიტყვით გადავხედოთ ბრიუსელის მდგომარეობას შუა საუკუნეების ბოლო პერიოდში, როცა იგი ფლანდრიის ერთი რიგითი ქალაქი იყო და სულაც არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც – ანტვერპენსა და გენტს. ბრიუსელის ათასწლეული 1979 წელს აღინიშნა, რაც უდავოდ მიგვანიშნებს მისი ისტორიის მრავალფეროვნებაზე.

ეტიმოლოგიურად, სახელი ბრიუსელი სხვადასხვანაირად იშიფრება. ერთნი მიიჩნევენ, რომ ის ფლამანდიური წარმოშობისაა “Broeksel” ან “Broekzele”, რომელიც ძველ ფლამანდიურ დიალექტზე შემდეგნაირად იშიფრებოდა: “broek” – (ჭაობი, ან ტენიანი მიწის ნაკვეთი) და “sel, zele” – (საცხოვრებელი). აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინები X საუკუნემდე უფრო დიდი ხნით ადრე იყო გავრცელებული ბელგიის ტერიტორიაზე, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დედაქალაქის იუბილე დაგვიანებით იქნა აღნიშნული.

მეორე მოსაზრება ქალაქის სახელწოდების წარმოშობასთან დაკავშირებით ასეთია: ბრიუსელი კელტური სიტყვის “Bruoc” ან “Bruco” დერივაციის შედეგად შეიქმნა – Broussailleux, რაც, დაჭაობებულ ადგილს ნიშნავდა, რომელმაც მოგვიანებით ცვლილება განიცადა და დაერთო ლათინური ტერმინი “cella”, რაც აღნიშნავს ტაძარს და რომელშიც იგულისხმება ბრიუსელის საკათედრო ტაძარი (Cathédrale des SS. Michel et Gudule de Bruxelles).

მესამე მოსაზრება ქალაქის სახელის წარმომავლობასთან დაკავშირებით დაახლოებით მეორეს იდენტურია და მისი მიმდევრები მიიჩნევენ, რომ სიტყვის პირველი ნაწილი შეესაბამება სხვა კელტურ სიტყვას “Briga” – სიმაღლე, რომელსაც ემატება ზემოთ ნახსენები ლათინური სიტყვა “cella”, რაც შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს: "შემაღლებულ ადგილას აგებული ტაძარი", რომელშიც ისევ ბრიუსელის საკათედრო ტაძარია ნაგულისხმევი.

აღსანიშნავია, რომ ბრიუსელი შუა საუკუნეების ბოლომდე ფლამანდიური ქალაქი იყო. იქ ფრანგული ენის გამოყენება იწყება XIII საუკუნიდან, რის შედეგადაც ხდება ძველი ვალონურისა და ფლამანდიური დიალექტების აღრევა.

მარი ავსტრიელი მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობს და ტახტის მემკვიდრესაც ფრანგულ განათლებას აძლევს; თუმცა სამეფო კარის

ფრანციზაციას გავლენა არ მოუხდენია ქალაქის მოსახლეობაზე და შუა საუკუნეებში ბრიუსელის ფრანციზაცია ზედაპირულ ხასიათს ატარებდა და იგი შემოიფარგლებოდა ფრანკო-ბურგუნდიელი და ვალონელი მუშებისა და ხელოსნების პატარა ჯგუფით, რაც გამოწვეული იყო ვალონელი მუშების გამგზავრებით დედაქალაქში, სადაც ისინი მონაწილეობას იღებდნენ მრავალი ნაგებობის მშენებლობაში. ამ პერიოდიდან მემატრიანეებიც ძირითადად ფრანგულენოვნები არიან.

XIII-XIV საუკუნეებში ბრიუსელი ჯერ კიდევ ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციულ სფეროში ფრანგული ენის დამკვიდრებას და გამოიყენებდა ლათინურს.

ფრანგულის იმპორტირების პარალელურად, ბრიუსელის პრივილეგირებული ფენები ცდილობენ ფლამანდიურის შეცვლას ფრანგული ენით თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, რასაც ადგილი ჰქონდა ფლანდრიის არისტოკრატისა და ბურჟუაზიაშიც.

XVIII საუკუნეში ბელგიის სამეფო წარმოდგენილია მთლიანად გაფრანგულებული ელიტით – ე.წ. ფრანკოფონებით. ადგილობრივი პრივილეგირებული მოსახლეობა იწყებს ფრანგული ენის ათვისებას, ისევე როგორც მთელი ფლანდრიის არისტოკრატია XVIII საუკუნეში, მაშინ, როცა ფრანგული ენა ევროპის მაღალ საზოგადოებაში და სამეფო კართა უმრავლესობაში მიჩნეული იყო კულტურის ენად.

XVIII საუკუნეში ბრიუსელში დაარსდა ფრანკოფონული გაზეთი “Gazette de Bruxelles” (1741 წ.), რომელიც ვრცელდებოდა ფლანდრიის ფრანკოფონ ბურჟუაზიაში; ამ პერიოდში მოსახლეობის უმრავლესობა ფლამანდიურად მეტყველებდა, თუმცა უკვე 1788 წელს ბრიუსელის ყოველი მეხუთე მცხოვრები ორენოვანია.

XVIII საუკუნის ბოლოდან ქალაქის გაფრანგულენოვნება სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილს შეადგენს, თუმცა ეს მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესაძლებელი. მკვლევარი ფ. ბრუნო აღნიშნავს, რომ ბრიუსელის შემოგარენში საზოგადოების ნაწილი ლაპარაკობს ფლამანდიურად და ნაწილი ფრანგულად; ხოლო თავად ბრიუსელში მოსახლეობის უმრავლესობა საუბრობს ფრანგულად “Dans l’arrondissement de Bruxelles la moitié des communes parle flamand et d’autre français... Dans Bruxelles même, on parle plus français que flamand...” (50; 158).

XVIII საუკუნის ბოლოს, ფრანგთა ოკუპაციის შედეგად, ქვეყნის ფრანციზაცია რესპუბლიკის პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა, რამაც, მრავალი საშუალების გამოყენების მიუხედავად, სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. თუმცა ბრიუსელი უფრო მეტად იყო გაფრანგულებული, ვიდრე სხვა დიდი ფლამანდიური ქალაქები, როგორებიცაა ანტვერპენი და გენტი. გიომ I-ის მმართველობის დროს კი ფრანგული ენა უკვე იმდენად იყო ფეხმოკიდებული ბრიუსელის ფლამანდიურ ბურჟუაზიაში, რომ ნიდერლანდური, დედაქალაქის ოფიციალურ ენად გამოცხადების მიუხედავად, მრავალ წინააღმდეგობას ხვედებოდა.

დედაქალაქის ფრანციზაცია კიდევ უფრო თვალშისაცემია ბელგიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო არა მარტო სოციალურ კიბეზე დაწინაურების მსურველი ბურჟუაზიის მიერ, არამედ ვალონელთა იმიგრაციითაც.

1830 წელს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ფრანგული ბელგიის ერთადერთი ოფიციალური ენა გახდა. თუმცა ბრიუსელის მოსახლეობა მაინც აგრძელებს ბრაბანის დიალექტის გამოყენებას და ის ყოველგვარ კონტრაქტს წყვეტს სალიტერატურო ნიდერლანდურთან, რომელიც უმეტესად ფლანდრიიდან ჩამოსული საშუალო ინტელექტუალთა კლასის მიერაა გამოყენებული, ხოლო ბურჟუაზია და არისტოკრატია მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობს. დედაქალაქის გაფრანგულენოვნების მცდელობა კიდევ უფრო ძლიერდება, რაშიც დიდ როლს თამაშობდა როგორც ბურჟუაზია, ასევე ვალონიიდან იმიგრირებული მოსახლეობაც. 1842 ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქალაქის მოსახლეობის 37% მშობლიურ ენად ფრანგულს ასახელებდა.

1842 წელს ბრიუსელში ნიდერლანდური პროლეტარიატის გვერდით უკვე არსებობს ფრანკოფონური პროლეტარიატიც.

ბელგიის ინდუსტრალიზაციასთან ერთად დედაქალაქში ფრანკოფონთა რიცხვი იზრდება. 1910 წელს მხოლოდ ფრანგულად მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა 49%-ია ბრიუსელის დასახლებულ პუნქტებში, ხოლო 1947 წელს ეს მაჩვენებელი 70%-ს აღწევს (ტერმინი “ბრიუსელის დასახლებული პუნქტები” (Agglomération Bruxelloise) ოფიციალურად 1954 წლიდან არსებობს და შედგება 19 თემისაგან). XX საუკუნის II ნახევარში შეფასებები ხშირად იცვლებოდა ლინგვისტური სიმპათიების გათვალისწინებით.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში დედაქალაქის გაფრანგულენოვნებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ბელგიის ოფიციალურ ენად აღიარებული იქნა

ფრანგული, რასაც მხარს უჭერდა ფლამანდიური წარმომადგენლების უმრავლესობა და ფრანგული მიჩნეული იყო როგორც აუცილებელი პირობა სოციალურ კიბეზე წინსვლისათვის. სწორედ ამ სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა გამოიწვია ის, რომ ფლამანდიელებმა ნელ-ნელა დაივიწყეს თავიანთი მშობლიური ენა. ბრიუსელის გაფრანგულენოვნებას ხელს უწყობდა ფრანკოფონული სწავლება და ეკლესიაც. თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ გასული საუკუნის ბოლოს ფრანციზაციის პროცესი შეჩერებული იყო და ფლანდრიის ეკონომიკურმა სიძლიერემ ბრიუსელში ფლამანდიური უმცირესობის პოზიციების გაძლიერება გამოიწვია; და უკვე გასული საუკუნის 80-ანი წლების ბოლოს საკმაოდ ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ქუჩაში გამვლელებს მიმართავენ ფლამანდიურად, რაც ასე იშვიათი იყო ოციოდე წლის წინათ.

თუ ბრიუსელის მოსახლეობის ერთენოვან ნიდერლანდოფონებს დაეუმატებთ ფრანგულ-ფლამანდიური ბილინგვების რაოდენობასაც, აღმოვაჩინოთ, რომ დედაქალაქის ცხრამეტი თემიდან თერთმეტში ნიდერლანდოფონთა რიცხვი 50%-ს სჭარბობს, ხოლო სხვა დანარჩენებში – 40%-ს. ამას ემატება ისიც, რომ დედაქალაქში ფლანდრიიდან ყოველდღე ჩამოდიან ადგილობრივი მაცხოვრებლები, რომლებიც ბრიუსელში მუშაობენ. ეს ყველაფერი ამომწურავ სურათს გვიქმნის ქვეყნის დედაქალაქში ფრანგულ ენაზე ფლამანდიური დიალექტის ზეგავლენის შესახებ.

ბრიუსელში ფრანგულმა წარმატება განიცადა მას შემდეგ, რაც იგი გამოცხადდა ქვეყნის ოფიციალურ ენად, თუმცა ეს მოსაზრება მხარდაჭერილი არ იყო ფლამანდიური უმრავლესობის წარმომადგენლების მიერ. ფრანგულის პროგრესირება დედაქალაქში უმეტესწილად სოციალური და ეკონომიკური მიზეზების შედეგად ხდებოდა, ფლამანდიელები ნელ-ნელა ივიწყებდნენ თავიანთ მშობლიურ ენას, რადგან ამ დროს ფრანგული სოციალურ კიბეზე წინსვლის საშუალებად იყო მიჩნეული.

ბრიუსელის ფრანციზაციას ხელი შეუწყო ფრანკოფონულმა სწავლებამ და ნაწილობრივ ეკლესიამაც, რომელიც დედაქალაქში ფრანგულ მსახურებას ანიჭებდა უპირატესობას. ფლანდრიიდან ჩამოსული ფლამანდიელებისათვის ფრანციზაციის პროცესი უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე ბრიუსელელი ფლამანდიელებისათვის, რადგან ამ უკანასკნელთათვის, გარემო პირობებისგან გამომდინარე, ფრანგული ენა უფრო ახლობელი იყო, ვიდრე თავიანთი მშობლიური ფლამანდიური დიალექტი.

ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს, თუ რამდენად რთულია ბრიუსელის ლინგვისტური რეალობის აღწერა.

ცნობილია, რომ ბელგიაში არსებობს ორი ლინგვისტური ჯგუფი. მკვლევარი მასიონი (Fr. Massion) (146) ბრიუსელის ყოფაში არსებულ თითოეულ ამ ჯგუფს ცალკეულ ქვეჯგუფებად ყოფს, რომლებიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

ნიდერლანდოფონურ ჯგუფში გამოყოფს შემდეგ ქვეჯგუფებს:

ა) ფლამანდიური ბურჟუაზია (La bourgeoisie Flamande), რომლის წარმომადგენლებიც მეტყველებენ სტანდარტული ნიდერლანდური ენით. ამ ჯგუფში გაერთიანებული ადამიანების უმრავლესობა შესანიშნავად ფლობს ფრანგული ენას.

ბ) საშუალო ფენა (Les couches moyennes), რომლის წარმომადგენლებიც საუბრობენ სტანდარტულ სამხრეთ ნიდერლანდურზე და ხშირ შემთხვევაში ფლობენ ფრანგულ ენასაც.

გ) ხალხური ფენა (Les couches populaires) — ამ ფენის წარმომადგენლებმა ხშირ შემთხვევაში იციან ფრანგული, მაგრამ უმეტესად გამოიყენებენ ბრიუსელში გაერთიანებულ ფლამანდიურ დიალექტს.

დ) ორენოვანი ხალხური ფენა (Les couches populaires bilingues) — მათ უმრავლესობას განათლება მიღებული აქვს ფრანგულად და თითქმის ერთნაირად გამოიყენებს ფრანგულ ენასაც და ბრიუსელის ფლამანდიურ დიალექტსაც.

ე) იმიგრირებული ფლამანდიელები (Les Flamands immigrés) — ფლამანდიური პროვინციების წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობისას გამოიყენებენ თავიანთ ადგილობრივ ფლამანდიურ დიალექტებს.

ფრანკოფონთა ჯგუფი იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

ვ) მაღალი ბურჟუაზია (La haute bourgeoisie) – ლაპარაკობს მხოლოდ ნორმატიული ფრანგულით. მაგ. "Quatre-vingt-dix" (ოთხმოცდაათი) და "soixante-dix" (სამოცდაათი), სტანდარტული ფრანგულის ფორმა, რომლის ნაცვლადაც ბელგიურ ფრანგულში გამოიყენება "nonante" და «septante».

ზ) საშუალო ფენები (Les couches moyennes) — ლაპარაკობენ ბელგიური ფრანგულით, რომელშიც მრავლად გვხვდება ბრიუსელის ფლამანდიურიდან ნასესხები ფორმები.

თ) ერთენოვანი მოსახლეობა (Le peuple unilingue) — მათი მეტყველება გაჯერებულია ბრიუსელის ფლამანდიურით.

ი) ვალონელი იმიგრირებულნი (Les immigrés Wallons) — მათ ფრანგულს ემჩნევა ამ ადამიანების მშობლიური რეგიონების გავლენა (ამ შემთხვევაში ვალონური დიალოგის).

კ) იმიგრირებული მუშები (Les travailleurs immigrés) — ეს ქვეჯგუფი უმეტესწილად იტალიელებითა და მაროკოელებითაა წარმოდგენილი, რომლებიც სოციალური ურთიერთობის საშუალებად ფრანგულ ენას იყენებენ (146; 45).

ბეტენ ბეარდსმორს (Baetens Beardsmore) მიაჩნია, რომ ბრიუსელის მოსახლეობა შეიძლება შევადაროთ პირამიდას, რომლის ფუძეც წარმოდგენილია ფლამანდიური დიალექტით, ხოლო მწვერვალი — ფრანკოფონული მეტყველებით, რომელიც შედგება თაობების განმავლობაში მთლიანად გაფრანგულენოვანებული ფლამანდიელებისაგან. თუმცა მკვლევარი აღიარებს, რომ ბრიუსელის ფლამანდიელი მოსახლეობა პირად ურთიერთობებში ისევ ფლამანდიურ დიალექტს გამოიყენებს, მაშინ როცა ფრანგული ენა გამოიყენება უცნობ საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის. “Il semble que le flamand reste la langue du foyer et des rapports entre les familles, tandis que le français soit la langue des contacts avec les inconnus”. (27; 49).

ამჟამად ბრიუსელის მოსახლეობის (მილიონზე მეტი მცხოვრები) 3/4 ბელგიელია, რომელთა დიდი უმეტესობაც ფრანგულ ენას გამოიყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბრიუსელის სალაპარაკო ფრანგული მეტნაკლებად უახლოვდება სტანდარტულ ფრანგულს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. ქალაქის მოსახლეობის 1/4, რომელიც უცხოელებითაა წარმოდგენილი, შეიძლება ორ ჯგუფად გაყოთ:

პირველს შეიძლება ვუწოდოთ — “de luxe”, რომელიც წარმოდგენილია ინტერნაციონალური მომსახურე პერსონალით. მათი უმრავლესობა ფრანკოფონია, რომლებიც თავიანთ პირად ცხოვრებაში იყენებენ ფრანგულ ენას, მაშინ როცა საზოგადოებრივ სფეროში — ლაპარაკობენ ინგლისურად.

მეორე — ესაა “de chauffe”, რომელიც შედგება იმიგრირებული მუშახელისაგან (travailleurs immigrés), რომლებიც უმეტესწილად ხმელთაშუა ზღვის აუზის მკვიდრნი არიან და ფრანგული მათთვის უცხოური ენაა.

დღესდღეობით ბრიუსელი ღამით უფრო ფრანგულენოვანია, ვიდრე დღისით, რაც გამოწვეულია იმით, რომ დღიური მუშების 2/3 მეტი ფლამანდიელია,

რომლებიც ყოველდღე ჩამოდიან დედაქალაქში, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ კი — ტოვებენ მას.

ამჟამად ბრიუსელში ინგლისური იკავებს იმ პოზიციებს, რომლებსაც ფრანგული ფლობდა ახლო წარსულში. ბრიუსელი არა მარტო ბელგიის დედაქალაქია, იგი ამასთანავე მიჩნეულია ევროპის დედაქალაქადაც. ქალაქის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე მაშინ იზრდება, როცა მისი ეროვნული დონე დაბლა იწევს, რაც გამოწვეულია მრავალი უცხოელი მომსახურე პერსონალით, რომლებიც ურთიერთობის საშუალებად ინგლისურს ირჩევენ.

თუ ფრანგული გამოიყენება ევროგაერთიანების შიგა უწყებებში, საგარეო ურთიერთობაში — ინგლისური დომინირებს; თუმცა ბრიუსელში განლაგებული "ევროპელები" (ნიდერლანდელების გამოკლებით) ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ურთიერთობის საკითხში უპირატესობას ფრანგულ ენას ანიჭებენ.

თ ა ვ ი II

ვალონური დიალექტის როლი ბელგიური ფრანგულის ფორმირებაში

ბელგიურ ფრანგულზე საუბრისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ ბელგიის ტერიტორიაზე არსებული ენობრივი ოჯახები. ორიოდე სიტყვით შემოვიფარგლებით იმ ორი საზოგადოებრივი გაერთიანების შესახებ, რომლებიც ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს, თუმცა ფრანკოფონთა საზოგადოებრივი გაერთიანების გვერდით გვხვდება ბელგიაში. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებულია ნიდერლანდოფონთა (néerlandophone) გაერთიანება, ხოლო ვალონიის აღმოსავლეთით ვხვდებით გერმანოფონთა (germanophone) გაერთიანებას. (იხ. დანართი 3).

გარკვეული მიზეზების გამო, ამჟამად ქვეყანაში არ არსებობს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები თითოეული საზოგადოების შესახებ, მაგრამ ქვეყნის 10 მილიონი მცხოვრების 60%-ზე მეტი ნიდერლანდოფონია, რომელთა ოფიციალური ენაც ნიდერლანდურია, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი გამოიყენებენ სხვადასხვა ფლამანდიურ დიალექტებს.

გერმანოფონთა საზოგადოება ქვეყნის საერთო მოსახლეობის 1%-ზე ნაკლებითაა წარმოდგენილი და ისინი გერმანული ენის პარალელურად იყენებენ ძირითად ადგილობრივ დიალექტსაც.

ფრანგული გავრცელებულია ვალონიაში, ბრიუსელში და რამდენიმე ფლამანდიურ ქალაქში, კერძოდ ანტვერპენსა და გენტში, სადაც იგი წარმოდგენილია ფლამანდიური ბურჟუაზიის შთამომავლებით, რომლებმაც სრული ფრანციზაცია განიცადეს XVIII-XIX საუკუნეებში. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათ მიერ გამოყენებული ფრანგული განიცდის გარემომცველი პირობების გავლენას. ანტვერპენში არსებობს ცნობილი უბანი, რომელიც დასახლებულია ბრილიანტის კომერციაში სპეციალიზებულ ფრანკოფონ ებრაელთა ჯგუფით და რომელთა ფრანგულიც გაჯერებულია ფლამანდიური და ებრაული გამონათქვამებით. ბრიუსელში ფრანგული ენა ექცევა დედაქალაქის ფლამანდიურის გავლენის ქვეშ.

ბელგიურ ფრანგულ მეტყველებას ახასიათებს შერეულ ფორმათა სიმრავლე, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ორი ენობრივი ჯგუფის ურთიერთობით და რომელიც ვრცელდება ქვეყნის თითქმის მთელს ტერიტორიაზე. ეს ჯგუფები

ერთდროულადაა წარმოდგენილი როგორც გეოგრაფიული, ასევე სოციალური თვალსაზრისით. ასე მაგალითად, ლუქსემბურგის მოსახლეობის ფრანგული ენა, ერთი მხრივ, გეოგრაფიულ ჯგუფს წარმოადგენს, იგი ფლამანდიელი მოსახლეობის ენაა, რომელიც რომანულ-გერმანიკული ენობრივი საზღვრის ჩრდილოეთით მდებარეობს, მაგრამ მიუხედავად ამისა განიცდის ფრანგული ენის შესამჩნევ გავლენას; ხოლო, მეორე მხრივ, ლუქსემბურგის ფრანგული ენა სოციალურ დაჯგუფებაში ერთიანდება, რადგანაც გავრცელებას პოულობს საზოგადოების გარკვეულ ფენებში.

ფლანდრიული რეგიონის ფრანგული მეტყველება თითქმის მთლიანად ურბანულ ხასიათს ატარებს და ის საკმაოდ მკვეთრად ახდენს საზოგადოების ორი ფენის დიფერენციაციას:

1. გენტის (Gand) ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ფრანგული მშობლიური ენაა; სადაც მისი ინტონაცია ნაკლებად გამოკვეთილია, მისი სინტაქსი ხასიათდება განსაკუთრებული ელემენტების სიმცირით, ხოლო მის ლექსიკაში მცირე რაოდენობით ვხვდებით ადგილობრივ სიტყვებს: Mok (ცხვარი), mastelle (ნაღები), waterzooi (კერძი, რომელიც მზადდება წიწილის ხორციით ან თევზით).

2. ფლამანდიური ქალაქების გენტის, ანტვერპენის (Anvers), ოსტენდეს (Ostende), ლუვენის (Louvain) მცირე ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი ბილინგვია. ამ ქალაქების მოსახლეობის მიერ გამოყენებული ფრანგული ენის ფონეტიკა, სინტაქსი და ლექსიკა განიცდის ფლამანდიური დიალექტის ძლიერ გავლენას.

ვალონიის ტერიტორიაზე გავრცელებული ფრანგული კილოები, სოციალური თვალსაზრისით, ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფონეტიკითა და ლექსიკით, ხოლო გეოგრაფიული თვალსაზრისით – სინტაქსით. ანუ ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს ახასიათებთ განსხვავებული წარმოთქმა და განსხვავებული ლექსიკური ერთეულების გამოყენება, ხოლო ერთმანეთისგან მოცილებულ ტერიტორიაზე გავრცელებული კილოები განსხვავდება სინტაქსური ერთეულებით.

ბრიუსელი, დიდი ფლამანდიური ქალაქების მსგავსად, ორენოვანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს არის ქალაქი, სადაც ბელგიური ფრანგული მეტყველება ყველაზე მეტად უახლოვდება პარიზის ფრანგულ მეტყველებას.

ბრიუსელთან ახლოს მდებარე ვალონური რეგიონები ექცევიან მისი ზეგავლენის ქვეშ და მათი ფრანგული მდიდარია ბრიუსელიზმებით (bruxellismes) და ფლანდრიციზმებით (flandricismes).

ვალონიაში ბელგიურ ფრანგულს ემატება დიალექტური მემკვიდრეობის დამახასიათებელი თავისებურებანი, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ვალონური დიალექტის კილოთა ოჯახებთან, წარმოდგენილთაგან ვალონური დიალექტის ცალკეული კილოებით, კერძოდ: პიკარდიულით (le picard), დასავლეთვალონურით (l'ouest-wallon), ცენტრალური ვალონურით ანუ ნამურულით (le centre-wallon ou namurais), აღმოსავლეთ-ვალონურით, ე.წ. ლიეჟის ვალონურით (l'est-wallon avec notamment le wallon liégeois) და ლოტარინგიულით (le lorrain).

ამ კილოების გავრცელების არე ასახულია მკვლევარ რემუშამის (Remouchamps) რუკაზე (იხ. დანართი 4).

ვალონურ დიალექტის და მისი ცალკეული კილოების უფრო დაწვრილებით განხილვამდე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ორიოდე სიტყვით განგვემარტა დიალექტის მნიშვნელობა.

ლ. რემაკლი (169) ტერმინს დიალექტი სხვადასხვა მნიშვნელობით განიხილავს. მისი მოსაზრების თანახმად, თავისი ერთ-ერთი მნიშვნელობით, რომელიც მისი ფართო გავრცელების წყალობით ზოგადი განმარტება გახდა, დიალექტს შეუძლია აღნიშნოს ერთი ენის ყველა გეოგრაფიული სახესხვაობა; მაგალითად, ბრიუსელის ფრანგული ენა. თუმცა ამ თვალსაზრისით, რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, იმ არსებითი სახელის გვერდით, რომელიც აღნიშნავს ამა თუ იმ ენას (ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ფრანგულს), უმეტესად გამოიყენება ზედსართავი "რეგიონალური", რის შედეგადაც ადვილია გარჩევა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საუბარია რეგიონალურ ფრანგულზე, რომელიც გავრცელებულია ბელგიის ტერიტორიაზე.

ლ. რემაკლი მიიჩნევს, რომ ტექნიკური მნიშვნელობით დიალექტი არის ადგილობრივი კილოების ერთობლიობა, ერთი ენა, რომელიც თავისი განვითარების პროცესში თანდათან მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება; ქმნის კილოთა ერთობლიობას, რომელთა თავისებურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იცვლებიან ერთი მხარიდან სხვა მხარისაკენ გადანაცვლებისას, ისე როგორც ოდესღაც ეს მოხდა ლათინური ენის მაგალითზე, რომელმაც ჩრდილოეთ გალიაში შექმნა სხვადასხვა დიალექტები. ამიტომაც, ამ ცვალებად რეალობაში გარკვეული წესრიგის შექმნისათვის შეიქმნა დიალექტის ცნება, რომელიც

აერთიანებდა მონათესავე კილოებს, როგორც ეს ხდება ვალონურის, ლოტარინგიულის და პიკარდიულის შემთხვევაში.

რემაკლისავე აზრით დიალექტის მესამე განსაზღვრება სოციოლოგიურია და აღნიშნავს სტანდარტულ ენაში არსებულ ყველა ენობრივ სახეობას. ძლიერ საზოგადოებას გააჩნია ყველა ტიპის ნორმები, მათ შორის ენობრივიც. სტანდარტული ფორმების ერთობლიობა იქმნება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში, საზოგადოების წინსვლისა და გაძლიერების შედეგად, რაც შეიძლება ამ ენის სახელმწიფო ენად ჩამოყალიბებით დასრულდეს.

სახელმწიფო ენისაგან განსხვავებით, ადგილობრივი დიალექტი შესაძლოა არ გამოხატავდეს სხვადასხვა სოციალურ კლასთა დამახასიათებელ თავისებურებებს, რადგანაც ეს უკანასკნელი ვრცელდება განსაზღვრულ ტერიტორიაზე და გამოიყენება ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა მასების მიერ.

ადგილობრივი დიალექტი ხასიათდება ლექსიკური, გრამატიკული და ფონეტიკური თავისებურებებით, რაც მას გამოარჩევს სახელმწიფო ენისაგან. ადგილობრივი დიალექტების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ შეიძლება რომელიმე მათგანმა გააფართოვოს თავისი გავრცელების სფერო და წარმოქმნას მთელი ერისათვის საერთო ენა, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლება ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ენად, როგორც ეს მოხდა ფრანგული ენის მაგალითზე, როცა ილ-დე-ფრანსის (ფრანსიული) დიალექტი, რომელიც XII საუკუნიდან სარგებლობდა გარკვეული უპირატესობით სხვა დიალექტებთა შორის, XVI საუკუნეში გამოცხადდა საფრანგეთის სახელმწიფო ენად და შეცვალა ლათინური, რომელიც ატარებდა სახელმწიფო ენის ფუნქციას, მაგრამ მიჩნეული იყო მკვდარ ენად და აღარ გამოიყენებოდა საზოგადოების ფართო მასების მიერ. თუმც სახელმწიფო ენად აღიარებისთანავე ფრანგული არ ყოფილა ერთადერთი ენა, რომელიც გამოიყენებოდა საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე და მან მხოლოდ შემდგომ საუკუნეებში, ნელ-ნელა და სხვადასხვა სიძნელეების გადალახვით, შეძლო ადგილობრივი დიალექტების გაძევება. ადგილობრივი დიალექტები განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ფეოდალიზმის ეპოქაში, როცა ქვეყნის ტერიტორია დაყოფილი იყო ერთმანეთისგან იზოლირებულ მრავალ ფეოდალურ სამფლობელოდ, რომლებსაც გააჩნდათ თავიანთი გეოგრაფიული მეზობლებისგან იზოლირებული ენობრივი ერთიანობა, რომელსაც გამოიყენებდნენ როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობითაც. ქვეყნის ასეთმა დაყოფამ გამოიწვია ენის

დანაწევრება. თითოეულ მსხვილ ფეოდალურ სამფლობელოს გააჩნდა თავისი ადგილობრივი დიალექტი, თუ არ ჩავთვლით ამ სამფლობელოებში გავრცელებულ მრავალრიცხოვან კილოებს. ეს ადგილობრივი თუ რეგიონალური დიალექტები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ თავიანთი წარმოთქმით, ლექსიკითა და გრამატიკული სისტემებით. მათ გააჩნდათ თავიანთი დამწერლობა და ლიტერატურა, რითაც ისინი გამოირჩეოდნენ კილოებისაგან, რომლებიც გამოიყენებოდა უფრო მცირერიცხოვანი მოსახლეობის მიერ.

1. ბელგიური ფრანგულის ვალონური დიალექტები.

ბელგია, როგორც უკვე ზემოთაც არაერთგზის ავლინდნენ, სამი ენობრივი სფეროს შეხვედრის ადგილია: ჩრდილოეთით – ფლანდრია, სადაც გამოიყენება ნიდერლანდური ენა; სამხრეთით – ვალონია, ფრანგული ენით და ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთ ტერიტორია, სადაც გავრცელებულია გერმანული ენა. თუ ამ უკანასკნელს უგულვებელყოფთ, რადგანაც იგი ვრცელდება ქვეყნის ძალიან მცირე ტერიტორიაზე, შეიძლება ითქვას, რომ ბელგია წარმოდგენილია ორი თანაბარი ლინგვისტური რეგიონით, რომლის ცენტრალური ნაწილი, ბრიუსელი, ფლანდრიული წარმოშობისაა, თუმცა ამჟამად მნიშვნელოვნად გაფრანგულებული.

ამ ორი ლინგვისტური რეგიონის გამყოფი საზღვარი დასავლეთიდან აღმოსავლეთითაა გადაჭიმული: ლილიდან (Lille) ექს-ლა-შაპელისაკენ (Aix-la-Chapelle). იგი, ერთი მხრივ, ფრანკებსა და, მეორე მხრივ, რომანიზებულ კელტებსა და გერმანელებს შორის გაუაზრებელი ენობრივი ბრძოლის შედეგად წარმოიქმნა, რამაც გამოიწვია ენობრივი საზღვრის ცვალებადი ხაზის შექმნა, რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფს რომანულ და გერმანიკულ ლინგვისტურ ოჯახებს, რომლებიც, ნიდერლანდური და ფრანგული ენების გარდა, სხვადასხვა დიალექტებითაცაა წარმოდგენილი.

რომანულ და გერმანიკულ ენებს შორის არსებული ენობრივი საზღვარი, რომელიც ბელგიის ტერიტორიაზეა (იხ. დანართი N 1), ჩვენს ინტერესს იმ მხრივაც იწვევს, რომ იგი ფრანგული და ნიდერლანდური თუ გერმანული ენების გვერდით ვალონურ (le wallon) დიალექტს გამოყოფს ფლამანდიური (le flamand) და რენის (rhénant) დიალექტებისაგან.

რამდენადაც მკაფიოა ენობრივი საზღვარი ორ ენას შორის, იმდენად ბუნდოვანია ვალონიაში რომანულ დიალექტებს შორის არსებული საზღვრები,

განსაკუთრებით ვალონურსა და პიკარდიულთან (le picard) მიმართებაში, რომელიც დაახლოებით 20 კილომეტრამდე სიგანის გარდამავალ ზონას ქმნის.

ვალონური დიალექტი გავრცელებულია ბელგიის სამხრეთ ნაწილში: ლიეჟის (Liège), ნამურის (Namur), ლუქსემბურგის (Luxembourg) პროვინციებში და ასევე არდენის (Ardenne) ფრანგული დეპარტამენტის ჩრდილოეთით.

ლინგვისტურ ლიტერატურაში ვალონური დიალექტის უფრო ვრცელი განმარტებაც არსებობს. რიგ ნაშრომებში ტერმინით “ვალონური” აღინიშნება რომანულ ბელგიაში არსებული ყველა რომანული დიალექტი: უშუალოდ ვალონური დიალექტის გვერდით მოიხსენიება რომანულ ბელგიაში გავრცელებული ე.წ. არავალონური დიალექტები: პიკარდიულის ბელგიური სახესხვაობა ე.წ. რუში (rouchi) და ლოტარინგიულის ბელგიური ვარიანტი ე.წ. გომე (gaumais); ხოლო რომანული დიალექტების გავრცელების ზონა ბელგიის ტერიტორიაზე, შესაბამისად, იწოდება ვალონიად (Wallonie), რომელიც რომანისტიკაში გამოიყენება “რომანული ტრადიციების მქონე ბელგიის მნიშვნელობით” (Belgique de la tradition romane) და არა მხოლოდ “ვალონური დიალექტების გავრცელების ზონად” (aire des dialectes wallons).

ვალონური დიალექტის გავრცელების ზონა ჩრდილო-აღმოსავლეთით შემოსაზღვრულია რომანულ-გერმანიკული ენობრივი საზღვრით, რომელიც ბელგიის ტერიტორიაზე რომანულ დიალექტებს გამოყოფს ფლამანდიურისაგან, ხოლო გერმანიის საზღვარზე – გერმანულისაგან; სამხრეთით ეს საზღვარი წარმოდგენილია სახელმწიფო საზღვრით საფრანგეთთან, ასევე გარდამავალი ზონებით ვალონურსა და ლოტარინგიულ, ვალონურსა და შამპანურ დიალექტებს შორის. დასავლეთით კი ვალონურ-პიკარდიული საზღვარი წარმოდგენილია საკმაოდ ვრცელი გარდამავალი ზონით.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი დიალექტები, სხვა მრავალ დიალექტთან ერთად, დასაბამს იღებენ რომის იმპერიის დასასრულს გალიაში დამკვიდრებული ხალხური ლათინურისაგან. ყველა ეს დიალექტი 3 ძირითად ჯგუფში ერთიანდება, რომელთა დიფერენციაციაც შესამჩნევია უკვე IX საუკუნიდან და უფრო თვალშისაცემი ხდება X საუკუნეში. ეს ჯგუფებია:

1. La langue d’oil (du nord) — ჩრდილოეთის დიალექტები, რომლებიც გავრცელებულია გალიის ჩრდილო-დასავლეთით.

2. La langue d’oc (du midi) — სამხრეთის დიალექტები გალიის სამხრეთით.

3. Les dialectes franco-provençaux — გავრცელებული იყო ლიონის მახლობლად, დოფინეს ჩრდილოეთით, ბურგუნდიის სამხრეთით, ფრანშ-კონტეს მხარეში, ასევე სავეასა და რომანულ შვეიცარიაში.

თითოეული ეს მსხვილი ჯგუფი შეიცავს მრავალ დიალექტს. ასე მაგალითად: La langue d'oïl-ში გაერთიანებულია ილ-დე-ფრანსის (Île-de-France ou le francien), პიკარდიული, ნორმანდიული (le normand), ვალონური, ლოტარინგიული (le lorrain), შამპანური (champenois), ბურგუნდიული (le bourguignon) და სხვა დიალექტები; ხოლო La langue d'oc-ში პროვანსული კილოები (les parlers provençaux): ლანგედოკური (le languedocien), ოვერნული (l'auvergnats), ლიმოჟური (le limousin), გასკონური (le gascon) დიალექტები. (იხ. დანართი 2).

სამხრეთის დიალექტებმა (langue d'oc) განიცადეს რომაელთა უფრო ძლიერი გავლენა, ხოლო ჩრდილოეთის დიალექტებმა (langue d'oïl) შეინარჩუნეს უფრო მეტი გალური ელემენტი და იქ შეგვიძლია გერმანიკული გავლენის კვალიც ვიპოვოთ. რაც შეეხება ფრანკო-პროვანსალურ დიალექტებს, მათთვის დამახასიათებელია ორმაგი თავისებურება: გააჩნიათ სამხრეთული დიალექტების ვოკალიზმი და ჩრდილოეთის დიალექტების კონსონანტიზმი და პალატალიზაცია.

ჩრდილოეთისა და სამხრეთის დიალექტები განსხვავდება გრამატიკული ფორმებით. ანალიტიკური ტენდენციები ჩრდილოეთის დიალექტებში უფრო ძლიერია, შესაბამისად მათი ბრუნების სისტემა ადრე ქრება; უღლების ძველი სისტემის გაუქმებამ გამოიწვია დამხმარე სიტყვების რიცხვის გაზრდა. სამხრეთულ დიალექტებში, პირიქით, ზმნური დაბოლოებები უფრო შენარჩუნებულია. რაც შეეხება ლექსიკურ მარაგს, დიალექტებს გააჩნდათ მრავალი სიტყვა, რომელიც აღნიშნავდა იმ რეგიონისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ ნივთებს, სადაც გამოიყენებოდა ეს დიალექტი.

ჩრდილოეთ გალიაში ვალონური დიალექტების გავრცელების სფერო ისტორიულად მარგინალური არეალის ხასიათს ატარებს ფრანგულ ენასთან მიმართებაში, რადგანაც მდებარეობდა ამ უკანასკნელის სახელმწიფო საზღვრებს მიღმა.

უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში ვალონური დიალექტისა და ცენტრალური ფრანგულის გავრცელების ზონები სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდნენ. 567 წელს, მეროვინგების დინასტიის დაცემის შედეგად, მომავალი ვალონიის ტერიტორია ავსტრახიის შემადგენლობაში აღმოჩნდა და მისი დედაქალაქი იყო რემსი, მაშინ როცა პარიზი გახდა ნესტრის

დედაქალაქი. კაროლინგების დროს ამ ტერიტორიების თანაარსებობა, ვერდერის ხელშეკრულების თანახმად, 843 წელს კვლავ გაიყო, რის შედეგადაც ვალონიის ტერიტორია გადავიდა აღმოსავლეთ-ფრანკთა სახელმწიფოში, ხოლო ცენტრალურფრანგული – დასავლეთ-ფრანკთა სახელმწიფოში. ენოს, ნამურის და ლუქსემბურგის მიწები XI საუკუნემდე ქვემო ლოტარინგიის საჰერცოგოს კუთვნილებაში იყო, რომელიც დაიყო ფეოდალურ სამფლობელოებად, რომლებიც არც საფრანგეთს ექვემდებარებოდა და არც გერმანიას, ესენია: ენოს, ბრაბანის, ლიმბურგის, ნამურის, ლუქსემბურგის საგრაფოები. XI-XII საუკუნეებში ლიეჟის, კამბრეს საეპისკოპოსოებიც წარმოადგენდნენ ავტონომიურ ადმინისტრაციულ ერთეულებს.

თავად ფრანგული ენაც d'oïl-ის ჯგუფს მიეკუთვნება და დასაბამს იღებს ფრანსიული დიალექტისაგან, რომელიც XII საუკუნიდან გარკვეული უპირატესობით სარგებლობდა სხვა დიალექტებთან მიმართებაში, რის შედეგადაც გააფართოვა თავისი გავრცელების სფერო და თანდათანობით ჩამოყალიბდა სახელმწიფო ენად.

ამავე პერიოდში (XII-XIVსს) ხდება ვალონური დიალექტის ინდივიდუალიზაცია და მისი საბოლოო იზოლირება ცენტრალურფრანგული და მეზობელი დიალექტებისაგან (პიკარდიული და ლოტარინგიული). ცენტრალურფრანგული ზონისგან ვალონური დიალექტის დამოუკიდებლად, ხანგრძლივი განვითარების შედეგად, ხდება მისი ფორმირება რამდენიმე ადგილობრივი კილოს ერთიანობად, რომლებსაც გააჩნდათ ნიშანთა სპეციფიური ერთობლიობა.


ვალონური დიალექტის კილოთა ჯგუფებად დაყოფის ამჟამინდელი ფორმარემაკლის (Remacle) (162) მიერაა დადგენილი, რომელიც თავდაპირველად ემყარებოდა 21 ფონეტიკურ და 9 მორფოლოგიურ იზოგლოსს, ხოლო შემდგომ განმტკიცებული იყო 100 ლექსიკური რუკის ანალიზით. რემაკლის მოსაზრების თანახმად, 2 ვალონური ზონა არსებობს:

1. ლიეჟის ანუ აღმოსავლეთ-ვალონური ზონა (l'est-wallon avec notamment le wallon liégeois), რომელიც მოიცავს ლიეჟის (Liège) პროვინციას, დინანის (Dinant) რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთს, მარშისა (Marche) და ბასტონის (Bastogne) ოლქების ჩრდილოეთ ნაწილს. ლიეჟის ზონის კილოებში გამოიყოფა შემდეგი სახესხვაობები: უის (Huy), აღმოსავლეთ მალმედის (Malmédy) და ვერვიეს (Verviers) კილოები.

2. ნამურულის ანუ ცენტრალურვალონური ზონა (centre-wallon ou namurois) აერთიანებს ნამურის (Namur) ოლქს, ფილიპევილის (Philippeville) ოლქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, კივეს (Givet) ჩრდილოეთ ნაწილს, ასევე დინანის ოლქის ჩრდილოეთს, მარშის ოლქის 3 რეგიონს და ნეფშატოს (Neufchâteau) ოლქის 2 რეგიონს ჩრდილოეთით.

ბელგიაში არსებულ ვალონურ და არავალონურ ზონებს შორის გამოიყოფა შერეული ხასიათის დიალექტური ზონები. დასავლეთით – ვალო-პიკარდიული, იგივე დასავლურ ვალონური (wallo-picard ou l'ouest-wallon) და სამხრეთით – ვალო-ლოტარინგიული ე.წ. სამხრეთ-ვალონური (wallo-lorrain ou le sud wallon). როგორც თავად სახელი მიუთითებს, ვალო-პიკარდიული და ვალო-ლოტარინგიული, მეზობელ კილოებთან ერთად ქმნიან გარდამავალ ზონებს, რომელთა გავრცელების სფეროც უმეტესწილად საფრანგეთში მდებარეობს. რემაკლის სქემა ძირითადად ემთხვევა ა. მარეშალის (145) სქემას, რომელიც ფონეტიკური და მორფოლოგიური ნიშნების საფუძველზე, ვალონური დიალექტის შიგნით გამოყოფს შემდეგ ზონებს: აღმოსავლეთვალონურს (ლიეჟის პროვინცია და ლუქსემბურგის პროვინციის აღმოსავლეთი), ცენტრალურვალონურს (აღმოსავლეთ ბრაბანი, ნამურის პროვინცია და ლუქსემბურგის პროვინციის ცენტრალური ნაწილი) და დასავლეთვალონური (გარდამავალი ზონა ვალონური დიალექტის ნამურულ კილოსა და პიკარდიულ დიალექტს შორის).

ვალონური დიალექტი, განსაკუთრებით კი მისი ლიეჟური ვარიანტი, დიდ ყურადღებას იწვევს როგორც რომანისტებში, ასევე გერმანისტებშიც. ლიეჟურ კილოში შენარჩუნებულია დიდი ნაწილი ისეთი სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომელიც დღევანდელ ფრანგულში აღარ გვხვდება. ასეთი ტერმინების საკითხში, იგი ლათინურ ენას უფრო უახლოვდება, ვიდრე ფრანგულს:



მეორე მხრივ, თავისი გავრცელების უკიდურეს საზღვრებში, მასში აღწევს ხალხური ფრანგულისათვის დამახასიათებელი მრავალი ტენდენცია, რის მაგალითადაც შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფორმების "nous autres" და "vous

autres" (ჩვენისთანები, თქვენისთანები) ხშირი გამოყენება; და ბოლოს, ნიდერლანდურ და გერმანულ ენებთან სიახლოვე, რომელთა შორისაცაა მოქცეული ლიეჟური დიალექტი, მასზე ძლიერ გერმანიკულ კვალს ტოვებს, რის გამოც მას განსაკუთრებულად დამახასიათებელი თავისებურებების სიმრავლე ახასიათებს.

ვალონური დიალექტის შესწავლისას ვილმოტმა მართებულად მიიჩნია ისტორიისა და დიალექტოლოგიის ურთიერთკავშირი, რათა ნათელი მოჰფენოდა არასაკმარისად შესწავლილ წარსულ ეპოქას, «en vue de projeter une lumière nouvelle sur la période encore mal explorées de notre passé» (183; 10). მან ფრანკო-ბელგიური ცივილიზაციის განვითარების საკითხში ყურადღება გაამახვილა კელტურ გავლენაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ კელტური სუბსტრატის გადმონაშთი ვალონიაზე მხოლოდ მცირერიცხოვანი მაგალითებით შემოიფარგლება, მაშინ როცა ნასესხობებთა უმრავლესობა გერმანიკულ აღსტრატს მიეკუთვნებოდა. კელტური ელემენტების კვალისა და გერმანიკული ნასესხობების გავლენის არსებობა საერთო ფრანგულში უკვე დამტკიცებულია და რომანისტებისთვის ეს აღარ წარმოადგენს დავის საგანს. კელტები საკმაოდ ადრე გაქრნენ და მათი უკანასკნელი წარწერა თარიღდება IV საუკუნით; თუმცა რომანულ ბელგიაში კელტების გვერდით მრავალრიცხოვანი გერმანიკული ტომებიც იყვნენ, ჯერ კიდევ იულიუს კეისრის პერიოდიდან მოყოლებული, რომელთა მნიშვნელობაც თანდათანობით იზრდებოდა. მოგვიანებით კი ყველაზე ტიპური ვალონური დიალექტი, ლიეჟურის სახელწოდებით, განიცდის გერმანიკულ გავლენას. თუ კელტური სუბსტრატი იგრძნობა მხოლოდ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, გერმანიკული აღსტრატის გავლენა გრძელდება უკვე 20 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს ყველაფერი მშვენივრად გაითვალისწინა ჰაუსტმა (109-115) და გერმანიკულ გავლენას უდიდესი ყურადღება დაუთმო თავის შრომებში, რომლებშიც ის იკვლევდა ვალონური დიალექტის თავისებურებების გამომწვევ მიზეზებს.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიკული გავლენა ასეთი ძლიერი იყო, ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ვილმოტის (184) მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ვალონური ფონოლოგიის თითოეული მოვლენა, რომელიც მსგავსია გერმანული მოვლენისა, თითქოს მისგან მომდინარეობდეს.

საერთო ჯამში ლიეჟურის სახელით ცნობილი ვალონური დიალექტი ყველაზე საინტერესოა, რადგანაც იგი ყველა დანარჩენზე უკეთ ასახავს

ვალონური დიალექტისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. იგი არის ძველი ლიეჟის სამთავროს ლინგვისტური გამოხატულება, ისევე როგორც ნამურული – ძველი ნამურის საგრაფოს დიალექტი. ეს ორი დიალექტი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისევე როგორც ნამურული და შესტროლური (le chestrolais) – ნეფშატოს დიალექტი. ვალონური დიალექტის სამ ქვე-დიალექტად დაყოფის ტრადიციულ ფორმას, რომელიც წარმოდგენილია აღმოსავლეთ-ვალონურით, დასავლეთ-ვალონურითა და ცენტრალურ-ვალონურით იგივე ნამურულით, ემატება მეოთხე დიალექტი შესტროლურის სახით, რომელიც, ნამურულთან ერთად, ერთიანდება ცენტრალურ-ვალონურში; თუმცა მისი დამატება ცოტა გადაჭარბებულად მიგვაჩნია, რადგანაც მისგან განსხვავებით, ლიეჟური და ნამურული ლიტერატურული დიალექტებია და გარკვეულ უპირატესობას ფლობენ შესტროლურთან მიმართებაში.

საბოლოოდ, ვალონიის ტერიტორიაზე 4 ძირითადი ქვე-დიალექტის გარდა (ლიეჟის, ნამურის, შესტროლურის და დასავლეთ-ვალონური დიალექტები), ვხვდებით არავალონურ დიალექტებს პიკარდიულის და ლოტარინგიულის სახით.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ვალონურ დიალექტებს შორის მკვეთრი განსხვავების არსებობის მიუხედავად, მათ ერთი საერთო აქვთ: ეს არის მათი პოპულარობა.

დიალექტების წინააღმდეგ შეგნებული ბრძოლა ფრანგული ენის სასარგებლოდ XVIII საუკუნეში დაიწყო ლიეჟის სამთავროში, რისი გამკლავებაც ვალონურმა შეძლო მხოლოდ და მხოლოდ იმის მეშვეობით, რომ მისი მნიშვნელობა როგორც საერთო ენისა საკმაოდ დიდი იყო. მართალია, ამ პერიოდში აღარ ხდებოდა ვალონური დიალექტის გამოყენება სალიტერატურო ენის სტატუსით, რაზეც ჩვენ უფრო დაწვრილებით ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ, მაგრამ იგი კვლავ ყველგან ისმოდა ლიეჟის ქუჩებში. თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ დიალექტი უმეტესად დაბალი საზოგადოების და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლების მიერ გამოიყენებოდა და თანაც საკმაოდ გაფრანგულებული ფორმით, ამიტომაც იგი ხშირად ადვილად უთმობდა ადგილს ფრანგულ ენას. ამ პერიოდის დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებში საკმაოდ იშვიათად იყენებდნენ დიალექტებს. თავისთავად ცხადია, რომ მას უფრო ხშირად მიმართავდა სოფლის მოსახლეობა, სადაც მას ხშირად ადარებდნენ დაუძღურებულ ჰოლანდიურ დიალექტებს, რომლებთან მიმართებაშიც დიდი მნიშვნელობა ექცეოდა ვალონური კილოების სიცოცხლისუნარიანობას.

ა. დოზა თვლის (10), რომ ვალონური დიალექტის ფორმირებამ საფრანგეთის სახელმწიფო საზღვრებს გარეთ და მისმა ხანგრძლივმა არსებობამ განაპირობა ამ უკანასკნელის უდიდესი სტაბილურობა ფრანგული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით.

ბელგიის ლინგვისტური სიტუაცია ხასიათდება ბილინგვიზმით, ერთი და იგივე პირის მიერ სხვადასხვა ენის ერთდროულად გამოყენებით – ფრანგული და ვალონური ან ფლამანდიური დიალექტი, ფრანგული და გერმანული ენები; ასევე დიგლოსიით, რაც ხასიათდება ენისა და დიალექტის მორიგეობით (ალტერნატიული) გამოყენებით. ეს ენობრივი ურთიერთზემოქმედების პროცესი აისახება ვალონურ დიალექტზეც, რომელიც ისტორიულად ვითარდებოდა, როგორც გერმანულ ენასა და დიალექტებთან, ასევე ფრანგულ ენასთან და მის დიალექტებთან კონტაქტით.

ენობრივი სისტემიდან ყველაზე ღია — ლექსიკაა, ამიტომაც ლექსიკური ელემენტები უდიდეს ცვალებადობას ავლენენ ენათა ურთიერთობის შედეგად. გერმანული სუბსტრატის ხანგრძლივი გავლენის შედეგად ვალონური დიალექტების ლექსიკაში დამკვიდრებული გერმანიზმების მნიშვნელოვანი რიცხვი მიგვითითებს, რომ ისინი უმეტესად ფლამანდიური წარმოშობისაა. არამონათესავე ენების ენობრივი სისტემების ურთიერთობა არ ხასიათდება მათი ძლიერი ურთიერთზეგავლენით, რაზეც მეტყველებს რომანულ-გერმანიკული ენობრივი საზღვრის სტაბილურობა და სიმტკიცე, ხოლო ახლომონათესავე ენების კონტაქტები ატარებს უფრო ღრმა ხასიათის შედეგებს. ამგვარად, ვალონური დიალექტის მრავალსაუკუნოვანმა კონტაქტმა ფრანგული ენის ისეთ დიალექტებთან, როგორებიცაა პიკარდიული და ლოტარინგიული, წარმოქმნა ვალო-პიკარდიული და ვალო-ლოტარინგიული გარდამავალი ზონები.

ვალონურ, პიკარდიულ და ლოტარინგიულ დიალექტებზე საუბრისას უნდა დავაზუსტოთ, რომ სამივე მათგანი მიეკუთვნება ჩრდილოეთ ვალო-რომანულ დიალექტებს (*des dialectes gallo-romans du Nord*) და არა “ფრანგულ დიალექტებს” (*dialectes français*) ან “ფრანგული ენის დიალექტებს” (*dialectes du français*), ხოლო გავრცელებული არიან რა რომანული ბელგიის ტერიტორიაზე, მათ შეიძლება ბელგიურ-რომანული დიალექტებიც ვუწოდოთ.

ბელგიურ-რომანული დიალექტების შემადგენელი ელემენტები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან *d'oil*-ის სხვა დიალექტებისა და ფრანგული ენისაგან. შესაძლოა მათი მეტ-ნაკლებად განმასხვავებელი თავისებურება იყოს მათი

მნიშვნელოვანი კავშირი ახლობელ გერმანიკულ ელემენტებთან (ნიდერლანდური და გერმანული ენები, ფლამანდიური და რეინის დიალექტები).

თავისი ბუნებით კილოები ღარიბია აბსტრაქტული ტერმინებით და მდიდარი კონკრეტული თუ გადატანითი გამოთქმებით (ტრადიციული შედარებები, გამონათქვამები, ლექსიკალიზებული კალამბურები და ა.შ.), რაც ფრანგულისთვისაცაა დამახასიათებელი, მხოლოდ ხალხურ და ქარგონულ სფეროში.

ლიეჟური : « i-n-a ne mohe è l'òrloldje »

სალიტერატურო ფრანგული : « il y a une mouche dans l'horloge », « il y a de l'eau dans le gaz » — (ჩხუბის სუნი ასდის).

ლიეჟური : — aveûr dès wèzes è cou

სალიტერატურო ფრანგული : — avoir des guêpes dans le cul, ne pas tenir en place (მოუსვენრობა, ერთ ადგილზე ვერ გაჩერება; გული ყელში აქვს მობჯენილი).

ამასთანავე კილოები გაცილებით კონსერვატიულები არიან. ვალონური და პიკარდიული ლექსიკის თავისებურებათა დიდი ნაწილი დღესდღეობით ფრანგულთან შედარებით ძველია, რაც იმით აიხსნება, რომ მათ კილოებში შემონახული იქნა ის ტერმინები, რომლებიც დროთა განმავლობაში ფრანგულში სხვებით იქნა შეცვლილი:

მაგ. FB *acertiner* — FF « *affirmer* » (დადასტურება),

FB *aloue* — FF « *allumette* » (ასანთი),

FB *lesicles* — FF « *lunettes* » (სათვალდე),

FB *chain* — FF « *viande* » (ხორცი),

FB *courtil* — FF « *sardin* » (სარდინი),

FB *geline* — FF « *poule* » (ქათამი),

FB *huis* — FF « *porte* » (კარები),

FB *linceul* — FF « *drap de lit* » (ზეწარი),

FB *serrer* — FF « *fermer* » (დახურვა),

FB *voie* — FF « *chemin* » (გზა) და ა. შ.

ბელგიურ-რომანული კილოების ერთიანობაზე ან მათ რამდენიმე სახესხვაობაზე საუბრისას ჩვენ არ ვფლობთ ლექსიკის დეტალურად და ზუსტი სახით აღწერის მთელ სინთეზს, რისგანაც ისინი შედგება. ამიტომაც ჩვენ

სწრაფი ჩამოთვლით შემოვიფარგლებით და მხოლოდ ზედაპირულად შევეხებით თითოეული ფენისთვის დამახასიათებელ რამდენიმე ტიპიურ მაგალითს.

ძირითადი ლექსიკური ფონდი მომდინარეობს ლათინური ენიდან. უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთ კილოები ერთადერთია d'oïl-ის შემადგენლებს შორის, რომლებიც ფლობენ რამდენიმე ლათინურ სიტყვას და მათ ინაწილებენ სხვა რომანულ ენებთან ერთად. შმიდტმა (იხ. 163) გვიჩვენა უკიდურესი ჩრდილოეთის ლათინიზაცია და მათი ნათესაობა, რაც შეწყდა ფრანკების გამოჩენით:

მაგ latin : acia – FF « fil à coudre » (საკერავი ძაფი), liégeoise : fi d'èce (უხეშიძაფი) ;

latin : scalpellum — FF « petit couteau » (პატარა დანა), liégeois : hèrnê (დურგლის დანა),

latin : terreus — FF « de terre », liégeois : tîdje (ძველი, მოუპირკეთებელი გზა).

ბელგიურ-რომანული დიალექტების ლექსიკურ ფონდზე ფრანკთა გავლენა მნიშვნელოვანია, რამაც განაპირობა ამ დიალექტების ორიგინალური ხასიათი, რაც მათ განასხვავებს დასავლურრომანული ენებისაგან. მთელი ჩრდილო გალიის ლექსიკურ ფონდში დიდი ნაწილი სიტყვებისა ფრანკული წარმოშობისაა და შესაბამისად ისინი გვხვდება ვალონურში, პიკარდიულში, ლოტარინგიულში და გარკვეულწილად ფრანგულშიც, მაგრამ, ბელგიურ-რომანული დიალექტებისაგან განსხვავებით, რომლებშიც შენარჩუნებულია ეს სიტყვები, ფრანგულ ენაში ისინი უარყოფილი და შეცვლილი იქნა სხვადასხვა ეპოქაში: ასე მაგალითად, ნამურულ დიალექტში შენარჩუნებულია ფრანკული წარმოშობის სიტყვა « buk », რომელიც ფრანგულ ენაში შეიცვალა სიტყვით « tronc » (დერო, ტანი), პიკარდიული და ნამურული « oder » — FF « fatiguer » (დაღლა, დაქანცვა).

არის შემთხვევები, როცა ბელგიური კილოების კონსერვატიზმის შედეგად ხდება ფრანკული სიტყვების წინა პერიოდის ლათინური სიტყვების შენარჩუნება, რომლებიც აღარ გამოიყენება ფრანგულში. მაგ. მთელს რომანულ ბელგიაში ლათინური (co-hort-ilem) წარმოშობის სიტყვა courtil (ბაღჩა) გამოიყენება jardin-ის (ბაღი) გვერდით, რომელიც ფრანკული წარმოშობისაა (gard-inum).

გერმანიკული სუბსტრატის ასეთი ძლიერი გავლენა აღინიშნება ფონეტიკურ სფეროშიც, ფონემა [h]-ის მიღებით, რომელიც ფრანგულში დაიკარგა, მაგრამ ვალონიის მთელს აღმოსავლეთ მხარეში შენარჩუნებულია (ლიეჟურში, სამხრეთ ვალონურში, გომეში) და გერმანიკული [w]-ს სესხებით ყოველგვარი სახეცვლილების გარეშე:

მაგ. * wardōn > warder ‘garder’ (თვალყურის დევნება).

ასევე მნიშვნელოვანია შედარებით ახალი გერმანიკული ელემენტების რიცხვი, რომლებიც ნასესხებია ნიდერლანდური და გერმანული ენებიდან; ასევე ამ ენებთან მონათესავე დიალექტებიდან, რაც გამოწვეულია მათი გეოგრაფიული მდებარეობით, როგორც ჩრდილოეთით, ასევე აღმოსავლეთით. თუმცა ხშირად რთულია ამ ნასესხობების თარიღის დადგენა.

ბელგიურ-რომანული დიალექტების ლექსიკურ ფონდზე გაცილებით დიდია ფრანგული ენის გავლენა და იგი არ წყვეტს პროგრესირებას, განსხვავებით ახალი გერმანიკული ელემენტებისაგან, რომლებიც დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მცირდება. ფრანგული ენის გავლენა განპირობებულია როგორც ქვეყნის გარედან — საფრანგეთიდან, ასევე თვით ბელგიის შიდა ტერიტორიიდანაც, რადგანაც ვალონიაში ფრანგული ენა კულტურისა და კომუნიკაციის ენად იყო აღიარებული საუკუნეების განმავლობაში, რის გამოც საფრანგეთიდან ყველაზე მოშორებულ რეგიონშიც კი ფრანგული ელემენტები მნიშვნელოვნად გამოკვეთილია.

ვალონური დიალექტი, მთელი მისი ისტორიული განვითარების განმავლობაში ხასიათდებოდა ფრანგულ სალიტერატურო ენასთან ურთიერთობით, რომელიც ჯერ კიდევ დიალექტის ფორმირების პროცესში დაიწყო. თავიდანვე აღინიშნებოდა საზოგადოებრივი ფუნქციების გაყოფა ვალონურ დიალექტსა და ფრანგულ ენას შორის; პირველი დამკვიდრდა, როგორც ყოველდღიური ურთიერთობის საშუალება, ხოლო მეორე — როგორც ოფიციალურ-საქმიანი ენა. ფრანგული ენის გავლენა ხასიათდებოდა მუდმივი მატებით. ბელგიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ იგი ხდება ქვეყნის სახელმწიფო ენა. თუმცა XIX საუკუნის II ნახევრამდე ვალონური დიალექტი ბატონობდა ყოველდღიური ურთიერთობის სფეროში და ამ ფუნქციით საზოგადოების ყველა კლასის მიერ გამოიყენებოდა. მოგვიანებით, ვალონური დიალექტი, რომელზეც მეტყველებდა სოფლის მოსახლეობა, ხდება ადმინისტრაციული ფუნქციის მატარებელი ელემენტი ადგილობრივ ადმინისტრაციებში. XX საუკუნის II ნახევრიდან ვალონური დიალექტი ნელ-ნელა მკვიდრდება ვალონელი ბილინგვების პასიურ მარაგში, რის შემდეგაც იგი კვლავ გამოიყენება ფრანგული ენის გვერდით განსაზღვრულ ექსპრესიულ სიტუაციებში. ამგვარად, ვალონური დიალექტი ფუნქციონირებს ბელგიური ლინგვისტური სიტუაციის პირობებში, არა მარტო როგორც არსებული ფრანგული ენის

დიალექტური ფორმა, არამედ როგორც მისი ფამილიარულ-სამეტყველო სტილი, რომელიც უმეტესად ზეპირმეტყველების ფორმით გამოიხატება.

ვალონური დიალექტისა და ფრანგული სალიტერატურო ენის ურთიერთხემოქმედების შედეგად ბელგიაში გაჩნდა ფრანგული ენის არსებობის შუალედური ფორმები, რის გამოც ვალონური გვევლინება ფრანგული ენის ერთგვარ რეგიონალურ ფორმად. ფრანგული ენის ამ სპეციფიური ფორმის არსებობა აღინიშნება ბელგიური ლინგვისტური ტერმინით "დიალექტური ფრანგული ენა".

რეგიონალური ფრანგულის სახელით იწოდება საფრანგეთის საზღვრებს გარეთ გავრცელებული ფრანგული ენა (ბელგია, შვეიცარია, კანადა). ამ ქვეყნებში გამოყენებულ ფრანგული ენის სახეობებს შორის განსხვავება უპირველეს ყოვლისა ლექსიკაში გამოიხატება. ხშირად ესენია სტანდარტული ფრანგული (საფრანგეთში გავრცელებული ფრანგული) სიტყვის ეკვივალენტები. მაგ. ბელგიაში ამბობენ:

(FB) Amitieux — (FF) Affectueux (მოსიყვარულე);

(FB) Avant-midi — (FF) Matinée (დილა);

ხოლო რიცხვითი სახელების ბელგიური ფორმები:

(FB) Septante — (FF) Soixante-dix (სამოცდაათი);

(FB) Octante — (FF) Quatre-vingt (ოთხმოცი);

(FB) Nonante — (FF) Quatre-vingt-dix (ოთხმოცდაათი)

საყოველთაოდ ცნობილი ბელგიციზმები და ჰელგეციზმებია (ფრანგული ენის კონსტრუქცია ბელგიასა და რომანულ შვეიცარიაში), რომლებიც სხვა ფრანკოფონულ ქვეყნებშიც არც თუ იშვიათად გამოიყენება.

რეგიონალური ელემენტების წილი ენაში, რომელსაც შეიძლება ენის დიალექტური ნაწილიც ვუწოდოთ, ძალიან მცირეა საერთო ლექსიკურ ფონდთან მიმართებაში, რაც იწვევს მათი გაგების გაადვილებას გავრცელების ფართო ტერიტორიაზე.

დიალექტებში დამკვიდრებული სტანდარტული ფრანგული სიტყვების პარალელურად, თავად ამ უკანასკნელის ლექსიკურ ფონდშიც არსებობს ნასესხები სიტყვების გარკვეული რიცხვი, რომელიც დამკვიდრდა რეგიონალური ენების გავლენით, რომელთა ტერიტორიაზეც გამოიყენებოდა სხვადასხვა დიალექტები.

ფრანგულ ენასთან ხანგრძლივი თანაარსებობის მიუხედავად, ვალონურმა დიალექტმა შეძლო თავისი ინდივიდუალურობის შენარჩუნება, რისი ნათელი მაგალითიცაა ვალონური ლიტერატურული ტრადიციების შექმნა XVI საუკუნეში. მოგვიანებით დიალექტური ლიტერატურის აქტივიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლიტერატურულმა საზოგადოებამ, რომელიც 1856 წელს შეიქმნა ლიეჟში და გააჩნდა საკუთარი სტამბა "Bulletin de la Société de Langue et de Littérature wallonnes", სადაც იბეჭდებოდა როგორც ვალონურ დიალექტზე შექმნილი ლიტერატურა, ასევე სამეცნიერო ნაშრომები ვალონურ დიალექტოლოგიაში. ამრიგად, ვალონური დიალექტი მიეკუთვნება ცოცხალი ლიტერატურული დიალექტების რიცხვს, რომელიც უპირისპირდება დღესდღეობით თითქმის სრულიად გამქრალ ე.წ. "ისტორიულ დიალექტებს", რომლებიც წარმოდგენილი იყო მხოლოდ ზეპირმეტყველებით.

XX საუკუნის II ნახევრიდან ვალონურ დიალექტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლების სისტემაშიც. განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით იგი ხდება დამატებითი საგანი დაწესებით და საშუალო სკოლებში; ასევე შედის უმაღლესი კუმანტარული განათლების სისტემაში. ლიეჟის უნივერსიტეტში იქმნება ვალონური ლიტერატურის ისტორიისა და ვალონური დიალექტოლოგიის კურსები, რომლებსაც კითხულობდა ჰაუსტი (J. Haust). ლიეჟისა და ლუვენის უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს დიალექტოლოგიური კვლევის ცენტრები. ვალონური დიალექტი გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მცირე ტირაჟით გამოიცემა რეგიონალური მნიშვნელობის ვალონური ჟურნალ-გაზეთები. ვალონურ დიალექტზე წარმოებს რადიო და სატელევიზიო გადაცემები.

დღესდღეობით ვალონური დიალექტი სხვადასხვაგვარ სიტუაციაში იმყოფება რომანული ბელგიის სხვადასხვა რეგიონში, საზოგადოების სხვადასხვა ფენებში. დიალექტი უფრო შენარჩუნებულია სოფლის მოსახლეობაში, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებლებში; იგი უფრო ხშირად გამოიყენება მამრობითი სქესის წარმომადგენლების მიერ, ვიდრე — მდედრობითის; მოსახლეობა ვალონურ რეგიონებში უფრო ხშირად მიმართავს დიალექტურ ფორმებს, ვიდრე პიკარდიულსა და ლოტარინგიულში.

დღესდღეობით ვალონური დიალექტი მოიცავს რომანული ბელგიის მნიშვნელოვან ნაწილს, გამონაკლისს წარმოადგენს პიკარდიულსა და ლოტარინგიულის გავრცელების ზონები. იგი უმნიშვნელოდ ვრცელდება

საფრანგეთშიც, კერძოდ ჟივეს, ფუმეს (Fumay), რევინის (Revin) რეგიონებში, სადაც ნამურულის სახელწოდებითაა ცნობილი. XIX საუკუნეში ბელგიური ფრანგული გატანილ იქნა ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც ვრცელდება ვისკონსინის (Wisconsin) ნაწილში.

2. ვალონური დიალექტის წერილობითი ფორმა.

ნაშრომის წინა თავში, ჩვენს მიერ რომანული ბელგიის ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვის გაკეთების მიუხედავად, რთულია ზუსტი წარმოდგენის შექმნა ბელგიაში ვალონური დიალექტისა და ფრანგული ენის დაბადების შესახებ. ასევე ძნელია მათთვის დამახასიათებელ ისეთ თავისებურებებზე საუბარი, რომლებიც შუა საუკუნეების ბოლომდე პერიოდს მიეკუთვნებოდნენ, რადგან ჩვენ არ გავგაჩნია XVII საუკუნემდე დათარიღებული ვალონურ ორიგინალზე შექმნილი არც ერთი წერილობითი ტექსტი, რაც ართულებს მის შესახებ დაწვრილებით საუბრის შესაძლებლობას.

დაახლოებით IX საუკუნის დასაწყისამდე ვალონური და რომანული დიალექტები ერთმანეთში ირეოდა. მათი დიფერენციაცია მოგვიანებით დაიწყო და ტექსტები, რომლებმაც მოაღწია ჩვენამდე, არ გამოდგება ვალონური დიალექტის დიაქრონული კვლევის საწარმოებლად. მიუხედავად ამისა, ძველი ფრანგული ენისა და ძველი ვალონური დიალექტის წერილობითი თუ ზეპირი ფორმების შეპირისპირებით ანალიზს შეუძლია ნათელი მოჰფინოს ბევრ საინტერესო ფაქტს მათი ურთიერთობის საკითხში.

ჩრდილოეთ გალიის დიალექტების შესწავლისას ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როდის ხდება ვალონური, პიკარდიული და ლოტარინგიული დიალექტების ინდივიდუალიზაცია? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად ვიხელმძღვანელოთ ლუი რემაკის (163) შრომით, რომელიც ეფუძნება 53 განმასხვავებელ პარაგრაფს. ამ ნაშრომის განხილვის შედეგად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ უკვე IX საუკუნის დასაწყისში არსებობდა ამ დიალექტების განმასხვავებელი 10 თავისებურება, ეს დიალექტური სეგმენტაცია XI საუკუნეში განმტკიცებული იქნა კიდევ 2 ნიშან-თვისებით, რომელსაც მოგვიანებით კიდევ 21 შტრიხი დაემატა და მთლიანობაში მათმა რიცხვმა 30-ს გადააჭარბა. ეჭვსგარეშეა, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ზემოდსხენებული დიალექტების ზეპირმეტყველება მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე

პერიოდში საგრძნობი განსხვავება შეიმჩნეოდა ვალონური დიალექტის ლექსურ და ნამურულ კილოებს შორის, რაც ასახავს პოულობდა მათი გამოხატვის სხვადასხვა ნიუანსებში.

ა. დოზა მიიჩნევს, რომ სწორედ ამ პერიოდში იწყება რამდენიმე რეგიონალური თავისებურების გამოკვეთა, რომელთა რიცხვიც თანდათან იმდენად იზრდება, რომ უკვე XII საუკუნეში ისინი ქმნიან კარგად განსაზღვრულ დიალექტურ ტიპთა გარკვეულ რიცხვს. «Vers la même époque (9-e-10-e s) commencent à se dessiner certains traits régionaux (notamment en gascon, normanno-picard, wallon), qui se multiplient ensuite, si bien qu'au 12-e s. sont constitués un certain nombre de types dialectaux bien caractérisés». (10;15).

ის ფაქტი, რომ XIII საუკუნის დასაწყისში, რომანულ ბელგიაში ვალონური დიალექტი მკვეთრად ინდივიდუალიზებულია, სიახლეს არ წარმოადგენს. ეს კარგა ხანია ცნობილი იყო მედიევისტებისა და დიალექტოლოგებისათვის. ჩვენ უბრალოდ კიდევ ერთხელ ვაღიარებთ ამას და ხაზს ვუსვამთ ჟ. ფელეს (J. Feller) (77) მოსაზრების სისწორეს, რომლის თანახმადაც იგი აცხადებდა, რომ უკვე XIII საუკუნეში დიალექტებს გააჩნდათ იმ ორიგინალური ნიშან-თვისებების უმრავლესობა, რომლებიც განსაზღვრავს მათ ინდივიდუალურობას. თუმცა აქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ დიალექტის ზეპირმეტყველებაზე, ხოლო რაც შეეხება წერილობით ენას, მისი საკითხი კვლავ ბურუსითაა მოცული და გაურკვეველია 1200 წლის შემდეგ ვალონიაში გამოყენებული სკრიპტა (la scripta, რომლითაც რემაკლი აღნიშნავს შუასაუკუნეებში გამოყენებულ ვულგარული ენის წერილობით ფორმას; «Je désigne la langue vulgaire écrite au moyen âge par le néologisme *scripta*») (164; 24) ემთხვევა თუ არა ზეპირ დიალექტს. ამ საკითხის შესახებ რომანისტი ლინგვისტების აზრი ორად იყოფა:

მეცნიერთა ერთ ნაწილს, მათ შორის პ. მარშოს (P. Marchot) მიაჩნდა, რომ XIII საუკუნეში არ არსებობდა ვალონური დიალექტის წერილობითი ფორმა და ძველი ვალონური ნაწარმოებები ვალონელი ავტორების მიერ ფრანგულ ენაზე იქმნებოდა. «... qui n'est pas un texte wallon, mais bien plutôt un texte écrit en français par un Wallon...» (იხ. 164; 144). ამავე მოსაზრებას იზიარებს გამოჩენილი ფრანგი ფონეტიკისტი აბატი რუსლო (abbé Rousset) (22); კერძოდ იგი აცხადებს, რომ საფრანგეთის ჩრდილოეთით განთავსებული ადგილობრივი კილოები იშვიათად ფლობდნენ წერილობითი ენის პრივილეგიას და უმეტესად გამოიყენებდნენ

ლათინურსა და ფრანგულ ენებს. « Les patois locaux, du moins ceux du Nord de la France, ont été rarement appelés à l'honneur de l'écriture: on avait surtout la prétention d'écrire en latin ou en français.» (164; 144), თუმცა მეცნიერთა მეორე ნაწილი თვლიდა, რომ უძველესი ვალონური ნაწარმოებები იქმნებოდა არა ფრანგულ ენაზე, არამედ რომანულ დიალექტზე. ამ მოსაზრებას იზიარებს ლ. პოლენი (L. Polain), რომელიც მიიხსენებდა, რომ ჟან უტრემეზი (Jean Outremerse) (იხ.92) თავის ნაწარმოებებს ქმნიდა რომანულ დიალექტზე, რომელიც გამოიყენებოდა XIV საუკუნის ლიეჟში, «écrit dans le dialecte roman que l'on parlait à Liège au XIVs.» (164; 145). დოზაც (A. Dauzat) მიიხსენებს, რომ XV საუკუნემდე ვულგარულ ენაზე შექმნილი დოკუმენტები, რომლებიც უცხო იყო ილ-დე-ფრანსის დიალექტისათვის, იქმნებოდა ადგილობრივ დიალექტებზე. « Jusqu'au 15-e s. environ..., les documents en langue vulgaire étrangers à l'Ile-de-France sont écrits dans les dialectes locaux.» (იხ.164; 145).

ასევე ფ. ბრუნოც (F. Brunot) თვლის, რომ თანამედროვე დიალექტები ესაა ლათინურის ადგილობრივი ტრანსფორმაციის პირდაპირი შედეგი, რომლებიც თავიანთ რეგიონებში დიდი ხნის მანძილზე გამოიყენებოდნენ სასაუბრო და ხშირად წერილობითი ფორმითაც, ისევე როგორც ფრანსიული თავის ტერიტორიაზე. « Les patois actuels sont les produits directs des transformations locales du latin... ont été longtemps, dans leur régions, la langue commune, parlée et souvent écrite, comme le francien l'était dans la sienne» (50; 296); თუმცა ბრუნო იგივე ტომში აღნიშნავს, რომ ვალონურ დიალექტზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები და თვით სხვადასხვა წესდებებიც კი შორსაა უტყუარი სურათის შექმნისაგან იმავე ადგილისა და იმავე სალაპარაკო ენის შესახებ, რომელზეც ისინია შექმნილი. « Les compositions littéraires, les chartes même sont loin de nous offrir avec certitude l'image de la langue parlée à l'époque ou à l'endroit où elles ont été écrites» (50; 303), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ვალონიის წერილობითი ენა ე.წ. სკრიპტა არ ასახავს სუფთა ვალონურ მეტყველებას.

მართალია წერილობით ენასა და ზეპირმეტყველებას შორის არსებობს განსხვავებები, თუმცა ორივე მათგანს აქვს საერთო ფონეტიკა, მორფოლოგია და თვით სინტაქსიც კი, რომელიც შესაძლოა გარკვეულწილად სახემეცვლილი ფორმით ხასიათდებოდეს ზეპირმეტყველებაში. სწორედ ამ სტრუქტურული ერთობლიობის შედეგია ორი ტიპის მეტყველების (ზეპირი და წერილი) თანაზომიერება, რის შედეგადაც ხდებოდა მათი ერთ ენაში გაერთიანება, ისე

როგორც ეს ხდება თანამედროვე ვალონური დიალექტის რომელიმე პერიფერიულ კილოსა და წერილობითი ვალონურის ურთიერთმიმართების შემთხვევაში. თუმცა აღნიშნულ ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში გავრცელებული სკრიპტას გაცნობისას მასში აღმოვაჩინეთ ბევრ ისეთ ფონეტიკურ თუ მორფოლოგიურ ელემენტს, რომელიც უცხო იყო ვალონიის ადგილობრივი ზეპირმეტყველებისათვის.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებით დათარიღებული ტექსტის ორიგინალში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სიტყვა ორი ან მეტი ფორმით გამოიხატება, რაც ნათლად ასახავს შუა საუკუნეების სკრიპტას ნაირსახეობას. ეს ფაქტი მრავალმა მკვლევარმა არგუმენტად მოიყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ სკრიპტა არ არის ზეპირმეტყველების პირდაპირი წერილობითი ფორმა.

ბონიე (Bonnier) გამოყოფს იმ მოსაზრებებს, რომლებიც მას დიალექტის განხილვისას ხელისშემშლელ ფაქტორად მიაჩნია ხელნაწერების მეცნიერულად შესწავლის საკითხში; ესენია ერთი და იგივე სიტყვის ორმაგი ფორმები, არამყარი ორთოგრაფია და წერილობითი ფორმის შედარება ზეპირმეტყველებასთან, რომელიც გვიჩვენებს ვულგარული ფორმების არსებობის სიმცირეს ხელნაწერებში. « Nous avons vu les raisons qui nous empêchaient de voir dans les Chartes une source scientifique pour l'étude des dialectes; ces raisons sont: 1. les doubles formes qui se présentent en trop grande abondance pour les mêmes mots; 2. les incertitudes de graphie; 3. la comparaison avec le patois, qui nous a montré combien peu de formes vulgaires existaient dans les Chartes... ». (იხ. 164; 148).

თანამედროვე მეტყველებაში მცირეა ისეთი შემთხვევები, როცა ერთი პიროვნების მეტყველებაში გვხვდება ორი სხვადასხვა ფორმით გამოხატული ერთი და იგივე სიტყვა, რაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგივე ვითარება იყო შუა საუკუნეების ზეპირმეტყველებაშიც და ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევთ განვაცხადოთ, რომ მსგავსი ფორმების სიმრავლე ხელნაწერებში, მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მისი შემქმნელები არ იყენებდნენ თავიანთი მშობლიური ენისა თუ დიალექტის ზეპირმეტყველებაში დამკვიდრებულ ფორმებს.

მათ, ვინც იმ მოსაზრებას იზიარებს, რომ შუა საუკუნეების რომანისტი მწერლები ჩვეულებრივ მშობლიური ზეპირმეტყველების ფორმებზე დაყრდნობით ქმნიდნენ თავიანთ შემოქმედებას, არ სჭირდებათ წერილობითი ენის წარმომავლობის ძიება. თუმცა ფაქტია, რომ ეს წერილობითი ფორმები საკმაოდ

განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ამიტომაც მართებულად დაისმის კითხვა: საიდან მომდინარეობს *სკრიპტა*?

ამ კითხვაზე მეცნიერთა აზრი ორად იყოფა:

დიალექტოლოგ ჟ. ფელეს (77) მიაჩნია, რომ *ḍiil*-ის სამფლობელოში წერილობითი ენის უპირატესობას ფრანსიული დიალექტი ფლობს და რომ ფრანგულ ენას საფუძვლად უდევს მხოლოდ ერთი დიალექტი, რომელიც მისი ღრმა რწმენით ფრანსიული დიალექტია. ფელე თვლის, რომ სწორედ ფრანსიული ხდება ვალონიაში წერილობითი ენა, ისევე როგორც სხვა ფრანგულ პროვინციებში. ამავე აზრს იზიარებს მეცნიერი ვოსლერი (Vossler), რომელიც აცხადებდა, რომ *სკრიპტა* საფრანგეთის ჩრდილოეთით 1050-1250 წლებში იქმნება ადგილობრივ დიალექტებზე დაყრდნობით და მათ შორის ძირითადი ადგილი უჭირავს ილ-დე-ფრანსის დიალექტს, თუმცა მის ფორმირებაში გარკვეულ როლს ასრულებენ მეზობელი დიალექტებიც; “Les dialectes sont pour nous la matière qui servira à former, vers 1050-1250, la scripta du nord de la France. L’élément essentiel, c’est évidemment le patois de l’ Ile-de-France qui l’a fourni. Mais tous les dialectes voisins, dans un rayon étendu, ont collaboré à la formation de la scripta.” (164; 154); თუმცა ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერთა მეორე ნაწილის და კერძოდ გამოცდილი მედიევისტის დელბუის (M. Delbouille) (64) მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არსებობდა ერთი წერილობითი ენა, რომელიც დამოუკიდებელი იყო ყველა სალაპარაკო ენისაგან და რომ ეს ენა ნელ-ნელა იქმნებოდა პოეტებისა და კლერკების სხვადასხვა თაობების მიერ და იყო საერთო ენა, რომლის ძირითადი ელემენტებიც წარმოდგენილი იყო *ḍiil*-ის კილოების უმრავლესობაში და რომელიც საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე სხვადასხვა რეგიონში მდიდრდებოდა დიალექტური შტრიხებით. მარტივი ფონეტიკური და მორფოლოგიური ცვლილებების წყალობით ეს ენა გასაგები იყო ჩრდილოეთ გალიის მთელს ტერიტორიაზე, თუმცა იგი არ იყო არც ერთი დიალექტის იდენტური. მასში მრავლად გვხვდებოდა ლათინიზმები, არქაიზმები, სხვადასხვა წარმომავლობის ადგილობრივი შტრიხები, ერთი და იგივე სიტყვის ანალოგიური ფორმები, რაც საშუალებას გვაძლევს თამამად განვაცხადოთ, რომ იგი არ იყო სუფთა ფრანგული ენის წერილობითი ფორმა.

დელბუი აცხადებს, რომ XV საუკუნემდე ფრანგული ენა არ უნდა შევადაროთ პროვინციებში გამოყენებულ დიალექტებს, თუმცა საჭიროდ მიაჩნია თითოეული პროვინციის კილოს შედარება სხვადასხვა ელემენტებისაგან შექმნილი წერილობითი ენისათვის; « Avant le 15-e s., il ne faut pas opposer une langue

française aux dialectes parlés des provinces, mais bien opposer dans chaque province le dialecte parlé (ancêtre du patois actuel) à une langue écrite formée d'éléments divers. » (64; 587). ფელეს (77) მოსაზრების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც *სკრიპტაში* წამყვანი ადგილი უჭირავს ფრანსიულ დიალექტს, დებლუი აცხადებს, რომ აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონალური წარმონაქმნები.

D'oil-ის პროვინციებში ხალხურ ენაზე შექმნილი წერილობითი ტექსტები არსებობდა XIII საუკუნეზე ადრეც. საფრანგეთის ჩრდილოეთით ხალხური ლიტერატურა განვითარებას იწყებს VIII–XII საუკუნეებში. სწორედ ამ პერიოდში იქმნება ძველი ფრანგულის წერილობითი სახესხვაობები. ამ პერიოდის ტექსტები მიეკუთვნება ვალონურ, პიკარდიულ და ნორმანდიულ დიალექტებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ წერილობითი ენა ამ რეგიონებში გაცილებით დიდი ხნით ადრე არსებობდა, ვიდრე ფრანსიულ დიალექტზე შექმნილი ტექსტები და რაც უარყოფს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ წერილობითი ენა შეიქმნა ფრანსიულ დიალექტზე დაყრდნობით და მისი ძლიერი ზეგავლენით.

ამ პერიოდში თითოეულ რეგიონში ცდილობდნენ ადგილობრივი დიალექტი აღენიშნათ ლათინური ანბანით. ამ მოვლენების გათვალისწინებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წერილობითი ენა არ დაბადებულა ერთბაშად პარიზში. ის იქმნებოდა თანდათანობით თითოეულ პროვინციაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მრავალი ცდის შედეგად.

თავდაპირველად სხვადასხვა წერილობითი ენები ხასიათდებოდნენ ერთმანეთთან ძლიერი მსგავსებით, რაც განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით, კერძოდ იმით, რომ XII საუკუნემდე დიალექტური კილოების ზეპირმეტყველება (dialectes parlés) საკმაოდ ახლოს იყო ერთმანეთთან; ასევე ლათინური ორთოგრაფიის გავლენით, რაც საერთო ბაზა იყო ყველა მათგანისათვის და ამასთანავე ლექსიკური ერთეულების გაცვლით ერთმანეთს შორის.

VIII-XIII საუკუნეებში თითოეულ რეგიონს გააჩნდა საკუთარი წერილობითი ენა, რომელზეც იქმნებოდა ამ რეგიონის დოკუმენტები. მოგვიანებით, ესა თუ ის გაძლიერებული დიალექტი გავლენას ახდენდა მეზობელი რეგიონების დიალექტებზე, მათ შორის მის წერილობით ფორმაზეც. სწორედ ასე მოხდა ფრანსიული დიალექტის გაბატონება d'oil-ის სხვა დიალექტებზე. თუმცა ბოლომდე გარკვეული მაინც არაა, *სკრიპტა* რეგიონალური დიალექტის ფორმირების პროდუქტი იყო თუ საერთო ენა, რომლის ძირითადი ელემენტებიც

გვხვდებოდა ძიწის კილოების უმრავლესობაში? თუ *სკრიპტას* შექმნის პერიოდში მისი ავტორები მოღვაწეობდნენ მხოლოდ თავიანთ პროვინციებში, მეზობელი რეგიონების დიალექტებთან კავშირის გარეშე, როგორღა ახერხებდნენ თავიანთი რეგიონალური კილოს ელემენტებში იმ ძირითადი ელემენტების გამოყოფას, რომლებიც საერთო იყო ამ კონკრეტულ კილოსა და ძიწის სხვა კილოებს შორის?

ფაქტია, რომ მათი წარმოქმნის პერიოდში, სანამ მოხდებოდა მათი ერთ დიდ დიალექტად გაერთიანება, თითოეული პროვინცია ირჩევდა იმ ენას, რომლის ბაზაც ეფუძნებოდა ამ პროვინციის რეგიონალურ კილოს. X საუკუნეში იქმნება მრავალი *სკრიპტა*, რადგანაც თითოეული დიალექტი ქმნიდა თავის საკუთარ *სკრიპტას*, რომელშიც აერთიანებდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. მათი აღრევა ხდება მოგვიანებით, როცა ესა თუ ის პოეტი იყენებს ლიტინიზმებს ან ხშირი მოგზაურობის შედეგად განიცდის სხვა დიალექტების გავლენას, რაც ასახავს პოულობს მის შემოქმედებაშიც; თუმცა ეს მოსაზრება მაინც მეტ-ნაკლებად ჰიპოთეზური და საეჭვოა, რადგანაც აქ საქმე ეხება ძალიან ძველ დროს, კერძოდ VII-XII საუკუნეებს, რომლის შესახებაც ჩვენ ძალიან მცირე ცნობებს ვფლობთ; განსაკუთრებით ცოტაა 1100 წელზე უფრო ძველი პერიოდით დათარიღებული ხალხურ ენაზე შექმნილი ტექსტები, რაც უფრო ართულებს იმ არგუმენტების მტკიცებას, რომ ისინი არ მიეკუთვნებიან ცენტრალურ რეგიონს. ისიც ფაქტია, რომ სხვადასხვა ეპოქაში ხდებოდა იმ ელემენტების ერთ ენაში გაერთიანება, რომლებიც საერთო იყო მრავალი დიალექტის ზეპირმეტყველებისათვის. ამგვარად ჩვენ მივიჩნევთ, რომ ორივე ვარიანტი მართებულია *სკრიპტასთან* დაკავშირებით, უბრალოდ ისინი მიეკუთვნება სხვადასხვა ეპოქას.

სწორედ ასეთი საერთო ენის შექმნის აუცილებლობა იგრძენეს ვალონიის, პიკარდიის, ლოტარინგიის მაცხოვრებლებმა, ისევე როგორც ნორმანდიელმა და შამპანელმა მოსახლეობამ და შეეცადნენ თავიანთი ადგილობრივი კილოების გვერდით შეექმნათ საერთო ენა, უპირველეს ყოვლისა მისი წერილობითი ფორმა, რომელიც კონკურენციას გაუწევდა ლათინურს, რადგანაც ეს უკანასკნელი უკვე სრულიად უცხო იყო მოსახლეობის უმრავლესობისათვის, რაც ართულებდა მის გამოყენებას; ხოლო შემდეგ ამ ენის სალაპარაკო ფორმაც, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანის მიერ იქნებოდა გამოყენებული და გააადვილებდა მათ ერთმანეთთან ურთიერთობას.

თუმცა აქაც ბუნდოვანია ტერმინი "საერთო ენა" (langue commune). ენა შეიძლება საერთო იყოს თავისი ფორმირებით ან გავრცელებით. აქ შეიძლება საქმე ეხებოდეს კოინეს (ბერძ. koine ყოველგვარი საერთო-სახალხო ენა, რომელიც შექმნილია გაბატონებული დიალექტის საფუძველზე), რომელიც თავისთავში აერთიანებს მრავალი დიალექტის საერთო შტრიხებს. ასევე შეიძლება საუბარი იყოს დიალექტზე, რომელიც ვრცელდება მსგავსი დიალექტებით გამოყენებულ ტერიტორიაზე. თავისთავად ცხადია, რომ 1236 წლის *სკრიპტა* განსხვავდება 900 წლის *სკრიპტისაგან*. თუ 900 წელს, წერილობითი ენა სხვა არაფერი იყო თუ არა ზეპირი დიალექტის წერილობით ფიქსირებული ფორმა, 1236 წელს უკვე განსხვავებულ სიტუაციას ვხვდებით. ყველა აღიარებს, რომ ლიეჟის *სკრიპტა* უკვე აღარ ემთხვევა ლიეჟის ტერიტორიაზე გამოყენებული ვალონურის ზეპირმეტყველებას. ამასთანავე იგი უკვე ამ პერიოდში ფლობს ისეთი ელემენტების გარკვეულ რიცხვს, რომელიც ყოველთვის უცხო იყო ლიეჟის ვალონურისათვის. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში ის უკვე ფლობს საერთო *სკრიპტის* დამახასიათებელ "ძირითად" ელემენტებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვალონური დიალექტის თვითმყოფადობა, რომელიც ასე მკვეთრად იყო გამოხატული XIII საუკუნის დასაწყისში, 1236 წლით დათარიღებულ *სკრიპტაში* უმნიშვნელოდ იყო გამოხატული. ამ დოკუმენტში, თვით მორფოლოგიაც კი, რომელიც ენის ძირითად ჩარჩოს ქმნის, იმდენად ატარებს ფრანგულ იერს, რომ ჭირს მისი ვალონურთან გაიგივება. 50 წლის შემდეგ შეუთავსებლობა დიალექტის წერილობით ფორმასა და მის ზეპირმეტყველებას შორის კიდევ უფრო ნათელია, რის შედეგადაც ჩანს, რომ ვალონურს, რომანული ბელგიის ჩრდილო-აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს დიალექტს, სრულიად უმნიშვნელო ადგილი უკავია საერთო *სკრიპტასთან* მიმართებაში. დელბუის აზრით ამ პერიოდში წერილობითი ენა უკვე იყო ის საერთო ენა, რომლის ძირითადი ელემენტებიც მოიპოვებოდა d'oïl-ის დიალექტების უმრავლესობაში.

დიალექტი, რომელსაც წერილობითი ფორმა გააჩნდა, ცდილობდა მდგარიყო ადგილობრივ კილოებზე მაღლა და მიახლოებოდა სალიტერატურო ენას, ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა სალიტერატურო ნორმალიზებულ ფორმას ან რომელიმე პროვინციის ადმინისტრაციულ დიალექტს, რომელიც გამოიყენებოდა ერთი რეგიონის პოლიტიკურ ან ბუნებრივ საზღვრებს შიგნით. ამგვარად ხდებოდა ამა თუ იმ კილოს ნორმალიზება და ენა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ

ადგილობრივი კილო იყო, განიცდიდა ტრანსფორმაციას, რის შედეგადაც იხვეწებოდა.

როგორ სახეს ატარებდა ის ცვლილებები, რომელსაც განიცდიდა კილო?

უპირველეს ყოვლისა ხდებოდა აშკარა ადგილობრივი თავისებურებების გაძევება. ლოკალიზმების შემცირება მოითხოვს მათ შეცვლას, თუმცა არ შეიძლება ისინი ჩანაცვლებულ იქნენ სხვა კილოსათვის დამახასიათებელი ეკვივალენტებით. აუცილებელია მათი შეცვლა კულტურული ენის სინონიმებით. ამის შესახებ ვალკოფს (174) გააჩნია შემდეგი მოსაზრება: კილოთა ნორმალიზებისათვის საჭიროა მათი შეკვეცა და შეცვლა, რათა დაუქვემდებაროთ ნორმას, რომელიც სხვა არაფერია თუ არა კულტურული ენა, მაგრამ ამ შემთხვევაში დაისმის კითხვა: თუკი არსებობს შესაბამისი კულტურული ენა, რა საჭიროა მათი ჩანაცვლება, მაშინ როცა შეიძლება პირდაპირ ამ ენაზე წერა?

სალიტერატურო ენის ნორმებთან მიახლოებისათვის საჭიროა ადგილობრივი კილოების დახვეწა, თუმცა ჯერ კიდევ არავის შეუსწავლია შუა საუკუნეების ჭეშმარიტი, ნამდვილი კილოები, მეცნიერები მის შესახებ საუბრობენ *სკრიპტაზე* დაყრდნობით, რომლისგანაც მას ცუდად არჩევენ ან საერთოდ ვერ ანსხვავებენ. ამისათვის საჭირო იყო არა მარტო წერილობითი, არამედ ზეპირი დიალექტის ნორმალიზებაც. თუმცა აქ ვხვდებით მეორე წინააღმდეგობას: დიალექტის ნორმალიზების აუცილებლობაზე საუბრისას, ჩვენ გარკვეულწილად უარყოფთ იმ მეცნიერთა მოსაზრებას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს შუასაუკუნეების მწერლები ცდილობდნენ ეწერათ ფრანგულად (ფელე), თუმცა ამ მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთი ბუნებაში არ არსებობს. მეორე მხრივ, ჩვენ გაგვაჩნია 1236 წლით დათარიღებული ვალონური ხელნაწერი, რომლის ანალიზის შედეგად, რომელიც რემაკლის მიერ გაკეთდა, დასტურდება, რომ ამ დოკუმენტის *სკრიპტის* 3/4 ფრანგულია და მხოლოდ 1/4-ია ვალონური, რის შედეგადაც შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იგი განიცდის ფრანსიული დიალექტის გაგლენას.

ერთი შეხედვით თითქოს ეჭვს უნდა იწვევდეს 1236 წელს ფრანსიული დიალექტის გავრცელება ისეთ შორ მანძილზე როგორც ლიეჟია, რომელიც თითქმის გერმანიკული სამყაროს საზღვრებთან მდებარეობდა. თუმცა იმის მიუხედავად, რომ ვალონია და თავად ლიეჟი არ იყვნენ საფრანგეთის შემადგენელი ნაწილი, ისინი არც ისე მოშორებული იყვნენ ფრანსიულ ზონას, რადგანაც ვალონიის მიმართულებით მდებარე შამპანი, შუა საუკუნეებში კარგად ცნობილი კრეტიენ დე ტრუას სამშობლო იყო, ხოლო მისი დიალექტი

საგრძობლად ახლოს იყო ფრანსიულთან, რის შედეგადაც ადვილი ხდებოდა მისი გავრცელება ვალონიაშიც.

ვალონიაში შექმნილი მორალური პოემის (Poème moral) (65, 154), რომელიც 1200 წლით თარიღდება, შედარებით საფრანგეთის საგმირო ეპოსთან, ნათელი ხდება, რომ საფრანგეთში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები სცილდებიან ქვეყნის პოლიტიკურ საზღვრებს და გავრცელებას პოულობენ ვალონიაშიც. ამ პოემის უფრო სიღრმისეული ანალიზის გაკეთების შედეგად მ. ვილმოტი (184) აცხადებს, რომ 1250 წლამდე ვალონურ სკრიპტაში ვხვდებით მნიშვნელოვან ელემენტებს, რომლებიც მიუთითებენ ცენტრალური დიალექტის გავლენაზე. თუმცა მეცნიერთა სხვა ნაწილი თვლის, რომ უკვე XII საუკუნიდან მოყოლებული ფრანსიული დიალექტი გარკვეული უპირატესობით სარგებლობს; ასე მაგალითად, კ. ნიროპი მიიჩნევს, რომ საფრანგეთის ფრანგულის უპირატესობა სხვა დიალექტებთან მიმართებაში უფრო და უფრო თვალში საცემი ხდება XII საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული “La prédominance du “français de France” sur les autres dialectes devient de plus en plus sensible à partir du 12-e s” (164; 180), რის შემდეგაც ფრანსიული დიალექტი გარკვეული უპირატესობით სარგებლობს, თავდაპირველად კი იგი იყო მხოლოდ კლერკების მიერ გამოყენებული წერილობითი ენა, რომელიც ზეპირმეტყველებაში არ გამოიყენებოდა.

უკვე XIV საუკუნის ვალონიაში სიტყვა “ფრანგული” აღნიშნავდა კულტურის ენას, როგორც ზეპირმეტყველებაში, ასევე წერილობით ფორმაშიც.

XIV საუკუნის II ნახევარში ვალონელი მწერალი ჟან უტრემეზი (Jean d'Outremeuse) რომანულ კილოს (parler roman) უპირისპირებდა ლათინურ ენას (langue latine); ეს რომანული ენა თანდათან იხვეწება და უახლოვდება ენას, რომელიც უკვე XV საუკუნეში იმსახურებს იწოდებოდეს ფრანგულ ენად, თუმცა რემაკლის მიერ განხილული ხელნაწერის თანახმად, რომელიც 1236 წლით თარიღდება, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ პერიოდის სკრიპტას 3/4 უკვე ფრანგულენოვანია.

1539 წელს ფრანსუა I-ის ბრძანების შედეგად, ფრანგული ხდება ქვეყნის სახელმწიფო ენა და გამოიყენება რა ყველა სფეროში, იგი აძევებს აქამდე გაბატონებულ ლათინურს, მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ახერხებს გარკვეული ზეგავლენის მოხდენას დიალექტებზე; თუმცა საფრანგეთის ჩრდილოეთით, ფრანსიული დიალექტი ამ ბრძანებამდეც ფლობდა გარკვეულ უპირატესობას, სადაც მდიდარი

ლიტერატურული ტრადიციების შედეგად იგი ვრცელდებოდა ფართო ტერიტორიაზე.

ჩვენს მიერ უკვე მრავალჯერ ნახსენები ხელნაწერის არსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ 1236 წლის შემდეგ არ იქმნებოდა მასზე უფრო ვალონური ელემენტების მატარებელი და მასზე ნაკლებად ფრანგული ხელნაწერები. თუმცა უდავოა, რომ მათ შორის არსებობდა მხოლოდ ხარისხობრივი განსხვავება. ლიტერატურული ნაწარმოებები, ისევე როგორც იურიდიული თუ ადმინისტრაციული აქტები, იქმნებოდა ერთ ენაზე და წარმოდგენდნენ ერთი და იგივე ტრადიციის კუთვნილებას. გვიან შუა საუკუნეების ტექსტებშიც ვხვდებით ისეთებს, რომლებიც ხასიათდება ვალონური და ფრანგული ენების თანაბარი გამოყენებით.

ჟ. ფელეს (77) მოსაზრების თანახმად ვალონური *სკრიპტა* საუკუნეების განმავლობაში თანდათანობით იხვეწებოდა და იგი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ფრანგულს. თუმცა ენის სისტემატიური ევოლუცია არ ნიშნავს, რომ იგი რეგულარულად ვითარდებოდა სწორხაზოვნად. არის შემთხვევები, როცა ეს ევოლუცია განიცდიდა გარკვეულ შეფერხებებს, ამასთანავე აუცილებელი არაა, რომ რომელიმე ერთ კონკრეტულ წელს შექმნილი წერილობითი დოკუმენტი უფრო წმინდა ფრანგულით ხასიათდებოდეს, ვიდრე 5 წლის წინ შექმნილი რომელიმე სხვა ნაწარმოები, ან კიდევ ერთი და იგივე დროის მონაკვეთში სხვადასხვა ტერიტორიაზე შექმნილი ტექსტები ერთნაირი ფრანგულით სარგებლობდეს. XV-XVII საუკუნეების ტექსტების გაცნობისას ვხვდებით ისეთ ელემენტარული განათლების მქონე გადამწერებს, რომლებიც იყენებდნენ პრიმიტიულ *სკრიპტას*, თუმცა ამ პერიოდით დათარიღებული ნაწარმოებების უმრავლესობა საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ მწერალთა უმრავლესობისათვის ვალონური *სკრიპტას* “გაფრანგულება” საერთო ჯამში ატარებდა რეგულარულ და მნიშვნელოვნად გამოკვეთილ ხასიათს.

1236 წლით დათარიღებული ტექსტიდან დაწყებული არსებობს მთელი რიგი ლიეჟური ტექსტები (154), რომლებშიც ნათლად ჩანს იმ ენის დახვეწის პროგრესულობა, რომელიც დღესდღეობითაც კი არ არის მთლიანად “ფრანგული”, ლიეჟის წერილობით ფრანგულში ახლაც მრავლადაა წარმოდგენილი არაფრანგული ფორმები. თუმცა ეს უზუსტობები, ძველი ფრანგულისგან განსხვავებით, სიტყვის გრაფიკული ფორმით ან მორფოლოგიური უზუსტობით კი აღარ გამოიხატება, არამედ ახლა უკვე აქ საქმე ეხება მხოლოდ

სინტაქსსა და სემანტიკას, რადგან ესენია “ვალონიზმები”. თუმცა მაინც გარკვეულ ეჭვს იწვევს თეორია, რომლის თანახმადაც ორ განსხვავებულ ენას აერთიანებს საერთო წერილობითი ფორმა, რომელშიც ფრანსიული თუ ფრანგული ენაცვლება ადგილობრივ საუბრებზე დაყრდნობილ დიალექტურ სკრიპტას და იკავებს მის ადგილს, რის შედეგადაც ხდება ადგილობრივი დიალექტების დაკნინება და უბრალო დიალექტურ კილოებად გადაქცევა. ამის შესახებ ფ. ბრუნო თავის “Histoire de la langue française”-ს I ტომში აცხადებდა, რომ დღესდღეობით არაფრით გამორჩეული კილოების დეკადანსმა არ უნდა დაგვაიწყოს მათი წარსული მნიშვნელობა, რომლებიც, ლათინურის ადგილობრივი ტრანსფორმაციების შედეგად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავიანთ რეგიონში საზოგადოებრივი ენა იყო, ისევე როგორც ფრანსიული თავის რეგიონში. “... la déchéance actuelle des plus humbles de ces parlers, réduits à l'état de patois, ne saurait faire oublier leur importance passée. Produits directs des transformations locales du latin, ils ont été longtemps, dans leur région, la langue commune, parlée et souvent écrite, comme le francien l'était dans la sienne...” (50; 296).

შუა საუკუნეებში გავრცელებული ეს ძველი დიალექტები თანდათანობით კარგავდნენ თავიანთ ფუნქციას და განიცდიდნენ დაქვეითებას, რის შედეგადაც ისინი დაყვანილი არიან ადგილობრივი კილოს დონეზე. ამ დიალექტების უმრავლესობამ თავდაპირველად დაკარგა წერილობითი ენის სტატუსი, რის შედეგადაც მოხდა მათი ჩანაცვლება ფრანგული სალიტერატურო ენით.

ხალხურ ლათინურს თავისი გავრცელების დიდ ტერიტორიაზე გარკვეული სახესხვაობები ახასიათებდა. შეიძლება ითქვას, რომ იქ შეიქმნა იმდენივე დიალექტი რამდენი მხარეც იყო. ერთ რეგიონში არსებული დიალექტიდან წარმოქმნილი კილოთა ჯგუფები ერთიანდებოდნენ ერთ საერთო დიალექტში, რომელსაც უწოდებდნენ ამ რეგიონის სახელს: ნორმანდიული, შამპანური, ფრანსიული, ვალონური და ა.შ. თითოეული რეგიონის რომელიმე კილო სხვების ხარჯზე ფლობდა წერილობით ფორმას და იგი ხდებოდა რეგიონის სალიტერატურო ენა, რის შედეგადაც ამ რეგიონის სხვა დიალექტები დავიდოდნენ კილოს სტატუსამდე, მაგრამ რეგიონების სალიტერატურო ენები თავადაც იგივე შევიწროებას განიცდიან ილ-დე-ფრანსის, პარიზული კილოს სალიტერატურო ენასთან მიმართებაში, რომელიც თანდათანობით ხდება მთელი საფრანგეთის სალიტერატურო ენა სხვა სალიტერატურო ენების გაძევების ხარჯზე, რომლებიც, თავის მხრივ, კარგავენ თავიანთ უპირატესობებს და თავადაც კილოები ხდებიან.

წერილობით ენაში, 1200 წლიდან მოყოლებული, ფრანგული ტრადიცია იზრდება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დიალექტური ტრადიცია მთლიანად უარყოფილ იქნა.

ხშირად კილოს ისტორია ცუდადაა გადმოცემული. მართალია ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ თანამედროვე ადგილობრივი კილოები ხალხური ლათინურიდან მომდინარეობს, მაგრამ ზოგი მათგანი მათ წარმომავლობას იმდენად ბუნდოვნად აღწერს, რომ ჩვეულებრივ მკითხველს, რომელიც შუა საუკუნეების ლინგვისტურ ევოლუციას მხოლოდ ერთი კონკრეტული მწერლის საფუძველზე ეცნობა, შეიძლება შეეკმნას შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე კილოები სხვა არაფერია, თუ არა ძველად არსებული წერილობითი დიალექტების ნარჩენები.

ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ შუა საუკუნეების ბოლოს, რეგიონალური დიალექტების წერილობითმა ფორმებმა განიცადა დეკადანსი ფრანსიულ დიალექტთან მიმართებაში, რის შედეგადაც ისინი გამოიყენებოდა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი კილოების მნიშვნელობით. ჩვენ ვიზიარებთ ა. დოზას აზრს (10), რომელსაც რეგიონალური დიალექტების დეკადანსის მიზეზად მიაჩნია მათი სოციალური და ლინგვისტური დეკადანსი. კერძოდ d'oil-ის ენის დიალექტური ლიტერატურა ქრება შუა საუკუნეებში, პროვინციულ კილოკავზე წერა უკვე განისაზღვრება როგორც წარსული, მხოლოდ ადგილობრივი ღირსშესანიშნაობა, რომლის მნიშვნელოვანი მოტივები აღარ არსებობს, რის შედეგადაც დიალექტების დაყვანა ხდება კილოების დონემდე, რომლებზეც აღარ საუბრობენ კულტურული კლასები და ისინი მხოლოდ გლეხების მიერაა გამოყენებული; შედეგად კი ხდება ენის ლექსიკური ფონდის გაღარიბება, რადგანაც იგი დაყვანილ იქნა მხოლოდ გლეხის ყოველდღიური საქმიანობის გამომხატველ სიტყვებზე და მასში აღარ გვხვდება რაფინირებული ცივილიზაციის აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს სხვადასხვა აბსტრაქტულ ცნებებს ან ემოციურ ნიუანსებს, რაც უცხოა გლეხის მეტყველებისათვის.

ამგვარად, ადგილობრივი კილოებისა და რეგიონალური დიალექტების წერილობითი ფორმები გამოიყენებოდა მხოლოდ გარკვეულ ეპოქამდე, ხოლო შუა საუკუნეების ბოლოს ისინი, როგორც წერილობითი ენა, შეცვლილი იქნა ფრანსიული დიალექტის მიერ, რომლის უპირატესობის შედეგადაც ხდება ამ კილოებისა თუ დიალექტების გაუფასურება და მათი ადგილობრივი მნიშვნელობის კილომდე დაყვანა; თუმცა ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა

გარკვეული პერიოდის შემდეგ მომხდარა რომელიმე რეგიონის დიალექტის წერილობითი ტრადიციების აღდგენა და მისი გამოყენება სალიტერატურო ენად, როგორც ეს მოხდა XVII საუკუნის ლიევის ვალონურის მაგალითზე, სადაც შუა საუკუნეებში წერილობითი ძეგლები იქმნებოდა ადგილობრივ დიალექტზე, რომელიც დაახლოებით XIII საუკუნის დასაწყისიდან ნელ-ნელა იცვლება ფრანგული ენის წერილობითი ფორმით, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ვალონური სალიტერატურო ტრადიციების აღორძინებას, რომელიც გამოიყენება ფრანგული სალიტერატურო ენის გვერდით და ცნობილია დიალექტური ლიტერატურის სახელწოდებით. იგი გამოიყენება კულტურული ენის გვერდით, რომელსაც დღემდე ახასიათებს კილოებთან კავშირი, თუმცა დიალექტური ლიტერატურა თანამედროვე ეპოქაში ბევრად უფრო “ფრანგულია” ვიდრე ეს იყო შუა საუკუნეებში.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ვალონური სიტუაციის განხილვის შემდეგად, შეიძლება გამოვეყოთ ორი ვალონური ტრადიცია: ზეპირმეტყველების და წერილობითი ფორმის. ამ უკანასკნელმა გარკვეულ ეპოქაში განიცადა ცენტრალური დიალექტის ძლიერი ზეგავლენა. ამ ფაქტთა ურთიერთმიმართება რემაკლმა გამოხატა შემდეგი სქემით. (იხ დანართი N 5).

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სქემა რეალობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ასახავს და მასში გათვალისწინებული არაა ფრანგულის ენის ხანგრძლივი გავლენა ვალონურ დიალექტზე; თუმცა იგი გვიჩვენებს წერილობითი ენის ისტორიის უფრო მნიშვნელოვან კავშირებს.

ცხრილის მარცხნივ და მარჯვნივ, ვერტიკალურ სვეტში ასახულია ვალონური დიალექტისა და ფრანგული ენის ევოლუცია. შუა სვეტში კი — ვალონური წერილობითი ენის ტრადიცია, რომელიც განსაკუთრებით იქცევს ჩვენს ყურადღებას.

1236 წლამდე პერიოდში, ვალონიის ტერიტორიაზე არსებული წერილობითი ტრადიცია, რომელიც *სკრიპტათი* არის წარმოდგენილი, პირდაპირ და ძლიერ კავშირშია ვალონურ დიალექტის ზეპირმეტყველებასთან, თუმცა უკვე ამ პერიოდის წერილობითი ენა უკავშირდება როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა სვეტებს და ამის შემდეგ მარცხენა სვეტთან დამაკავშირებელი სვეტები თანდათან ფერმკრთალდება, ისევე როგორც ვალონური დიალექტის ზეპირმეტყველების გავლენა მის წერილობით ფორმაზე. შესაბამისად მუქდება მარჯვენა სვეტთან

დამაკავშირებელი ხაზები, რაც მიუთითებს წერილობით ფორმაზე ფრანგული ენის გავლენის პროგრესზე.

1236 წლის შემდეგ უკვე თავად სკრიპტას პარალელურად ჩნდება მისი ახალი სახელწოდებები: ძველფრანგული, საშუალო ფრანგული და ახალფრანგული.

უდავოა, რომ ფრანგული ენისა და სკრიპტას პარალელურად, ვალონურ დიალექტსაც გააჩნია ძველი, საშუალო და ახალი ფორმები. თუმცა არსად გვხვდება ტერმინი საშუალო ვალონური. უმეტესად გამოიყენება ძველი ვალონური, რომელიც გრძელდება 1600 წლამდე, რომლითაც თარიღდება პირველი ლიეჟური ტექსტები, ხოლო შემდეგ ძველი ვალონური იცვლება ახალი ვალონურით.

ენაში არსებული მეტყველების მდიდარი ნაირსახეობების მიუხედავად, მის წერილობით მეტყველებაში აისახება რეგიონალიზმების მცირე ნაწილი.

ბელგიის ოფიციალური მეტყველებები, რომლებიც უფრო "წერილობითი" ფორმითაა წარმოდგენილი, ვიდრე "ზეპირმეტყველებით", ხასიათდება თავისებურებათა დიდი რაოდენობით. ისინი ინარჩუნებენ იმ სიტყვებს, რომლებიც საფრანგეთის ოფიციალური ენის მიერ უარყოფილია სხვადასხვა ეპოქაში, ამასთანავე ფრანგულ სიტყვებს აძლევენ ახალ მნიშვნელობებს, რომლებზეც უფრო დაწვრილებით ჩვენი ნაშრომის შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

რაც შეეხება ბელგიური ფრანგულის სალიტერატურო ენას, იგი წარმოდგენილია ორი განსხვავებული ასპექტით: ერთი ესაა "ფრანგულად გამოხატული ბელგიური ლიტერატურა" (Littérature Belge d'expression Française) და მეორე – რეგიონალურ დიალექტზე შექმნილი ნაწარმოებები, სადაც პირველ რიგში ყურადღება ექცევა ბრიუსელის პოპულარულ ფრანგულს, რომელიც ასახავს პოულობს ლეფევერის (V. Lefèvre), კურუბლის (L. Courouble) და სხვა მწერლების ნაწარმოებებში.

3. რომანული ბელგიის დიალექტური ლიტერატურა.

ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციისა და ზეპირი მეტყველების გრაფიკული ფორმით გამოხატვის საშუალება. იგი ამასთანავე ხელოვნების სხვადასხვა დარგების მატერიალიზაციის საშუალებას, მათ შორის ლიტერატურის. სწორედ ლიტერატურული ნაწარმოებების მეშვეობით ხდება ქვეყნის სოციალური და კულტურული ცხოვრების ასახვა. იმ ქვეყნებში კი, რომლებშიც გამოიყენება ერთზე მეტი ენა, ადრე თუ გვიან დაისმის შეკითხვა: რა ენაზე უნდა შეიქმნას

ლიტერატურა, სახელმწიფო ენაზე თუ ადგილობრივ დიალექტზე? ეს პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო ბელგიელი მწერლებისათვის. ბელგიის ელიტარული ფენა ყოველთვის ხასიათდებოდა ფრანგულთან სიახლოვით და XVIII საუკუნიდან სალიტერატურო ენად მკვიდრდება ფრანგული, რომელსაც მიმართავს ყველა შემოქმედი.

ვალონურ დიალექტებში, რომლებიც ხშირადაა რომანისტების კვლევის საგანი, შუა საუკუნეებში გაერთიანებული იყო ძველი პროვანსალური დიალექტი, რომელიც შუა საუკუნეებში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლიტერატურული ენა გახდა მთელს სამხრეთში. თუმცა ვალონურ დიალექტსაც დიდი ლიტერატურული ტრადიცია აქვს, რომელიც საინტერესო კვლევის საგანია, როგორც ლინგვისტური, ასევე ფოლკლორული თვალსაზრისითაც. რომანულმა ფილოლოგიამ, თუ მთლიანად ვერ უზღუდვებლყო რომანული ბელგიის კილოები, დიდი ხნის განმავლობაში უყურადღებოდ ტოვებდა მათ. მაშინ, როცა პროვანსულში არსებობდა ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები, ისტორიული და დესკრიფციული გრამატიკები, ლექსიკონები, ნათარგმნი ტექსტები, ყველაფერი, რაც კი საჭიროა ენის თუ ლიტერატურული დიალექტის მეცნიერულად შესწავლისათვის, ვალონური დიალექტისათვის არ არსებობდა არც ისტორია, არც ძველი ვალონური ლიტერატურა. პრაქტიკული გრამატიკები:

J. Delaite — « Essai de grammaire vallonne » — I et II, Liège, 1892,1895 ;

G. Marchel — « Grammaire vallonne à l'usage des auteurs » — Liège, 1894 ;

J. willem — « Grammaire vallonne » — Liège, 1902.

და ერთადერთი ფრანგულ-ვალონური ლექსიკონი არასრული ნაშრომებია და ისინი მნიშვნელოვან დახმარებას ვერ გაგვიწვევენ ლიტერატურული ტრადიციების ისტორიული შესწავლის საკითხში.

ვალონურ დიალექტზე მოლაპარაკე რეგიონების განხილვის შემდეგ, უნდა განვიხილოთ ლიტერატურა, რომელიც ამ რეგიონებში იქმნებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ დიალექტური ლიტერატურის პროდუქცია და ვალონიის ტერიტორიაზე შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია, რომელიც განიცდის პარიზული ენისა და კულტურის გავლენას. ამ ორ მიმართულებას ჩვენ მიყავართ, ერთის მხრივ, რეგიონალურ კილოებამდე და, მეორეს მხრივ, ბელგიური ლიტერატურის ფრანგულ გამოხატულებამდე. შუა საუკუნეებში ჯერ კიდევ არ არსებობს მკვეთრი განსხვავება მათ შორის. ხშირად ძნელია განსხვავების დადგენა ფრანსიულ

ტექსტსა და ძველ ვალონურ ტექსტს შორის. მაგრამ XVIII საუკუნიდან ვალონური მიმართულება გამოეყოფა ფრანგულ მიმდინარეობას და გაბედულად უპირისპირდება მას.

ვალონური ლიტერატურის შესწავლა საკმაოდ ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ძველი და თანამედროვე დიალექტების ცოდნა, ამასთანავე გარკვეული ლინგვისტური გამოცდილება, რათა გაგარკვიოთ მოცემული კონკრეტული ტექსტი ვალონიის ტერიტორიაზე გავრცელებულ რომელ დიალექტს ეკუთვნის. და ბოლოს, საკმაოდ რთულია ასეთი ნაწარმოებების პოვნა, რადგანაც ბევრი მათგანი ან საერთოდ არ არის ჯერ კიდევ დაბეჭდილი, ან ძალიან მცირერიცხოვანი ტირაჟი აქვს.

ამ ქვეთავში ჩვენ შევეცდებით მკითხველის დარწმუნებას იმაში, რომ ძველი ფრანგული ლიტერატურის გვერდით შეიძლება ვისაუბროთ ძველ ბელგიურ, კერძოდ ვალონურ ლიტერატურაზეც.

პასუხის გაცემა კითხვაზე: თუ რა ენაზე წერდა ესა თუ ის ავტორი, ფრანგულზე თუ ვალონურზე, არც ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, რადგან არც ერთი მწერალი და არც გადამწერი არ იყენებდა წმინდა ვალონურ დიალექტს, ყველა მათგანი ნებისთ თუ უნებლიეთ განიცდიდა პარიზის კულტურულ და ლინგვისტურ გავლენას, ხშირად კი პიკარდიული ქალაქების გავლენასაც და მრავალი მათგანი უკვე წერდა ბელგიურ ფრანგულზე. უმეტესად მათი ენა შედგებოდა სუფთა ვალონური ელემენტებისა და ფრანგული ენის რეგიონალური ფორმების ერთიანობით, რომლებიც თავად მწერლის მიერ იყო შექმნილი.

ფრანგულად წარმოდგენილი ლიტერატურის ასიმილაციის მიუხედავად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ძველი ვალონური ელემენტები ღრმა კვალს აჩენს ამ ნაწარმოებებს, რადგან ამ პერიოდში შექმნილ ტექსტთა გარკვეული ნაწილი შექმნილია უფრო “გაფრანგულებულ ვალონურზე” (Wallon francisé), ვიდრე “გავეალონურებულ ფრანგულზე” (français wallonisé). აღსანიშნავია ისიც, რომ XIII საუკუნეში, სხვადასხვა რომანულ კილოებს შორის უფრო ნაკლები განსხვავება იყო, ვიდრე დღესდღეობით; მათ შორის ფრანგულ და იტალიურ ენებს შორისაც და თუ ეს ითქმის ისეთი დიდი ისტორიის მქონე სალიტერატურო ენებზე, როგორებიცაა ფრანგული და იტალიური ენები, მაშინ რაღა გასაკვირია, რომ ერთმანეთის გვერდით მდებარე ფრანსიული, პიკარდიული და ვალონური დიალექტების ურთიერთგამიჯვნა ძნელი იყო?!

ამიტომაც არასწორი იქნება ვივარაუდოთ, რომ თუ ძველი სალიტერატურო ვალონური დიალექტი ჰგავს ფრანგულ ენას, ეს იმის მანიშნებელია, თითქოს ეს უკანასკნელი გავლენას ახდენდა ვალონურის ვულგარულ ზეპირმეტყველებაზე. ჩვენ მივიჩნევთ, რომ მწერლები თავიანთი ნაწარმოებების შექმნისას უბრალოდ ცდილობდნენ მიებაძათ მეტროპოლის ენის ნორმებისათვის, ისევე როგორც ეს დღესდღეობითაც ხდება, როცა თანამედროვე მწერლები ცდილობენ პარიზული სალიტერატურო ნორმების მიბაძვას.

ფრანგულ ენაზე შექმნილ უძველეს ნაწარმოებებში: “წმინდა ეულალიას კანტილენა” (*la Cantilène de Sainte Eulalie*) და “წმინდა ლევეს ცხოვრება” (*la Vie de Saint Léger*) (154) ვხვდებით ცალკეულ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ორივე ნაწარმოები შექმნილია ვალონიაში, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, რადგან ეს ენობრივი მოვლენები საკმაოდ მცირერიცხოვანია და ხშირად ისინი საერთოა ფრანსიულ, პიკარდიულ და ლოტარინგიულ დიალექტებში.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ვალონიაში განუწყვეტლივ იქმნებოდა ლიტერატურული ნაწარმოებები. თავდაპირველად ისინი ორენოვანი იყო. მწერლების ერთი ნაწილი ცდილობდა მიებაძა ფრანგული ან პიკარდიული ტრადიციებისათვის, მეორე ნაწილი კი იყენებდა ენას, რომელიც ახლოს იყო მის ყოველდღიურ მეტყველებასთან. ეს ორი მიმართულება მხოლოდ XVII საუკუნეში იღებს გამოკვეთილ სახეს, როცა მწერლები შეგნებულად იყენებენ ვალონურ დიალექტს ეფექტური სტილის შესაქმნელად.

ახალ ლიტერატურად წოდებული ახალი ეტაპი ლიტერატურის განვითარებაში, უმეტეს შემთხვევაში, ძალიან საინტერესო იყო, რადგან იგი შეიცავდა შთამბეჭდავ ელემენტებს. ამასთანავე იგი გარდამავალ ეტაპს ქმნიდა ძველ და თანამედროვე პერიოდის ვალონურ ლიტერატურას შორის. იგი ხასიათდებოდა ვალონური ლიტერატურული საზოგადოების (*la Société de Littérature wallonne*) გარშემო სერიოზული ადამიანების შემოკრებით, ლიეჟის თეატრის პოპულარიზაციით, ყველა ლიტერატურული ჟანრის განვითარებით და მრავალი რეგიონალური მნიშვნელობის კულტურული ცენტრის დაარსებით, რაც დასრულდა 1856 წელს დიალექტური აკადემიის ჩამოყალიბებით.

1600-1856 წლით დათარიღებული, ვალონიაში შექმნილი ნაწარმოებების სია ჯერ კიდევ არაა სრული სახით შედგენილი, რაც მოითხოვს ლიეჟის, ნამურის და სხვა ვალონური ყოფის ამსახველი კატალოგებში და ბიბლიოთეკების საცავებში

გულმოდგინე კვლევებს და შეუძლებელია შესრულდეს უცხოელის მიერ, რომელიც ვალონიიდან მოშორებით ცხოვრობს, ამიტომაც ჩვენ ისღა დაგვრჩენია სხვას დაუთმობთ ბიბლიოგრაფული გარჩევის პატივი და ჩვენ შემოვიფარგლოთ არსებული ლიტერატურის ისტორიული განხილვით.

სავარაუდოა, რომ წმინდა დიალექტური ფორმის პირველ ნაწარმოებებამდე არსებობდა ხალხური პოეზია, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს “საშობაო ტროპარი” (Les Noël) (154), თუმცა მათი არსებობის დამადასტურებელი ფაქტების არარსებობის გამო, ჩვენ შემოვიფარგლებით იმ ნაწარმოებების განხილვით, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, რომელთა რიცხვიც 100-ზე მეტია. ესაა 1600-1856 წლებში შექმნილი ლიტერატურა, რომელიც ამ პერიოდის ბოლოსათვის განიცდიდა სწრაფ ცვლილებებს. იგი შედგება დრამატული ნაწარმოებებისაგან, პოეზიისაგან და პროზაული ნაწარმოებების იშვიათი ნაწყვეტებისაგან. უმეტესად იგი არის სატირული ხასიათის, ხანდახან სახოტბო, იშვიათად დამრიგებლური ხასიათის გამომხატველი და მხოლოდ მოგვიანებით შექმნილ ნაწარმოებებში ვხვდებით ლირიკულ ელემენტებს.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, ლიეჟის გარდა, სხვა ვალონურ ქალაქებშიც იქმნება რეგიონალური ცენტრები, რომლებიც XX საუკუნეში ჩამოყალიბდნენ ვალონური ლიტერატურის საზოგადოებად (Société de littérature Wallonne).

კარგა ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ვალონური დიალექტური ლიტერატურა ვითარდებოდა შუა საუკუნეებშიც; მაგრამ ბელგიური ფილოლოგიის უკეთ გაცნობამ ნათელყო, რომ ამ პერიოდში ბელგიური რეგიონები წერილობითი ენის ფრანსიულ სტრუქტურას ფლობდნენ და რომ სხვადასხვა ნაწარმოებების მიხედვით ცვალებადი რეგიონალური ენობრივი ელემენტები უბრალოდ ადასტურებდნენ ბელგიური ადგილობრივი კილოების თანაარსებობას, მათი კონკრეტულად ამა თუ იმ კილოსთვის მიკუთვნების გარეშე.

ვალონური დიალექტის ინდივიდუალობა, რომელიც XIII საუკუნიდან შეჩერებული იყო, 1600 წლიდან კვლავ აღიდგენს თავის ლიტერატურულ ხარისხს. ამავე პერიოდში ხდება d'îl-ის სხვა დიალექტების ლიტერატურული აღორძინებაც. ეს გამოიწვია ენათა გამოყენების იერარქიაში მომხდარმა რეაქციამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVI საუკუნეში და რომლის შედეგადაც ლათინურის გამოყენება დასრულდა ჰუმანისტთა იდეების სასარგებლოდ. ფრანგულის სახელმწიფო და კულტურის ენად გამოცხადების შემდეგ, სხვა დიალექტები, რომლებიც უკვე წინა საუკუნეშიც ჩამორჩებოდნენ ფრანსიულ დიალექტს, საბოლოოდ დაყვანილნი იქნენ

კილოთა მდგომარეობამდე და სოციალური თვალსაზრისით, მხოლოდ ფამილიალურ სფეროში გამოიყენებოდნენ. თუმცა ამავე პერიოდში, ფრანგული ენის დახვეწისა და გაკეთილშობილების შესაბამისად, ვალონური დიალექტი უკეთ ახდენდა თავისი სტილისტური საშუალებების, მისთვის დამახასიათებელი სისადავისაკენ, დაცინვისაკენ მიდრეკილების ხაზგასმას, რადგან მის განკარგულებაში გადადის ისეთი ჟანრები და თემები, რომლებიც ამიერიდან უარყოფილია იბლიანი ფრანსიულის მიერ. რენესანსის ეპოქაში შეიქმნა სალიტერატურო კილოს მიმართულება, რომელიც მწერლებს საშუალებას აძლევდა აესახათ ადგილობრივი ღირებულებები, რომელიც ფრანგულთან მიმართებაში გამოიყენებოდა როგორც სულ სხვა რეზონანსის მქონე დროებით შეცვლილი ბედნიერი დიაპაზონის გამოხატვის საშუალება. ძველი რეჟიმის დასასრულამდე პროვინციებში პლექების პირქუში ცხოვრების გამომხატველმა დამუშავებამ ისეთ ორიგინალურ ფორმებს მიაღწია, რომ მას ვერც კი უახლოვდებოდა ფრანგულში განხორციელებული მსგავსი მცდელობები.

დიალექტური ლიტერატურა თავის ავტორებისგან გარკვეულ ბილინგვიზმსა და კულტურას მოითხოვს. ეკლესიის მსახურები, მსაჯულები და სამეფო კარის წარმომადგენლები – ამ წრეებს მიეკუთვნება იმ ავტორთა უმრავლესობა, რომელთა სახელებიც ცნობილია ეპოქის მწერლებს შორის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლიტერატურის ეს მიმართულება, რომელიც ხალხთა მასების ენაზეა დაწერილი, იქმნება განათლებული ხალხის მიერ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლიტერატურული ტრადიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლიეჟის რეგიონში, რადგანაც დაახლოებით 1600 წლით დათარიღებული პირველი ტექსტები სწორედ ამ რეგიონს მიეკუთვნება და მხოლოდ ძველი რეჟიმის ბოლო პერიოდში ვხვდებით მალმედში, ნაშურში, მონსში დიალექტური ლიტერატურის განვითარების დამამტკიცებელ ნაწარმოებებს. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურა მხოლოდ ქალაქებში იქმნებოდა. დღესდღეობითაც კი, როცა ეს ხალხური კილოები მხოლოდ სოფლად, გლეხურ პირობებში გამოიყენება, დიალექტური ლიტერატურა მაინც მარტო ურბანულ ცენტრებში იქმნება.

მოგვიანებით ვალონურ დიალექტზე იქმნება ისეთი ლიტერატურული პროდუქცია, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტექსტში ასახულ დრამატული მნიშვნელობისა და გარემოების სიუჟეტებს, რომლებიც კავშირში იყვნენ ადგილობრივ რეალობასთან; ამგვარად ყურადღება გამახვილებული იყო

ისტორიულ ფაქტებზე და ამიერიდან ქალთა სატირა და უიღბლო ქორწინებაზე ჩივილი აღარ იყო ერთადერთი თემა რეგიონალური ლიტერატურისათვის. ზემოდხსენებულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები გაერთიანებული იყო პასკეილის (paskèye) ჟანრში, რომელიც რეგიონალურ ფრანგულში შეიქმნა სტანდარტული ფრანგული ლიტერატურის გავლენით (pasquil – პასკეილი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ცილისმწამლებლურ, შეურაცხმყოფელ ნაწარმოებებს); ეს ჟანრი პოპულარულია 1630-1650 წლებში და იგი თავდაპირველად ხასიათდება პოლემიკით, შემდეგ ქება-დიდებათ, რომელიც XVIII საუკუნეში თანდათან გადაიზარდა ირონიულ დითირამებში, რომელიც შეუდარებელი პამფლეტური მახვილგონიერებით გამოირჩეოდა.

I მსოფლიო ომის შემდეგ, ბელგიურ ფრანგულ ენაზე შექმნილი ლიტერატურა ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება და იგი მოიცავს ბრიუსელისა და ვალონიის თითქმის მთელ ტერიტორიას; თუმცა რეგიონალური ლიტერატურა პოეზიის ფორმით კვლავ განაგრძობს არსებობას. თუ რომელიმე მწერალი ყურადღებას ამახვილებს თავისი რეგიონის რეალობაზე, როგორც მაგალითად რობერ ვივიე (Robert Vivier) თავის კრებულში “დაგვიცავით ბოროტებისაგან” (Délivrez-nous des mal) (154), მათი ნამდვილი მიზანი სულ სხვაა, კერძოდ ამ კრებულში პოეტი ცდილობს აღწეროს ყოველდღიური რუტინა, პათეტიკური უბრალოება.

პროზაიკოსები კი ახალი რომანით ინტერესდებიან, ზოგიერთი მათგანის შემოქმედებაზე შეიმჩნევა სიურეალიზმის კვალიც.

1931 წელს დაარსებული “პოეტთა გაზეთისა” (Le Journal des poètes) და მრავალი მნიშვნელოვანი კრებულების წყალობით, ბელგიური ფრანგულის პოეზია დიდი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა და მას კავშირი აქვს ყველა თანამედროვე ჟანრის პოეზიასთან. ამ პერიოდში ქვეყნის რომელ ნაწილშიც არ უნდა ვითარდებოდეს ესა თუ ის პოეტური ჟანრი, მისი გულისცემა ისეთი ძლიერია ბრიუსელში, როგორც არასდროს. მიუხედავად ამისა, პოეზიამ განსაკუთრებულ დემონსტრაციას ვალონიაში მიაღწია, განსაკუთრებით სიურეალისტური ნაწარმოებებით.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ რეგიონალური ფრანგულით შექმნილ საინტერესო ლიტერატურას, სტანდარტული ნორმების გათვალისწინებით შექმნილ ბელგიურ ლიტერატურას, ძალიან მცირედ თუ ემჩნევა თავისი ავტორის გეოგრაფიული წარმოშობის კვალი და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რეალობის აღქმისათვის ისინი რომანის გმირებს შორის გამართულ დიალოგებში

იყენებენ ადგილობრივ კილოებს, სხვა მხრივ ბელგიელი მწერლების შემოქმედება ადგილობრივი თავისებურებების ნამდვილ კრიტიკას წარმოადგენს.

პირველი, რაც თვალში ხვდება ფრანგულ ენაზე შექმნილ ბელგიური ლიტერატურის დამკვირვებელს, ესაა მათი ურთიერთობა და კავშირი პარიზულ წესებთან.

ამ ურთიერთობის ორი ფორმა არსებობს:

პირველში დიდი ყურადღება ექცევა ამ წესების ცენტრალიზაციას და ბელგიური ლიტერატურა მიჩნეულია როგორც გაერთიანებული ფრანგული ლიტერატურის ვრცელი იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პარიზული და ბელგიური ფრანგულის გეოგრაფიული სიახლოვე, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა ადამიანებისა და მედიის თავისუფალი ურთიერთობის შედეგად; ამაში მნიშვნელოვანი როლი იმანაც ითამაშა, რომ საფრანგეთის ლიტერატურული მიმდინარეობები ყოველთვის მიბაძვის საგანი იყო ბელგიური ხელოვნებისთვის. ამ მიმართულების მხარდამჭერები გამოიყენებდნენ გამოთქმას “ბელგიის ფრანგული ლიტერატურა” (*Littérature française de Belgique*).

მეორე მიმართულება კი ხაზს უსვამს იმას, რომ ბელგიური ლიტერატურა, თავისი ისტორიის განმავლობაში, ყოველთვის არსებობდა. ამ მიმართულების მხარდამჭერნი გამოიყენებენ ტერმინებს “ბელგიური ლიტერატურა” (*Littérature Belge*) და “ფრანგულად გამოხატული ბელგიური ლიტერატურა” (*Littérature Belge d'expression française*).

ორივე ეს მოდელი გარკვეულწილად მართლაც დამახასიათებელი იყო ბელგიური ლიტერატურისათვის, მაგრამ ისინი შეესაბამებოდნენ ბელგიური ლიტერატურის ისტორიის 2 სხვადასხვა პერიოდს. პირველი ე.წ. ცენტრისკენ მიმართული (*centriaète*) პერიოდი, რომელიც შემოიფარგლება 1830-1917 წლებით და მეორე ე.წ. ცენტრიდანული (*centrifuge*) – 1918-1960.

პირველი პერიოდი ხასიათდება ბელგიური ლიტერატურის ავტონომიით, ხოლო მეორე — ბელგიური ლიტერატურის ფრანგული ლიტერატურული წესების სრული ასიმილაციის სურვილით.

თითოეული ამ პერიოდის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფრანგულ ენას.

პირველ პერიოდში ფრანგული იყო ხელისუფლებაში მოსული ბურჟუაზიის, როგორც ვალონურის, ასევე ფლამანდიურისაც, ენა და იგი აღიარებული იყო ნაციონალური მგრძობელობის უკეთ განსაზღვრის საშუალებად. ეს ეროვნული

მგრძნობელობა, რომელიც “შეიქმნა” 1830-1839 წლებში, განისაზღვრება შემდეგი სიტყვებით: სერიოზული, საქმის სიყვარული და ა.შ.

XIX საუკუნის ბოლომდე მსგავსი იდეოლოგიით ხდებოდა ერთიანი ბელგიის ფორმულირება. ფრანგული, ერთი მხრივ, იყო მშობლიური და საზოგადოებრივი ენა, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოეთში, კერძოდ საფრანგეთში აღიარებული კულტურული ენის სიმბოლიზება.

მეორე პერიოდი იწყება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ბელგიაში დასრულდა ბურჟუაზიის მმართველობის ხანა, რის შედეგადაც ხდება ლიტერატურული ნათესაობის შესახებ თეორიის განვითარება, სადაც ლინგვისტური ფაქტორი ძირითად როლს ასრულებს: რადგან ბელგიური ლიტერატურა იქმნება ფრანგულად, მაშასადამე ის ფრანგულია.

თითოეულ ეპოქაში წერილობითი ენის საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ბელგიის ყველა ლიტერატურული მნიშვნელობის დისკუსიისათვის.

XX საუკუნის I ნახევარში ვალონურმა ლიტერატურამ გააძლიერა XIX საუკუნეში მოპოვებული უფლებები. პოეზია იძენს ესთეტიკურ ინტერესს, თეატრი განვითარების საუკეთესო პერიოდს განიცდის, განსაკუთრებით ლიეჟში: სახასიათო კომედიებმა შეცვალა ზნეობრივი კომედიები, ხოლო ნოველის ფორმით გამოსატული პროზა ტოლს არ უდებს პოეზიას.

როგორც ვხედავთ, ბელგიური ლიტერატურა თავისი განვითარების განმავლობაში ხან ფრანგული ლიტერატურის გავლენას განიცდიდა, ხან კი ხასიათდებოდა რეგიონალური ელემენტების გამოყენებით. ეპოქების მიხედვით, ბელგიელი შემოქმედები ხან ერთ მიმართულებას უჭერდნენ მხარს, ხან მეორეს, იქედან გამომდინარე, თუ რომელი მიმდინარეობა უფრო შეეასაბამებოდა ამ კონკრეტული ეპოქის მოთხოვნებს. ასე მაგალითად, ბაროკოს სტილი ემთხვევა ცენტრისკენულ პერიოდს, როცა ბელგიურ ლიტერატურაში რეგიონალური ელემენტები ჭარბობს, ხოლო კლასიკურად წოდებული მიმდინარეობა, პირიქით, უპირატესობას ანიჭებს ცენტრიდანულ პერიოდს, როცა პარიზული ლიტერატურის ნორმა ვრცელდება მთელს ფრანკოფონულ სამყაროში და გავლენას ახდენს მასზე. ცხადია, რომ ამ ლიტერატურული მიმართულებების ურთიერთდაპირისპირებები შემთხვევითი არაა და მათზე გავლენას ახდენს ქვეყანაში მომხდარი ისტორიული ფაქტორები, რაც აისახება ლინგვისტურ სიტუაციაზეც.

1937 წლიდან 1980 წლამდე ბელგიელი მწერლის სტატუსი უცვლელია, რაც განსხვავდებოდა საუკუნის დასაწყისში მომხდარი ცვლილებებისაგან. თუ XIX საუკუნეში ბელგიელი მოყვარული მწერალი პროფესიით ექიმი იყო და აუცილებლად კარგი ოჯახის შვილი, 1920 წლიდან იგი უმეტესწილად საშუალო ფენის წარმომადგენელია და უფრო ხშირად პროფესიით მასწავლებელი ან ექიმი. თავისი ფრანგი კოლეგისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც წესი, არისტოკრატის ან მაღალი ბურჟუაზიის წარმომადგენელია, XX საუკუნის ბელგიელი მწერალი იმ წრის წარმომადგენელია, რომელიც უფრო ძლიერად განიცდის ლინგვისტურ საფრთხეს. ისინი 1937 წლიდან მხარს უჭერენ პურისტულ პოზიციას, ხოლო 1980 წლიდან — ავანტურისტულ წამოწყებას, თუმცა მათ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს მსოფლიო ისტორიული მოვლენებითა და ლიტერატურული სფეროს სტრუქტურით დაკავება.

ბელგიაში ოდესღაც “იმპორტირებული” ფრანგული ენა დღესდღეობით ვალონიის მთელ ტერიტორიაზე გამოიყენება დამოუკიდებლად ან რეგიონალურ დიალექტთან ერთად. ის მტკიცეაა დაძვირებული მედიაში, როგორც რადიოსა და ტელევიზიაში, ასევე პრესაშიც.

თ ა ვ ი III

**ბელგიური ფრანგულის ფონეტიკური, გრამატიკული და
ლექსიკური თავისებურებანი.**

ბელგიური ფრანგული არის ფრანგული ენის რეგიონალური ფორმა, რომელიც გამოიყენება ბელგიის სამხრეთ ნაწილში და საკმაოდ გავს სტანდარტულ ფრანგულს. ბელგიის მკვიდრი ფრანკოფონი მოსახლეობა დასახლებულია ვალონიის რეგიონის უდიდეს ნაწილზე და აგრეთვე ქვეყნის დედაქალაქში.

როგორ უნდა ვიცნოთ ბელგიელი, რომლისთვისაც ფრანგული მშობლიური ენაა? ბელგიელი ფრანკოფონის მეტყველება, ერთი შეხედვით, ბევრად არ განსხვავდება სტანდარტული ფრანგულით მოლაპარაკის მეტყველებისაგან. თუმცა მას მაინც ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, კერძოდ არქაული ფორმების გამოყენება, ბელგიციზმები და, უპირველეს ყოვლისა, ბელგიური ფრანგულისათვის დამახასიათებელი აქცენტი. ყველა ეს თავისებურება განასხვავებს ფრანგული ენის ბელგიურ ვარიანტს სტანდარტული ფრანგულისაგან.

ბელგიელი ფრანკოფონი, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა დამახასიათებელი აქცენტით, რომელიც თავისი საუბრის მანერით, რიტმით, ხმოვანთა გრძლივობით, თანხმოვანთა სონორიზაციითა და მჟღერი თანხმოვნების დაყრუებით მოგვაგონებს ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ფლამანდიელს; ასევე სტანდარტული ფრანგულისაგან განსხვავებული მორფოლოგიური და სინტაქსური ელემენტებით, რაც ვლინდება სიტყვის ფორმასა და მათ კონსტრუქციებში (სიტყვათა წყობა, წინადადება); და ბოლოს, ლექსიკური თავისებურებებით, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბელგიელი ფრანკოფონის ინდივიდუალიზაციის საკითხში.

ჩვენ სწორედ ამ დამახასიათებელი სახესხვაობების უფრო დაწვრილებით განხილვას შევეცდებით ამ თავში და ვისაუბრებთ ბელგიური ფრანგულის ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებზე.

ბელგიური ფრანგულის დიაქრონიაში განვითარების უკეთ წარმოსაჩენად გავეცანით იმ ლინგვისტების მეცნიერულ ნაშრომებს, რომლებიც ეძღვნება ბელგიური თავისებურებების კვლევას მისი ევოლუციის მანძილზე, ხოლო

თანამედროვე ბელგიური ფრანგულისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოსავლენად გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა საკუთარი ექსპერიმენტი, რომელიც მიზნად ისახავს ბელგიელ ფრანკოფონებზე დაკვირვების საფუძველზე ბელგიური რეგიონალური ფრანგულის სტანდარტული ფრანგულისაგან განმასხვავებელი ელემენტების გამოვლენას ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ დონეზე.

ექსპერიმენტის მიზანი იყო:

1. 2 საკვლევი ენის ლექსიკური მასალის შეგროვება და მათი განმასხვავებელი ნიშან-თვისებების წარმოჩენა;
2. ამ მასალის სისტემაში მოყვანა და მათი კლასიფიკაცია ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით;
3. ექსპერიმენტში მონაწილე პირებზე დაკვირვების შედეგად ბელგიური ფრანგულისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ელემენტების გამოვლენა;
4. შესაბამისი დასკვნების გაკეთება ბელგიურ ფრანგულში დამკვიდრებული ლინგვისტური ელემენტების შესახებ, რაც მას განასხვავებს მეტროპოლის ენისაგან.

ექსპერიმენტის განსახორციელებლად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდი: ერთი თვის განმავლობაში ვაკვირდებოდით და ვიწერდით ბელგიელი ფრანკოფონების საუბარს, რომელიც შემდეგ გადავამუშავეთ და დავალაგეთ ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური სტრუქტურის მიხედვით. ამ უკანასკნელის განხილვაში, რომელიც უმეტესწილად უცხო ლექსიკური ელემენტებით იყო წარმოდგენილი, მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია კორენტინ სნოვარტმა, რომელიც მასპინძლობას გვიწევდა ბელგიაში ყოფნის დროს.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო სამოცდაათამდე ბელგიელმა ფრანკოფონმა, რომელთა ასაკიც მერყეობდა 16-65 წელს შორის. ისინი ბელგიის სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები იყვნენ. კერძოდ, ბრიუსელის, ლიეჟის, ლუვენ-ლა-ნევის და ნამურის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ ბელგიციზმებისა და რომანული ბელგიის დიალექტური ფორმების გამოყენების სიხშირით. ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ ისეთი პირებიც, რომლებიც მეტყველებდნენ პარიზული ნორმით და შესაბამისად ნაკლებად იყენებდნენ ბელგიციზმებს.

ექსპერიმენტში მონაწილე პირებისათვის ცნობილი იყო, რომ ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბელგიური ფრანგული ენის ინდივიდუალურობის გამოვლენა. ამიტომ ისინი ცდილობდნენ მაქსიმალურად წარმოეჩინათ ბელგიური

ფრანგულის თავისებურებანი, რაც უხვად გვხვდება ბელგიელი ფრანკოფონის ყოველდღიურ ცხოვრებაში და რომელზეც გავლენა ვერ მოახდინა მეტროპოლის ენამ.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ბელგიური ფრანგულისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ნიუანსები, რითაც იგი განსხვავდება სტანდარტული ფრანგულისაგან.

კვლევის ეფექტურობა აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი იკვლევს ენის როგორც ლექსიკურ, ასევე იმ ფონეტიკურ და გრამატიკულ თავისებურებებსაც, რითაც ხასიათდება ბელგიური ფრანგული.

აღნიშნული ექსპერიმენტული კვლევის თეორიული და პრაქტიკული ანალიზის შედეგად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ წარმოვადგინოთ თითოეული სფეროს თავისებურებანი და ის ძირითადი მაგალითები, რომლებიც ბელგიურ ფრანგულს განასხვავებენ სტანდარტული ფრანგულისაგან.

1. ბელგიური ფრანგულის ფონეტიკური თავისებურებანი.

ამ ქვეთავში ყურადღებას გავამახვილეთ, ერთი მხრივ, რომანული ბელგიის სხვადასხვა რეგიონის და ბრიუსელურ წარმოთქმაზე და, მეორე მხრივ, სტანდარტული პარიზული მეტყველებისათვის დამახასიათებელ წარმოთქმაზე, რომელიც მიხეულია გეოგრაფიულ, სოციო-კულტურულ რეალობად და ფრანგულ ენაში ნორმის სახითაა დამკვიდრებული.

ჩვენ ვისაუბრებთ რეგიონალურ ფრანგულ ენაზე, რადგანაც ბელგიური ფრანგულის მრავალი საერთო შტრისის გვერდით ვხვდებით რეგიონებისა და სოციოკულტურული წრეების მიხედვით ცვალებად ნიშან-თვისებებს.

ბელგიური ფრანგულის ფონეტიკურ თავისებურებებზე საუბრისას უპირველეს ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბელგიურ აქცენტზე, რომლითაც წარმოითქმება ფრანგული სიტყვები, თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ბელგიელთა გარკვეულ ნაწილს, მათ შორის ნიდერლანდოფონებსაც და გერმანოფონებსაც, ბელგიური აქცენტის გვერდით, ხშირად ახასიათებთ სწორი ფრანგული წარმოთქმა.

ის, რაც ბელგიური აქცენტის სახელითაა ცნობილი, სინამდვილეში ბრიუსელური აქცენტია, რომელიც განიცდის ფლამანდიურის გავლენას და გამოირჩევა ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი ინტონაციით. აქვე უნდა

ავღნიშნოთ ისიც, რომ რომანული ბელგიის ცალკეულ რეგიონებში საკმაოდ განსხვავებული აქცენტი გვხვდება, რის შედეგადაც ბელგიის მთელს ტერიტორიაზე მცხოვრებ ფრანკოფონთა აქცენტებს შორის შეიძლება გამოვყოთ 3 სახის აქცენტი: ბრიუსელური, ვალონური და პიკარდიული.

ყველაზე უკეთ ცნობილია ბრიუსელური აქცენტი, მას შეიძლება ვუწოდოთ ბელგიური ფრანგული ენა ფლამანდიური აქცენტით.

ვალონური აქცენტი არ ხასიათდება ერთგვაროვნებით ვალონიის მთელს ტერიტორიაზე, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ ლიეჟის, ნამურის, შარლერუას, ბრაბანის ვალონური აქცენტები; თუმცა ყველაზე თვალშისაცემია ლიეჟური აქცენტი, სადაც ფაქტობრივად არ ხდება ცხვირისმიერი ბგერების გამოყენება.

რაც შეეხება პიკარდიულ აქცენტს, იგი ვრცელდება ბელგიის დასავლეთით და თითქმის იდენტურია ჩრდილოეთ საფრანგეთის აქცენტისა.

რეგიონალური აქცენტების ერთმანეთისგან გარჩევა არც ისე ხშირია ბელგიის ფრანკოფონულ საზოგადოებებში, მათ შორის ყველაზე ადვილია ბრიუსელური აქცენტის იდენტიფიცირება.

მკვლევარი დ. ლაფონტენი (Lafontaine) (127) მიიჩნევს, რომ ბელგიური აქცენტი, სტანდარტულ ფრანგულ აქცენტთან შედარებით, გაცილებით უხეში და მოუქნელია; თუმცა თავად ვალონელები ამ აზრს არ იზიარებენ და ისინი თვლიან, რომ ლიეჟური აქცენტი მეტი სირბილით და სინაზით გამოირჩევა, ვიდრე პარიზული აქცენტი, რომელიც ხასიათდება ერთგვარი სიცივით. ეს, რა თქმა უნდა, ვალონელი მოსახლეობის სუბიექტური აზრია, ხოლო ლაფონტენი გვაძლევს ამ საკითხის მეცნიერულ ახნას, სადაც იგი ბელგიურ ბუნებრივ თვითმყოფადობას უპირისპირებს ფრანგულ კულტურას და ამბობს, რომ, თუ ბელგიელი ფრანკოფონისათვის დამახასიათებელია სპონტანურობა და ბუნებრივობა, ფრანგი გამოირჩევა თვითგამოსატვის პედანტური მანერით და ამ უკანასკნელთან შედარებით ბელგიელები გაცილებით ვულგარულები, ფამილიარულები და ნაკლებრაფინირებულნი არიან.

ბელგიურ ფრანგულში წარმოთქმის ნორმატიული ფორმა არ არსებობს. ბელგიელ ფრანკოფონზე, რომლის ლაპარაკშიც იგრძნობა რომელიმე რეგიონალური აქცენტის გავლენა, შეიძლება ითქვას, რომ ის ლაპარაკობს აქცენტით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის მეტყველებს ბელგიელი ფრანკოფონისათვის დამახასიათებელი ფრანგულით, იტყვიან რომ ის ლაპარაკობს უაქცენტოდ. თუმცა “უაქცენტოდ” მოლაპარაკე ბელგიელები მაინც გამოირჩევიან

სტანდარტული ნორმით მოსაუბრე ფრანგებისგან. მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ ფრანგული და ბელგიური რადიოსა და ტელევიზიების ჟურნალისტების მეტყველება. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიელი ჟურნალისტები არ განიცდიან რომელიმე რეგიონალური აქცენტის გავლენას, მათი მეტყველება მაინც განსხვავდება მათი ფრანგი კოლეგების მეტყველებისაგან. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ბელგიის ცალკეული ტელერადიომაუწყებლობის რიგი ტიპის გადაცემებში შეიმჩნევა ესა თუ ის რეგიონალური აქცენტი. აქ უმეტესად საუბარია სპორტულ, მეტეოროლოგიურ თუ სხვადასხვა სახის გასართობ გადაცემებზე, რაც ჩვენი აზრით იმით აიხსნება, რომ ჟურნალისტები ცდილობენ უფრო ახლოს მივიდნენ თავიანთი გადაცემების ადრესატებთან და მოიპოვონ მათი კეთილგანწყობა.

ამ ქვეთავში ჩვენ შევეცდებით სტანდარტული ფრანგულისა და დიალექტური წარმოთქმის ერთმანეთისგან გამიჯვნას, რაც წარმოდგენილია ენის ორი ფორმით, ერთი — როცა წარმოთქმა შენარჩუნებულია, ხოლო მეორე — როცა შესუსტებულია. სწორედ ამ უკანასკნელს შევეხებით უმეტესად, რასაც ყველაზე ხშირად ადგილი აქვს ბელგიის ცალკეულ რეგიონებში.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ რეგიონალური ფრანგული ფრაზა გამოირჩევა ლაპარაკის მანერის, რიტმისა და ინტონაციის სინელით, რაც გამოწვეულია წარმოთქმითი ორგანოების ნაკლებ დაჭიმულობით რეგიონალურ ფრანგულში, ვიდრე ფრანგულის ნორმად აღიარებულ ფორმაში. სწორედ ამ წარმოთქმითი ორგანოების ნაკლებ დაჭიმულობა იწვევს ფონეტიკური ელემენტების გარკვეულ სისუსტეს, კერძოდ ამ ელემენტების სიზუსტის ნაკლებობას. თანაც მრავალი მათგანის წარმოქმნა ხდება პირის უფრო უკანა ნაწილში, ვიდრე ეს ნორმითაა გათვალისწინებული, რაც ხაზს უსვამს ლაბიალური არტიკულაციის უწყსრიგობას, რის შედეგადაც ბელგიურ ფრანგულში ხმოვანთა ტემბრი გაცილებით სუსტია, ვიდრე სტანდარტულ ფრანგულში.

რეგიონალური ფრანგულისათვის დამახასიათებელი საარტიკულაციო ორგანოების ნაკლებდაჭიმულობა და სუსტი წარმოთქმა მათი დიალექტური სუბსტრატის, ვალონიაში – რომანულის, ხოლო ბრიუსელში – გერმანიკულის გავლენის შედეგია.

ეს სიძნელე განსაკუთრებით თვალშისაცემია ცენტრალურ-ვალონურში და აღმოსავლეთ ვალონურში ანუ ნამურისა და ლიეჟის დიალექტებში.

ვალონიის რეგიონალურ ფრანგულში პარიზული ნორმის მსგავსი მხოლოდ მახვილიანი მარცვალია, რაც გამოიხატება ფონემათა და სიტყვათა ერთიანობით, სადაც მახვილი მოდის უკანასკნელ მარცვალზე. ნორმატიული ფრანგულისაგან განსხვავებით, სადაც ერთი ფონეტიკური ჯგუფის შემადგენელი ყველა სიტყვა გარკვეულწილად კარგავს თავის ფონეტიკურ ერთიანობას, რათა შექმნას ერთი დიდი სიტყვა, რომლის ყველა მარცვალიც, მახვილიანი მარცვლის გამოკლებით, წარმოითქმის როგორც უმახვილო და თითქმის ერთნაირი სიმოკლით და მსგავსი სიძლიერით; რეგიონალურ ფრანგულში, ფონეტიკური ჯგუფის შიგნით, სიტყვა ინარჩუნებს თავის ერთიანობის გამომხატველ ელემენტებს, რაც გამოიხატება იზოლირებულ სიტყვებში გრძელი თუ ნახევრად გრძელი მარცვლების არსებობით, რომლებიც მართალია მცირე განსხვავებით, მაგრამ მაინც უფრო ძლიერად წარმოითქმება, ვიდრე სხვა უმახვილო მარცვლები.

თანამედროვე რომანული ბელგიისათვის დამასახიათებელი ფონეტიკური თავისებურებების უფრო დაწვრილებით განხილვამდე, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით ყურადღება გაგვემახვილებინა იმ ფონეტიკურ თავისებურებებზე, რომლებსაც ბელგიურ ფრანგულში ადგილი ჰქონდა მისი ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდში.

D'oil-ის კილოებში c და g-ს პალატალიზაციას a-ს წინ ადგილი ჰქონდა VIII საუკუნეში: მარცვალში “ga” ადგილი აქვს შემდეგი სახის ტრანსფორმაციას — “ga” – “g’a” – “gya” – “ya” – “dya” – “dja” – “ja”, რის შედეგადაც შუასაუკუნეების დროინდელი ლათინური ფორმიდან “gascaria” მივიღეთ ფრანგული “jachère” (ყამირი მინდორი).

ვალონიის ზოგიერთ ნაწილში ამგვარ ევოლუციას ადგილი არ ჰქონია. ასე, მაგალითად, სიტყვა « jambe » (მუხლი) დასავლეთ ვალონურის პიკარდიულ დიალექტში წარმოითქმებოდა როგორც « gamba », ხოლო ლუქსემბურგის პროვინციის ერთ ნაწილში, როგორც « gan.ba ».

“w”-ზე დაწყებული ვალონური სიტყვების უმრავლესობა ფრანკული წარმოშობისაა:

- მაგ. “wâde” garde — (დაცვა)
 “wagni” gagner — (მოგება),
 « waiî » guéer — (ფონს გასვლა)... (50)

მკვლევარ ფრ. მასიონის (146) განცხადებით, შუა საუკუნეებამდე ვალონური ფონეტიკის ევოლუცია უფრო ნელი ტემპით ხდებოდა, ვიდრე — ფრანგული ენის. ამავე პერიოდში ჰქონდა ადგილი გარკვეული განსხვავებების წარმოშობას ვალონიის დიალექტურ ჯგუფებს შორის. ასევე ამავე პერიოდს ემთხვევა ერთი მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენის წარმოქმნა: ეს შეეხება მახვილიანი მარცვლის ადგილს სიტყვაში. თუმცა ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა რითმიული ჯგუფი (*groupe rythmique*) და მახვილი ეცემოდა ყველა სიტყვას და მისი ადგილი არ იყო ზუსტად ფიქსირებული. თუ სიტყვაში «*cimetière*» (სასაფლაო), მახვილი ეცემა ბოლო მარცვალს, ზოგ რეგიონში მახვილი ეცემოდა მის პირველ მარცვალზე: «*sematyèr*»; სიტყვას «*dommage*» (ზარალი), ჩვეულებრივ ბოლო მარცვალზე ეცემა მახვილი, მაგრამ ისეთ შემთხვევებსაც ვხვდებით, როცა იგი ინაცვლებს პირველ მარცვალზე: «*domaty*»; ან კიდევ «*semaine*» (კვირა), როცა, სტანდარტული ფრანგულისგან განსხვავებით მახვილი ეცემა პირველ მარცვალზე «*samwèn*». (146; 15).

დღესდღეობით, ბრიუსელის რეგიონალურ ფრანგულში, სადაც იგრძნობა გერმანიკული კილოების სუბსტრატის გავლენა, მახვილი ეცემა სიტყვის არა ბოლო მარცვალს, არამედ სიტყვის ფუძეს, ისე როგორც ეს დამახასიათებელია ბევრი ფლამანდიური სიტყვისათვის:

- მაგ. Réparer [ˈrepa,rej] — (შეკეთება),
Publicité [ˈpyblisi,tɛj] — (რეკლამა),
Embêtante [ˈɑ̃.ba,tɑ̃ :t] — (მოსაბეზრებელი).

მართალია, ყველა ამ სიტყვაში მახვილი სიტყვის ბოლო მარცვალზე არ მოდის, მაგრამ იგი მაინც მეორეხარისხოვანია. მახვილის ამგვარი გადაადგილებითა და მეორეხარისხოვანი მახვილების წარმოქმნის შედეგად უმახვილოდ დარჩენილი მარცვალი თითქმის აღარ წარმოითქმის, რის შედეგადაც გვეხმის:

- მაგ. Environnante [ˈɑ̃vro,nɑ̃ :t] — (მომიჯნავე),
Naturellement [ˈnatʁɛl,mɑ̃] — (ბუნებრივად),

რაც ძლიერ დამახასიათებელია ბელგიის რეგიონალური ფრანგულისთვის.

ბელგიური ფრანგულის ხმოვნები, მიუხედავად იმისა, მახვილიანია იგი თუ უმახვილო, ჩვეულებრივი [e], [o], [ø] თუ ცხვირისმიერი [ɛ̃], [ɔ̃], [œ̃], ყოველთვის გრძელია ან ნახევრადგრძელი, მაგ:

მაგ. Chanter [ʃɑ̃ :te] — (სიმღერა),
 Bienheureux [bjɛ̃ : n œ : rø] — (ბედნიერი),
 Récompenser [re.kɔ̃.pɑ̃ :se] — (ზარალის ანაზღაურება,
 დაჯილდოება),

Fausse [fo :s], faux [fo :] — (მცდარი, ცრუ).

რაც შეეხება სტანდარტულ ფრანგულს, იქ იგივე ხმოვნები გრძელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოდგენილია მახვილიანი ხმოვნის პოზიციაში და მათ შემდეგ მოდის წარმოთქმადი თანხმოვანი:

მაგ. სიტყვაში Fausse [fo :s] [o] გრძელია, ხოლო სიტყვაში – faux [fo] – მოკლე.

მახვილიანი ხმოვნები, რომლებიც შემდეგი თანხმოვნების [p], [t], [k], [f], [s], [ʃ] წინაა განთავსებული, წარმოითქმება როგორც გრძელი ან ნახევრადგრძელი, იმ შემთხვევაში თუ ეს თანხმოვნები სტანდარტული ფრანგული [b], [d], [g], [v], [z]-ს შესაბამისი ყრუებია :

მაგ. Arabe [ara :p] — (არაბული),
 Dogue [dɔk] — (დოგი),
 Univ [ynif] — (უნივერსიტეტი),
 Rose [ros] — (ვარდი),
 Coude [ku :t] — (იდაყვი),
 Collègue [kɔlɛ :k] — (კოლეგა),
 Rive [ri :f] — (ნაპირი)...

როცა სტანდარტულ ფრანგულში [b], [d], [g], [v] თანხმოვნებიდან რომელიმეს მოყვება [l] ან [r], ბელგიურ ფრანგულში ეს [l] ან [r] აღარ წარმოითქმის, მისი წინა თანხმოვანი კი განიცდის დაყრუებას და შესაბამისად გადადის [p], [t], [k], [f]-ში, მაგრამ მახვილიანი მარცვალი მაინც გრძელი ან ნახევრადგრძელია :

მაგ. Arable [ara :p] — (სახნაეი),
 Sabre [sap] — (ხმალი, ხანჯალი),
 Sucre [syk] — (შაქარი),
 Rendre [rɑ̃t] — (დაბრუნება),
 Autre [ɔt] — (სხვა),
 Quatre [kat] — (ოთხი),

Vinaigre [vine :k] — (ძმარი)...

lk > k ან tch — quelque chose [kɛtʃoz] — (რადაც),

ksk > sc — excuser [ɛskyze] — (ბოდიშის მოხდა),

kt > k — architecte [arkitek] — (არქიტექტორი),

rs > s — parce que [paskə] — (იმიტომ, რომ),

ge > k — tringle [trɛ̃k] — (კვერთხი)

ხმოვანი [ɛ] როგორც წესი გრძელი ან ნახევრადგრძელია მკლერი თანხმოვნების [m], [n], [l], [ŋ] და ყრუ [s]-ის წინ :

მაგ. Aime [ɛ:m] — (უყვარს),

Aimera [ɛ :mra] — (ეყვარება),

Capitaine [kapite :n] — (კაპიტანი, მთავარსარდალი),

Aile [ɛ :l] — (ფრთა)...

სხვა ხმოვნები კი ცალკეულ სიტყვებში და გამოთქმებში შეიძლება იყოს გრძელი ან ნახევრადგრძელი :

მაგ. [i] — Huile [wi :l] — (ზეთი),

Ici [i .si] — (აქ),

Il lui dit [il lwi :di] — (მან მას უთხრა) ;

[a] — Sale [sa :l] — (ჭუჭყიანი) ;

[u] — Poussière [pu :sjɛ :r] — (მტკერი) ;

[œ] — Engueuler [ɑ̃.gœ :le] — (ლანძვავა)....

ასევე გრძელი ან ნახევრადგრძელია ფინალური -ie, -ée და -ue :

მაგ. Amie [ami :j] — (მეგობარი გოგონა),

Chantée [fɑ̃ :te :j] — (ნამღერი),

Charrue [fary :j] — (გუთანა),

სტანდარტულ ფრანგულში ეს ფინალური ხმოვნები მოკლეა.

ბელგიურ ფრანგულში შემოსილი მახვილის მქონე (accent circonflexe) ხმოვნები ხშირად წარმოითქმის როგორც გრძელი ან ნახევრადგრძელი:

მაგ. Abîme [abi :m] — (უფსკრული),

Fête [fɛ:t] — (დღესასწაული),

Fêtait [fɛ :tɛ] — (დღესასწაულობდა),

Brûle [bry :l] — (ის წვავს).

Brûlait [bry :le] — (ის წვავდა).

სტანდარტული ფრანგულისაგან განსხვავებით, ბელგიურ ფრანგულში ხმოვანთა ტემბრი გაცილებით სუსტია, განსაკუთრებით კი მოკლე ხმოვნებში, რაც საარტიკულაციო ორგანოების ნაკლები დაჭიმულობის შედეგია. ასეთ ხმოვანთა ღიაობის ხარისხი უფრო დიდია და მათი წარმოთქმის ადგილი, განსაკუთრებით კი პალატალური ხმოვნებისა, ცოტათი წინ წამოწეულია. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია მოკლე [i]-სა და მოკლე [y]-სათვის. [i] განიცდის — [e]-სკენ გადახრას, ხოლო [y] — [u]-სკენ:

მაგ. Petit გამოითქმის, როგორც [pɛtɛ] (პატარა),
Une [un] — (ერთი),

[u] ხშირად იხრება [o]-სკენ :

მაგ. Toute [tot] — (ყველა),
Goutte [got] — (წვეთი).

ბელგიურ ფრანგულში ხშირად სტანდარტული ფრანგულის [e] გამოითქმის როგორც მოკლე [ɛ] :

მაგ. Téléphone [tɛlɛf ɛn] — (ტელეფონი),
Café — [kafɛ] — (ყავა),
Général [ʒɛnɛral] — (გენერალი),

სტანდარტული ფრანგულის უმახვილო les, mes, tes, ses, des ბელგიურ ფრანგულში წარმოითქმის, როგორც : [lɛ], [mɛ], [tɛ], [sɛ], [dɛ].

ბელგიური ფრანგულის პიკარდიულ ვარიანტში სტანდარტული ფრანგულისათვის დამახასიათებელი ფინალურ პოზიციაში მყოფი მახვილიანი [ɛ] წარმოითქმის, როგორც [ɛ] :

მაგ. Nez [nɛ] — (ცხვირი),
Répéter [rɛpɛtɛ] — (გამეორება),
Poulailler [pulajɛ] — (საქათმე).

გარკვეულ ადგილებში ფინალური -ée რეგიონალურ ფრანგულში წარმოითქმის როგორც მოკლე [ɛ] :

მაგ. Poupée [pupɛ] — (თოჯინა).

ხოლო როცა რეგიონალურ ფრანგულში სტანდარტული ფრანგულის უმახვილო [ɛ]-ს დაგრძელება ხდება, იგი წარმოითქმის, როგორც [e] :

მაგ. Aimable [e :map] — (თავაზიანი).

სტანდარტული ფრანგულის დახურული [ი]-ს ნაცვლად, რეგიონალურ ფრანგულში ხშირად წარმოთქვამენ ღია ი-ს ისეთ სიტყვებში, რომლებიც ბოლოვდებიან ასო ი-ზე ან ი + მუნჯი თანხმოვანი:

- მაგ. Cacao [kaka] — (კაკაო),
 Vélo [vela] — (ველოსიპედი),
 Piano [piana] — (ფორტეპიანო),
 Domino [domia] — (დომინო),
 Numéro [nymera] — (ნომერი),
 Tantôt [tãta] — (ზოგჯერ),
 Drôle [drɔl] — (მხიარული),
 Diplôme [diplɔm] — (დიპლომი),
 Gros [gɔ] — (სქელი),
 Sot [sa] — (სულელი),
 Trop [trɔ] — (ძალიან);

ასევე ზოგიერთ სიტყვაში, რომლებიც იწერება osse ან os-ით:

- მაგ. Fosse [fɔs] — (ორმო),
 Albinos [albinɔs] — (ალბინოსი);

სიტყვებში, სადაც უმახვილო პოზიციაში მყოფ ი-ს მოსდევს s, რომელიც გამოითქმის როგორც [z]:

- მაგ. Rosier [rɔzje] — (ვარდის ბუჩქი),
 Groseille [grɔzej] — (მოცხარი);

უმახვილო ან მახვილიან პოზიციაში მყოფი aur(e) გრაფემების შემთხვევაშიც იგივე სიტუაცია გვაქვს:

- მაგ. Laurier [lo :rje] — (დაფნა),
 Restaurant [resto :r ɑ̃] — (რესტორანი);

პიკარდიულ რაიონში და ლუქსემბურგში, სიტყვებში, რომლებშიც ვხვდებით შემდეგ გრაფემებს — ô, au ან ose :

- მაგ. Pôle [pɔ :l] — (პოლუსი),
 Autre [ɔ :tr] — (სხვა),
 Chose [ʃɔ :z] — (საგანი)

ისინი გამოიხატება ღია *o*-თი. ბრიუსელში ხშირად ვერ ანსხვავებენ ამ ორ ხმოვანს და გამოიყენებენ საშუალო უღერადობის ერთ ბგერას ორივეს ნაცვლად, ხშირად ესაა ღია *o*:

მაგ. Saucisse [sʰʌsis] — (სოსისი).

ბრიუსელში ხშირია შემთხვევა, როცა უმახვილო პალატალური ხმოვნები [i], [e], [ɛ], [y] გამოითქმის როგორც [ə]:

მაგ. Maison [mɑ̃] — (სახლი),

Culotte [kəlɔt] — (მამაკაცის მოკლე, მუხლამდე შარვალი).

რაც შეეხება ხმოვანთა ცხვირისმიერობას, ამ საკითხთან დაკავშირებით ბელგიურ ფრანგულთან მიმართებაში მრავალი შენიშვნა უნდა გაკეთდეს; აღმოსავლეთ-ვალონურში [ɑ̃] და [ɔ̃]-ს უღერადობა იმდენად უახლოვდება ერთმანეთს, რომ ხშირად ირევა ცხვირისმიერ ხმოვანში, რომელიც ამ ორ ხმოვანს შორის დგას:

მაგ. Banc — (გრძელი სკამი) და bon — (კეთილი),

რომლებიც წარმოითქმის თითქმის ერთნაირად, ხოლო სიტყვა jambon (ღორი) ორი იდენტური ცხვირისმიერი ხმოვნით.

აღმოსავლეთ-ვალონურში ასევე ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ძალიან უმნიშვნელოდ, ან საერთოდ არ წარმოითქმის სტანდარტული ფრანგულის მახვილიანი თუ უმახვილო ცხვირისმიერი ხმოვნები:

მაგ. Banc [ba :] ან [bɑ],

Bon [bɔ :] ან [bo],

Demain [dɛmɛ :] — (ხვალ).

ბრიუსელში და ვალონიის რიგ ტერიტორიებზე სტანდარტული ფრანგულის [ɛ̃], რომელიც ღია [ɛ]-ს ბაზაზე შექმნილი ცხვირისმიერია, ხშირად განიცდის ტრანსფორმაციას და იღებს რეგიონალური ფრანგულისათვის დამახასიათებელ არტიკულაციას, რომელიც ხშირად გამოითქმის როგორც [e]:

მაგ. Bien [bjɛ] და არა [bjɛ̃ :] — (კარგი).

პიკარდიულ, ცენტრალურ-ვალონურ და ბრიუსელის ფრანგულში არასწორი ნაზალიზაცია განსაკუთრებით ხშირად ეხება [ɛ]-ს, რომელსაც მოსდევს [m] და [n]:

მაგ. Aime [ɛ :m] — (უყვარს),

Peine [pɛ :n] — (მწუხარება).

[ə]-ს ამოვარდნა ხშირად ბელგიურ ფრანგულშიც იგივე შემთხვევებში ხდება, როგორც სტანდარტულ ფრანგულში. თუმცა [rj], [lj], [ni]-ს წინა პოზიციაში მყოფი [ə]-ს ამოვარდნას ადგილი აქვს მხოლოდ რეგიონალურ ფრანგულში:

მაგ. Nous chanterions [nu fã :trj̃ :] — (ვიმღერებდით),

Nous appelions [nuzaplj̃ :] — (ვეძახოდით).

როცა ერთმანეთის მიყოლებით მყოფი რამდენიმე მარცვალე შეიცავს [ə]-ს, ბელგიურ ფრანგულში იტყვიან:

მაგ. Je me le redis [žəmələ rədi] და არა: [žəmlərđi] — (საკუთარ თავს გავუმეორე).

რეგიონალურ ფრანგულში შენარჩუნებულია განსხვავება [œ]-სა და [ɛ̃]-ს შორის:

მაგ. Brun [brœ̃ :] — (ყავისფერი),

Brin [brɛ̃:] — (დერო),

რასაც ხშირად ადგილი აქვს არამარტო რეგიონალურ, არამედ სტანდარტულ ფრანგულშიც.

ბელგიაში, სადაც თავს იყრის სამი ენა, ხშირია შემთხვევები, როცა უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელები წარმოითქმის ფლამანდიურად. მსგავს შემთხვევებს ადგილი აქვს არამარტო ბრიუსელში, არამედ მთელ რომანულ ვალონიაშიც და ისინი წარმოითქმის ჩვეულებრივი ხმოვნებით:

მაგ. Rubens [rybens] — რუბენსი,

Rembrandt [rɛmbrant] — რემბრანდტი,

Van Gogh [vangok] — ვან გოგი.

ამ შემთხვევაში იგრძნობა მეზობელი გერმანიკული კილოების გავლენა, რომლის მეშვეობითაც ბელგიური ფრანგული სტანდარტულ ფრანგულზე უკეთ ანსხვავებს ერთმანეთისგან გრძელ და მოკლე ბგერებს. საკუთარ სახელებში ბგერების მკვეთრი წარმოთქმა ხელს უწყობს მათ უკეთ გაგებას.

ბელგიური ფრანგულის ერთ-ერთ თვალსაჩინო ფონეტიკურ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ დიფთონგების დამოუკიდებელ ხმოვნებად წარმოთქმის ტენდენცია.

მაგ. Lion [lĩ] — (ლომი),

Avion [avĩ] — (თვითმფრინავი).

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თავისებურება ყოველთვის არ გამოიყენება და სიტყვები, რომლებიც ბოლოვდება -tion-ზე და -sion-ზე, ინარჩუნებენ სტანდარტული ფრანგულისათვის დამახასიათებელ წარმოთქმას:

მაგ. Attention [atãtjã] — (ყურადღება),
 Conclusion [kãklyzyã] — (დასკვნა),
 Restoration [restɔratjã] — (რესტავრირება).

ბელგიური რეგიონალური ფრანგულის თავისებურებებს მიეკუთვნება ასევე ფინალური ხმოვნების დიფთონგიზაციის შემთხვევებიც, კერძოდ -i-ს ჩამატება ფინალური -e-ს წინ:

მაგ. Alleie [alej] allez-ს ნაცვლად [ale] — (წადით).

ადგილი აქვს საწინააღმდეგო შემთხვევებსაც. მაგალითად პიკარდიული დიალექტისათვის დამახასიათებელია დიფთონგ ie-ს გადასვლა მონოფთონგ i-ში:

მაგ. სტანდარტულ ფრანგულში გამოყენებული სიტყვა pied [pje] (ფეხი), რომანული ბელგიის პიკარდიულ დიალექტში შემდეგნაირად ეღერს: pi ან pi [pi].

ბელგიურ ფრანგულში მხოლოდ ორი ნახევარხმოვანი არსებობს: [j] და [w]. ნახევარხმოვანი [y] უცხოა ბელგიური ფრანგულისთვის და იგი შეცვლილია [w]-თი:

მაგ. Depuis [dɛpwi] — (მოყოლებული),
 S'enfuire [sã :fwi:r] — (გაქცევა).

სტანდარტული ფრანგულისათვის დამახასიათებელი შემთხვევის გარდა, ბელგიური ფრანგული სხვა მრავალ შემთხვევაში იყენებს ნახევარხმოვნებს, რაც ისევ და ისევ საარტიკულაციო ორგანოების ნაკლები დაჭიმულობითა და საუბრის ნელი მანერითაა გამოწვეული.

ისინი წარმოიქმნება ორ ხმოვანს შორის ისეთ სიტყვებში, როგორებიცაა:

მაგ. Réunir [re.jyni:r] — (შეკრება),
 Théâtre [te.ja:t] — (თეატრი),
 Européen [ø:r pe:jẽ:] — (ევროპელი),
 Poète [pɔwɛ:t] — (პოეტი).

ნახევარხმოვნები გვხვდება შემდეგ ფონეტიკურ სიტუაციებშიც: თანხმოვანს + [I] ან [r] + [I], [u], [y] ხმოვნიდან ერთ-ერთი + სხვა ხმოვანი:

მაგ. Clouer [kluwe:] — (მიჭედება),

Ouvrier [uvrje:] — (მუშა)

და არა როგორც იგივე სიტყვების სტანდარტულ ფრანგულში დამკვიდრებული ფორმები: [klwe], [uvrje].

ასევე ჩვეულებრივ თანხმოვნებს + [i], [u], [y] ხმოვნებიდან ერთ-ერთი + სხვა ხმოვანი:

მაგ. Relier [rəlije:] — (გადაბმა),

Louer [luwe:] — (დაქირავება),

Tuer [tuwe:] — (მოკვლა).

ამ შემთხვევაში სტანდარტულ ფრანგულში გვაქვს შემდეგი ფორმები: [rəlje], [lwe], [tje].

ბელგიურ ფრანგულში ის სიტყვები, რომლებშიც ვხვდებით ნახევარხმოვნებს, შეიცავენ ერთით მეტ მარცვალს, ვიდრე იგივე სიტყვები სტანდარტულ ფრანგულში.

ნახევარხმოვნებს ვხვდებით ისეთ სიტყვებშიც, რომლებიც წარმოდგენილი არიან ფინალური ხმოვნებით + e: -ie, -ée, -aie, -oue, -ue და ა. შ. სტანდარტულ ფრანგულში მსგავსი ფინალური ხმოვნები მოკლეა და e არ წარმოითქმის, ხოლო რეგიონალური ფრანგულის მრავალ ვარიანტში ამ ფინალურ ხმოვანს თითქმის ყოველთვის თან ახლავს ნახევარხმოვანი, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, მთლიანად წარმოითქმის:

მაგ. Amie [ami:j] და არა [ami] — (მეგობარი გოგონა),

Fume [fyme:j] და არა [fyme] — (კვამლი),

Monnai [mɔne:j] და არა [mɔne] — (მონეტა, ფული).

ეს გრაფემები სიტყვის შუაშიც ქმნიან ნახევარხმოვნებს:

მაგ. Reniement [rəni:jmã :] და არა [rənimã] — (უარყოფა),

როგორც ეს სტანდარტულ ფრანგულშია მიღებული.

სტანდარტული ფრანგულისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ-ვალონურში ხშირად ხმოვანზე დაბოლოებული სიტყვები, რომლებსაც ახლავთ მუნჯი თანხმოვანი, წარმოქმნიან დანამატს, რომელთანაც ქმნიან ფინალურ ნახევარხმოვანს, რომელიც საბოლოოდ ნამდვილი ნახევარხმოვნის სახეს იღებს:

მაგ. Chanter [fã :te:j] — (სიმღერა),

Content [kã :tã :w] — (კმაყოფილი),

Beau [bo:w] — (კარგი).

იგივე შემთხვევას ადგილი აქვს ბრიუსელის მოსახლეობის დაბალი ფენების წარმომადგენლებშიც.

გრაფემა w თითქმის ყოველთვის წარმოითქმის როგორც [w] და არა როგორც [v], რასაც ადგილი აქვს სტანდარტული ფრანგულის მრავალ სიტყვასა და სახელშიც:

- მაგ. Wagon [wagɔ̃ :] — (ვაგონი),
 Welter [wɛltɛ:r] — (ქვესაშუალო წონა სპორტში),
 Watteau [wato:] — (ვატო).

სტანდარტული ფრანგულის ფინალური მუდერი თანხმოვნების უმრავლესობა [b], [d], [g], [v], [z] განიცდის დაერუებას და რეგიონალურ ფრანგულში მათ შეესაბამება ფინალური ვრუ თანხმოვნები [p], [t], [k], [f], [ʃ], რაც ბელგიური ფრანგულის წარმოთქმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა:

- მაგ. [b] _ [p] Arabe [ara:p] — (არაბი),
 [d] _ [t] Certitude [sɛrtity:t] — (რწმენა),
 Moutarde [mutart] — (მლოგვი),
 [g] _ [k] Bilingue [bilɛ̃ :k] — (ორენოვანი),
 [ʒ] _ [ʃ] Belge [bɛʃ] — (ბელგიელი),
 Liège [lye ʃ] — (ლიეჟი),
 Fromage [frɔmaf] — (ყველი),
 Ai-je? [ɛʃ] — (მე მაქვს?)

[v] _ [f] Uni [ynif] — (უნივერსიტეტი), რაც არამარტო წარმოითქმის, არამედ ხშირად ასევე იწერება კიდევც.

- [z] _ [s] Rose [ros] rosse — (ვარდი).

მუდერების დაკარგვა ასევე დამახასიათებელია სიტყვის შუაშიც, მარცვლის ფინალურ პოზიციაშიც იზოლირებულ სიტყვაში:

- მაგ. Curieusement [kyrjɔ̃ :smɑ̃] — (უცნაურად),
 Allègement [alɛ:fmɑ̃] — (განტვირთვა);

ასევე ერთ სიტყვად მიჩნეულ ფონემათა ჯგუფში:

- მაგ. Il tombe sur le côté. [iltɔ̃ :p syr læ kote] — (გვერდზე გადავარდა),
 Il tombe encore une fois [il tɔ̃ :pɑ̃.kɑ̃ r ynfwa] — (კიდევ ერთხელ დაეცა).

[v]-ზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი სიტყვებიც იგივე მდგომარეობაში არიან:

მაგ. Et puis je m'en fiche [e pwi f mɑ̃ .fiʃ] — (მიმიფურთხებია).

ბელგიურ ფრანგულში თანხმოვანთა დაყრუება თითქმის ყოველთვის რეგრესული ხასიათის მატარებელია:

J'ai jeté [ʒe:ʃte] და არა [ʃeʒte] — (გადავაგდე),

ისევე, როგორც ეს ხდება სტანდარტულ ფრანგულში.

ბელგიურ ფრანგულში, ფინალურ თანხმოვანთა ჯგუფში ადგილი აქვს თანხმოვნების ამოვარდნას, რაც გამოწვეულია მახვილის სიტყვის თავში გადაადგილებით, რის შედეგადაც ხდება სიტყვის ფინალური ნაწილის « დაყრუება ». ბელგიურ ფრანგულში თითქმის არასოდეს წარმოითქმის ფინალური -ble, -bre, -cle, -cre, -fle, -fre, -gel, -gre, -ple, -pre, -tre, -vre, რადგანაც, ზემოთაღნიშნული წესის შედეგად, ხდება l-ის და r-ის ამოვარდნა, ხოლო დარჩენილი ფინალური თანხმოვნები ხდებიან ყრუები:

მაგ. Abominable [abɔ̃mina :p] — (საზიზღარი),

Apprendre [apʁɑ̃ :t] — (სწავლა),

Ongle [ɑ̃ :k] — (კუთხე),

Chef d'oeuvre [ʃɛdœ :f] — (შედეგრი),

Quatre [kat] — (ოთხი),

Sucre [syk] — (შაქარი) და ა. შ.

მსგავს მოვლენას ადგილი აქვს ერთი რითმიული გუფის შიგნითაც :

მაგ. Elle va coudre chez sa soeur [el va ku :t fɛ sa sœ :r] — (საკერავად მიდის დასთან),

Le vinaigre est sur la table [lə viniɛ:k ε syr la ta :p] — (ძმარი მაგიდაზეა).

ეს ტენდენცია უკანასკნელ ხანებში აღარაა ფართოდ გავრცელებული. ბრიუსელში, ზოგი ბელგიელის მიერ იგი შეცვლილია ალტერნატიული საშუალებით, სადაც ადგილი აქვს ფინალური თანხმოვნების გადაადგილებას, რის შედეგადაც ვიღებთ შემდეგ სიტყვებს:

მაგ. Possible — possibel (შესაძლებელი),

Formidable — formidâbel (საოცარი).

სიტყვის შუაში [t], [d],[n] თანხმოვნებს + j + სხვა თანხმოვანი (გარდა l), ხდება ამ თანხმოვნის პალატალიზაცია : [t]- [tʃ], [d]- [dʒ] :

მაგ. Tiède [tʃɛ :t] — (ნელთბილი),

Dieu [dyø :] — (ღმერთი).

სიტყვებში, რომლებიც ბოლოვდებიან თანხმოვანზე -t, ფინალური თანხმოვანი ხშირად წარმოითქმის:

მაგ. Huit [wit] — (რვა),

Vingt [vɛ̃t] — (ოცი).

აღმოსავლეთ და სამხრეთ ვალონურში h, რომელიც შეესაბამება სტანდარტული ფრანგულის ფშვინიერ h-ს, ინარჩუნებს ამ სტატუსს, ეს თავისებურება უმეტესად ლიეჟის რეგიონშია გავრცელებული, რაც უდავოდ მისი ტერიტორიული სიახლოვით აიხსნება გერმანიკულ კილოებთან:

მაგ. Hérisson [he.risɔ̃:] — (ზღარბი),

Haie [hej] — (წნული),

Souhaiter [suhe :te] — (მოსურება).

ამავე რეგიონებისთვის დამახასიათებელია კიდევ ერთი ფონეტიკური თავისებურება. სტანდარტული ფრანგული წესისგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც, როცა ხმოვან -i-ს ახლავს გემინირებული წარმოუთქმადი თანხმოვანი -ll-, ბელგიურ ფრანგულში ხდება ამ თანხმოვნების წარმოთქმა:

მაგ. Papillon [papilɔ̃] — (პეპელა),

Bouteille [butɛlj] — (ბოთლი).

ფართოდ გავრცელებულია კიდევ ერთი ფონეტიკური თავისებურება, რომლის მიხედვითაც ხმოვნის წინ პოზიციაში მყოფი -li იცვლება y-თი:

მაგ. Milieu > miyeu [mijø] — (ადგილი),

Million > miyon [mijɔ̃] — (მილიონი),

Milliard > miyard [mijar] — (მილიარდი).

აგრეთვე ti ან di+v, რომელიც წარმოითქმის, როგორც tch ან dj+v.

მაგ. Amitié > amitché [amitfe] (მეგობრობა),

Routier > routché [rutfe] (საგზაო)

Diable > djap [dʒap] (ეშმაკი).

ეს უკანასკნელი სიტყვა ძნელად გასაგებია სტანდარტული ფრანგულით მოლაპარაკე ადამიანისათვის, რადგანაც მასში ერთდროულადაა თავმოყრილი ბელგიური წარმოთქმისათვის დამახასიათებელი სამი წესი. ლაპარაკის დროს მსგავსი წარმოთქმის მქონე სიტყვების ხშირი გამოყენების შემთხვევაში, ბელგიელი ფრანკოფონის მეტყველება რთულად გასაგები იქნება სტანდარტული

ფრანგულით მოლაპარაკე ინდივიდისათვის და ამ უკანასკნელს სმენის მნიშვნელოვანი დაძაბვა მოუწევს ბელგიელი თანამოსაუბრის მეტყველების გასაგებად. მსგავს შემთხვევებს უმეტესად ადგილი აქვს ლიეჟის რეგიონის სოფლის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი უფროსი თაობის წარმომადგენლებში.

ჩვენს მიერ განხილული მაგალითების გარდა, ბელგიურ ფრანგულს სხვა მრავალი ფონეტიკური თავისებურებაც ახასიათებს, მაგრამ ისინი უმეტესად ერთი რომელიმე რეგიონისათვისაა დამახასიათებელი და ამიტომაც ყველას განხილვა შეუძლებლად მიგვაჩნია.

უდავოა, რომ ფონეტიკური თავისებურებანი საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა ამ მრავალრიცხოვანი ფონეტიკური ნაირსახეობების მიუხედავად, ბელგიელი ფრანკოფონის საუბარი მაინც გასაგებია, როგორც პარიზელისთვის, ასევე საფრანგეთის ნებისმიერი რეგიონის მაცხოვრებლისათვის.

2. ბელგიური ფრანგულის გრამატიკული თავისებურებანი.

ბელგიური ფრანგული ენის გრამატიკული სტრუქტურა თითქმის იდენტურია სტანდარტული ფრანგულის გრამატიკული სტრუქტურისა. ამიტომაც ჩვენ დაწვრილებით აღარ განვიხილავთ მას დიაქრონიულ ასპექტში და მხოლოდ იმ თავისებურებებზე ვისაუბრებთ, რომლებიც ბელგიურ ფრანგულს მორფოლოგიური თუ სინტაქსური თვალსაზრისით განასხვავებენ სტანდარტული ფრანგულისაგან.

მკვლევარი მასიონი (146) ბელგიური ფრანგულის მორფოლოგიური თავისებურებების განხილვისას აცხადებს, რომ სტანდარტულ ფრანგულთან შედარებით ვალონური კილოები წარმოდგენილია გარკვეული არქაიზმებით. მაგალითად, ნამყო უწყვეტელის (imparfait) თხრობითი კილოს მხოლობითში, ვალონურმა შეინარჩუნა დაბოლოებები: -eve, -eves, რომლებიც იყო ლათინური ფორმების: -abam, -abas, -abat დერივანტები და VIII საუკუნეში სტანდარტულ ფრანგულში შეიცვალენ შემდეგი დაბოლოებებით: -oe, -oes, oet, ხოლო მოგვიანებით ჩამოყალიბდნენ: -ais, -ais, -ait დაბოლოებებად. (146; 15).

მართალია თანამედროვე ბელგიური ფრანგული, სინტაქსური თვალსაზრისით, არ შეიცავს სტანდარტული ფრანგულისგან ფუნდამენტურად განსხვავებულ ელემენტებს, მაგრამ მას მაინც გააჩნია გარკვეული თავისებურებები, რომელთა უმრავლესობაც გერმანიკული ადსტრატის გავლენის შედეგია. ისინი დღემდე შემორჩა ვალონურ დიალექტს და აგრძელებენ ბელგიურ ფრანგულზე გავლენის

მოხდენას. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ზედსართავის ადგილი იმ არსებითი წინ, რომელსაც იგი განსაზღვრავს.

ამგვარი წყობა, რომელიც წარმოდგენილი იყო ძველფრანგულში და გერმანიკულ ენებში, დღესდღეობით უფრო დამახასიათებელია ვალონური კილოებისათვის და საერთოდ ბელგიური ფრანგულისათვის, ვიდრე — სტანდარტული ფრანგულისთვის:

მაგ. « La liégeoise police » — (ლიეჟის პოლიცია),

რომლის მსგავსი კონსტრუქციებიც ხშირია ბელგიურ ფრანგულში და მიეკუთვნება ვალონურ არქაიზმებს.

ფრ. მასიონის (146) განცხადებით, პრეპოზიციურ მდგომარეობაში მყოფი ზედსართავის გამოყენება ბელგიურ ფრანგულში 86%-ს აღწევს, მაშინ როცა სტანდარტულ ფრანგულში იგი მხოლოდ 33%-ითაა წარმოდგენილი.

ლოგიკურად დაისმის კითხვა: რატომ ანიჭებს ბელგიის რეგიონალური ფრანგული უპირატესობას პოსტპოზიციურად განლაგებულ წყობას — ზედსართავს + არსებითი სახელი (ზა), პრეპოზიციული წყობის — არსებითს + ზედსართავი (აზ) — საზიანოდ?

D'oil-ის სამფლობელოში ოდესღაც ფართოდ გავრცელებული კონსტრუქცია ზედსართავს + არსებითი, თანდათანობით უკან იხევს ჩრდილოეთ საზღვრისაკენ. შაუკუნეების განმავლობაში თვით ვალონურ დიალექტშიც მკვიდრდება კონსტრუქცია — არსებითს + ზედსართავი, თუმცა იგი ყველა რეგიონში არ ხორციელდებოდა. ძველფრანგული ითვალისწინებს თანამედროვე ვალონურის მდგომარეობას, მაგრამ მხოლოდ ფერის აღმნიშვნელი ზედსართავების გამოყენებისას. მაგალითად XVI საუკუნის ფრანგულში გამოიყენებოდა შემდეგი ფორმა:

მაგ. « La Rouge mer » — ნაცვლად კონსტრუქციისა « la mer rouge » (წითელი ზღვა),

რითაც სტანდარტული ფრანგული უახლოვდება ბელგიურ კონსტრუქციას: « Sa propre chemise » — რაც ქართულად ითარგმნება, როგორც: «სუფთა პერანგი», და არა როგორც სტანდარტულ ფრანგულში გამოყენებული იგივე კონსტრუქცია, რომელიც ქართულად შემდაგნაირად უდერს: «მისი საკუთარი პერანგი».

როგორც ისტორიული, ასევე გეოგრაფიული ფაქტები ცხადყოფს, რომ კონსტრუქცია "ზედსართავს + არსებითი" არც ერთ ეპოქაში და არც ერთ ტერიტორიაზე არ ყოფილა დომინანტური, თუმცა ბელგიური ფრანგულისათვის

დამახასიათებელი ეს ე.წ. ნორმიდან გადახრაა ოპოზიციურ წყვილებთან დაკავშირებით და იგი იყენებს ორივე კონსტრუქციას. მაგრამ "ზედსართავს + არსებითი" — კონსტრუქციის გამოყენების დროს მნიშვნელობა შეიძლება ოდნავ სახემეცვლილ ფორმას ატარებდეს, ვიდრე ჩვეულებრივი წყობის დროს.

მაგ. « Un petit éléphant » — სადაც « petit » აღნიშნავს საშუალო ზომის სპილოზე პატარას,

« Une nouvelle voiture » — ახალი მანქანა, რომელმაც შეცვალა ძველი,

« Du sale linge » — გასარეცხი თეთრეული,

« Une blanche chemise » — გარეცხილი, გასუფთავებული პერანგი,

« Un noir ongle » — დამტვრეული ფრჩხილი.

თუმცა ზედსართავის ადგილი არაა ერთადერთი თავისებურება, რომელიც ახასიათებს ზედსართავ სახელს ბელგიურ ფრანგულში, სადაც ასევე გვხვდება ისეთი ზედსართავებიც, რომლებიც არ სცილდება ქვეყნის საზღვრებს:

მაგ. Communautaire — ბელგიური ლინგვისტიკისათვის დამახასიათებელი ერთიანობა,

Gardien — საბავშვო ბაღის მასწავლებელი.

ბელგიელთა უმრავლესობა განსხვავებულად აწარმოებს ზედსართავი სახელის მდებარეობით სქესს:

მაგ. Dur — durte (მაგარი, უხეში),

Guéri — guérite (განკურნებული).

ასევე განსხვავებებს ვხვდებით კუთვნილებითი ზედსართავების გამოყენებისას:

მაგ. J'ai chaud à mes mains — J'ai chaud aux mains (ხელებზე მცხელა).

ხშირად კუთვნილებითი ზედსართავი უერთდება არსებით სახელს ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა:

მაგ. *Mon mononcle* — mon oncle (ბიძაჩემი),

Ma matante — ma tante (დეიდაჩემი, მამიდაჩემი),

Une masoeur — une soeur (და).

(კურსივით გამოვყოფთ სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ ბელგიის ტერიტორიაზე ვრცელდება).

ვალონური და პიკარდიული დიალექტები განსაზღვრული არტიკლის და კუთვნილებითი ნაცვალსახელების განსხვავებულ ფორმას აწარმოებენ:

განსაზღვრული არტიკლის ფორმები:

<u>პიკარდიული</u>	<u>ვალონური</u>	<u>სტანდ. ფრანგული</u>
li	el	le
lu	al	la

კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმები:

<u>პიკარდიული</u>	<u>ვალონური</u>	<u>სტანდ. ფრანგული</u>
mi	èm	mon
mè	ma	ma

ასევე ბელგიურ ფრანგულში გვხვდება რიგი ზედსართავი სახელები, რომლებიც უცხოა მეტროპოლისათვის:

- მაგ. **Belgeois(e)** — belge (ბელგიელი),
Épastrouillant — étonnant (გამაოგნებელი, საკვირველი),
Épastrouillé, paf — étonné (გაოცებული),
Exemplatif — exemplaire (სამაგალითო, სანიმუშო),
Tof — beau, excellent (კარგი, ჩინებული).

ბელგიური ფრანგული განსხვავებულად აწარმოებს რიგი არსებითი სახელების მდებრობით ფორმასაც. კერძოდ –eir-ზე დაბოლოებული რამდენიმე მამრობითი სქესის სიტყვა, რომლებიც უმეტესად ფლამანდიური დიალექტის გავლენით დამკვიდრდნენ, მდებრობითი სქესის საწარმოებლად იყენებს -esse სუფიქსს:

- მაგ. **Babeleir – babelesse** (ენატანია, მახეზღარა),
Broebeleir – brouelesse (ენაბლუ),
Soukeleir – soukelesse (წარუმატებელი, უიღბლო),
Froucheleir – frouchelesse (გაიძვერა, გაქნილი).

ასევე ვხვდებით ისეთ არსებით სახელებსაც, რომლებიც გამოხატავენ ბელგიურ რეალიებს:

- მაგ. **Zwanze (f)** — (ტიპიური ბელგიური ხუმრობა),
Zwanzeur (m) — (ადამიანი რომელიც ხშირად ხუმრობს).

რაც შეეხება არტიკლს, აქაც ვხვდებით სტანდარტულ ფრანგულში აღიარებული ნორმებისგან გადახრას. ბელგიურ ფრანგულში ხშირია შემთხვევები, როცა განსაზღვრული არტიკლი არ გამოიყენება. საკმარისია აღნიშნული ფაქტის

ნიმუშად მოვიყვანოთ მაგალითები, რომლებიც დაკავშირებულია სიტყვა “წირვასთან” — messe, რომელთანაც ვალონელები თითქმის არასოდეს გამოიყენებენ არტიკლს:

მაგ. Aller à messe — aller à la messe (წირვაზე წასვლა),

Faire messe — faire la messe (წირვის ჩატარება),

Revenir de messe — revenir de la messe (წირვიდან დაბრუნება),

Chanter à messe — chanter à la messe (წირვაზე გალობა).

ხშირია შემთხვევები, როცა არტიკლი იკარგება დროსთან დაკავშირებულ გამონათქვამებში:

მაგ. Il est sept heures moins quart — Il est sept heures moins le quart (შვიდს აკლია თხუთმეტი).

სტანდარტული ფრანგულისგან განსხვავებულ ფორმებს ვხვდებით ნაცვალსახელებშიც. განსაკუთრებით თვალშისაცემია მსოფლიოთი და მრავლობითი რიცხვის II პირის ფორმების საყოველთაო არევა. ხშირია შემთხვევები, როცა ბელგიელი ერთი და იგივე ფრაზაში იყენებს ორივე ფორმას:

მაგ. Est-ce que vous trouvez ça à ton goût ? ან Est-ce que tu trouves ça à votre goût ? (ნუთუ ეს მოგწონს?).

ასევე ვხვდებით სხვადასხვა პირის ნაცვალსახელებს, რომლებიც გამოიყენება უპირო ნაცვალსახელის «on» მნიშვნელობით:

მაგ. Il sonne — On sonne (რეკავენ).

უკუქცევითი ნაცვალსახელი ხშირად იკარგება:

მაგ. Allons promener — Allons nous promener (წავიდეთ სასეირნოთ).

ბელგიურ ფრანგულში არის შემთხვევები, როცა ჩვენებითი ნაცვალსახელები გამოიყენება მიმართებითი ნაცვალსახელების ნაცვლად:

მაგ. Celui-là qui parle sera foutu dehors ! — Celui qui parle sera éjecté! (ვინც ლაპარაკობს, გაძევებული იქნება!)

ასევე ხშირია ჩვენებითი ნაცვალსახელი ça-ს გამოყენების შემთხვევები, რომელიც ბელგიურ ფრანგულში გამოიყენება ce-ს მნიშვნელობით არამარტო საგნების, არამედ სულიერი სახელების შესაცვლელადაც:

მაგ. Comment ça va avec lui ? — Comment va-t-il ? (როგორ არის?),

Ça ne veut pas dire charrette. — Cela ne prouve rien. (ეს არაფერს ნიშნავს),

Ça je sais — Je sais ça. (მე ეს ვიცი),

Tûr ça est un crac ! — Arthur est un type formidable ! (არტური საოცარი ბიჭია!).

ბელგიური ფრანგულის მორფოლოგიურ თავისებურებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სტანდარტული ფრანგულის ზოგიერთი არანაცვალსახელოვანი ზმნა, ბელგიურ ფრანგულში ხდება უკუქცევითი:

მაგ. S'accoucher — accoucher (მშობიარობა),

Se divorcer — divorcer (გაყრა)

თუმცა ადგილი აქვს საწინააღმდეგო მაგალითსაც:

მაგ. Coucher — se coucher (დაწოლა).

ხშირ შემთხვევებში ბელგიურ ფრანგულში ამა თუ იმ მოქმედების გამოსახატავად არ გამოიყენება სტანდარტულ ფრანგულში ნორმალად აღიარებული დრო. ასე მაგალითად, უახლოესი წარსულის (passé récent) გამოსახატავად ბელგიელები იყენებენ ზედსართავს juste და ზმნიზედას justement, რომლებიც ჩვენს მიერ წინა თავში განხილული წესის თანახმად ბრიუსელის მცხოვრებლების მიერ წარმოითქმება: juchte და juchtement.

მაგ. Il est juste (justement) parti faire des commissions. — Il vient de faire des courses. (ის ახლახან წავიდა საყიდლებზე.)

ბელგიელები უახლოესი მომავლის (futur proche) საწარმოებლად aller-ს ნაცვლად ხშირად ზმნა vouloir-ს იყენებენ, რის შედეგადაც ფრაზა:

მაგ. Je veux vous dire შეიძლება გავიგოთ ორნაირად: Je vais vous dire (ახლავე გეტყვით) და Je veux vous dire (მინდა გითხრათ).

კავშირებითი კილოს ადგილას ბელგიელები უპირატესობას ანიჭებენ ზმნის საწყის ფორმას და ვალონიაში ხშირად შეხვედებით ისეთ კონსტრუქციებს, როგორიცაა:

მაგ. J'ai acheté ce poisson pour moi manger. — J'ai acheté pour que je le mange. (ეს თევზი იმისთვის ვიყიდე, რომ შევჭამო).

ასევე ხშირია შემთხვევები, როცა კავშირებითი კილოს ნაცვლად ვხვდებით თხრობით კილოს.

მაგ. Je vais le dire pour qu'il le sait. — Je vais le dire pour qu'il le sache. (ვეტყვი, რათა იცოდეს.)

ხშირად დაქვემდებარებული წინადადებისათვის ინფინიტივის ნაცვლად ბელგიელები გამოიყენებენ que-ს:

მაგ. Je suis content que j'aie pu t'aider. — Je suis content d'avoir t'aider.
(კმაყოფილი ვარ, რომ დაგეხმარე).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე ეხება ფლამანდიური დიალექტის გავლენას.

ბელგიურ ფრანგულში ხშირად უცვლიან ადგილებს დამხმარე ზმნების ფუნქციით გამოყენებულ avoir-ს და être-ს:

მაგ. Quand les enfants seront grands... — Quand les enfants auront grandi
(როცა ბავშვები გაიზრდებიან...).

ცხადია ამ ზმნების ერთმანეთის მაგივრად გამოყენება გავლენას ახდენს მნიშვნელობის მქონე ზმნის ნამყოფ მიმღებობაზე, რაც თვალნათლივ ჩანს ზემოთ მოყვანილ მაგალითშიც.

II მსოფლიო ომის შემდეგ ბელგიელმა მეკლევარმა პოლმა (Polh) მოთამაშე ბავშვების მეტყველებაში აღმოაჩინა ე.წ. თამაშის უნარის მქონე ნამყო უწყვეტელი (imparfait préludique), რომელსაც ბავშვები თამაშისას მიმართავდნენ და იყენებდნენ ერთმანეთში როლების გადანაწილებისას:

მაგ. Toi, tu étais le gendarme et moi le voleur... (შენ პოლიციელი იყავი, მე კი ქურდი). (158; 97).

მსგავსი კონსტრუქციები დამახასიათებელი იყო იტალიურ ენაშიც ანალოგიურ სიტუაციაში:

მაგ. io ero il re e tu la principessa ... (მე მეფე ვიქნები, შენ კი პრინცესა).

სტანდარტული ფრანგული ანალოგიური კონსტრუქციის საწარმოებლად იყენებს პირობით კილოს.

ზემოთ აღნიშნულ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, საქმე არ გვაქვს ვალონიზმთან ან იტალიანიზმთან, უბრალოდ ესაა ინოვაციური ფორმები. L'imparfait préludique არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ბელგიელი ახალი თაობისათვის. იგი თანდათან მკვიდრდება საფრანგეთშიც. დღესდღეობით მისი არსებობა უკვე დადასტურებულია ლილში და ლიონში. თუმცა ის ფაქტი, რომ კონსერვატორად წოდებულ ბელგიურ ფრანგულში ეს მოვლენა უფრო ადრე აღინიშნა, ვიდრე იგი სტანდარტულ ფრანგულში დამკვიდრებოდა, უთუოდ აღნიშვნის ღირსია.

სტანდარტული ფრანგულის მსგავსად, ბელგიის რეგიონალურ ფრანგულშიც ხშირია შემთხვევები, როცა ზედსათავი სახელი გამოიყენება ზმნიზედის მნიშვნელობით. ამ ფაქტის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს, რომ ეს ტენდენცია ფლანდრიაშიც არსებობდა და მისი გავლენით გაგრძელდა რომანულ ბელგიაშიც.

მაგ. J'y vais direct. — J'y vais tout de suite. (ახლავე წავალ იქ.)

ასევე გამოიყენება Normal — Normalement-ს ნაცვლად (ნორმალურად),

Sûr — Sûrement (უეჭველად) და ა.შ.

ზოგიერთი ზედსართავის გამოყენება ზმნიზედის მნიშვნელობით, ტიპიურ ბელგიურ ხასიათს ატარებს: bon, difficile, dur, facile, drôle (სასაცილოდ).

მაგ. Il avait difficile. — Il éprouvait des difficultés. (გასაჭირი გამოიარა).

ბელგიური ფრანგულისათვის დამახასიათებელია ზმნიზედის გადაადგილება; მაგალითად, ზმნიზედა assez შეიძლება შეგვხვდეს არსებითი სახელის, ზედსართავის ან ზმნიზედის შემდეგ:

მაგ. Il a de l'argent assez. — Il a assez de l'argent. (მას საკმარისი ფული აქვს.),

Il est malin assez. — Il est assez malin. (ის ძალიან ცელქია),

Il court vite assez. — Il court assez vite. (ძალიან ჩქარა დარბის),

რაც სავარაუდოდ ნეერლანდურის გავლენით ხდება.

ზმნიზედა ასევე შეიძლება შეგვხვდეს დამხმარე ზმნასა და მის ნამყო მომღებობას შორის:

მაგ. J'ai aussi eu cette maladie. — J'ai eu cette maladie moi aussi. (ეს ავადმყოფობა მეც მჭირდა).

ხშირია შემთხვევა, როცა რომელიმე ზმნიზედა ბელგიურ ფრანგულში სხვა ზმნიზედის მნიშვნელობას იძენს:

მაგ. Beaucoup — Souvent (ხშირად),

Encore — Déjà (უკვე),

Seulement — Donc (მაშასადამე).

გვხვდება ისეთი ზმნიზედებიც, რომლებიც ბელგიციზმებად იწოდება და არ გრძელდება საფრანგეთის ტერიტორიაზე:

მაგ. Anticipativement — D'avance (წინასწარ).

განსხვავებებს ვხვდებით დამხმარე სიტყვების მნიშვნელობებშიც:

მაგ. En une fois — Soudain (მოულოდნელად).

განსაკუთრებით თვალშისაცემია განსხვავებები ბელგიური ფრანგულისა და სტანდარტული ფრანგულის წინდებულების გამოყენების საკითხში. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი წინდებული გამოიყენება მეორეს მნიშვნელობით:

მაგ. à — chez-ს მნიშვნელობით: Aller aux médecin — Aller chez le médecin (ექიმთან წასვლა),

à — dans: Il portait son fils à bras. — Il portait son fils dans le bras. (ბავშვი ხელში ჰყავდა),

à — de: Compote aux pommes. — Compote aux pommes. (ვაშლის კომპოტი),

à — en: Mettre à place. — Mettre en place. (თავის ადგილზე დასმა),

თუმცა ადგილი აქვს საწინააღმდეგო შემთხვევებსაც, როცა à-ნაცვლად გამოიყენება სხვა წინდებულები:

მაგ. après — Essuyer ses mains après l'essuie. — Essuyer ses mains à l'essuie. (ხელის გამშრალება პირსახოცზე),

avec — Vous aurez affaire avec moi! — Vous aurez affaire avec moi! (საქმე ჩემთან გექნებათ!),

dans — Ils se promener dans le soleil. — Ils se promener au soleil. (ისინი მზეში სეირნობენ),

de — Venir de pied. — Venir au pied. (ფეხით დაბრუნება),

en — Aller en bicyclette. — Aller au bicyclette. (ველოსიპედით წასვლა).

წინდებული en შეიძლება გამოყენებული იქნეს dans-ს მნიშვნელობითაც:

მაგ. En rue — Dans la rue. (ქუჩაში).

Dans-ს მნიშვნელობით შეიძლება გამოყენებული იქნეს წინდებული sur:

მაგ. Lire sur un journal. — Lire sur un journal. (გაზეთში წაკითხვა).

ბელგიაში წინდებულები გამოიყენება ისეთ შემთხვევებშიც, რომლებიც უცხოა სტანდარტული ფრანგულისთვის:

მაგ. Ils sont toujours à quatre. — Ils sont toujours à quatre. (ისინი მუდამ ოთხნი არიან),

Il travaille de trop. — Il travaille trop. (ის ბევრს მუშაობს),

Il aime de lire. — Il aime de lire. (მას უყვარს კითხვა),

Je cherche après ma montre. — Je cherche ma montre. (მე ჩემს საათს ვაძებ)...

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია ბელგიურ ფრანგულში და იგი ნიდერლენდური ენის გავლენის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ.

სტანდარტული ფრანგულით მოლაპარაკე ადამიანს ერთბაშად ხვდება თვალში ბელგიური ფრანგულის შემდეგი მორფოლოგიური შეუსაბამობებიც:

- ზმნური პერიფრაზები:

Avoir bon — « Se sentir bien » (თავის კარგად გრძნობა),

Avoir facile — « Faire une chose facilement » (რაიმე საქმის ადვილად გაკეთება),

Avoir difficile / dur — « Eprouver de la peine de faire qch » (დიდი ძალისხმევის დახარჯვა რაიმეს გასაკეთებლედ),

Ça ne peut mal — « Aucun risque » (ყოველგვარი რისკის გარეშე),

Il n'en peut rien — « Ce n'est pas sa faute » (მისი ბრალი არაა).

- გარდამავალი ზმნების გამოყენება აბსოლუტური მნიშვნელობით (პირდაპირი დამატების გარეშე):

Purger — « Prendre une purge » (კუჭის გასაწმენდი საშუალების მიღება),

Mettre auprès / tout près — « Ajouter » (დამატება),

Voire ça goûte — « Ça a bon goût » (კარგი გემოს ქონა).

წინდებულიანი დამატება პირდაპირის ნაცვლად:

Chercher après x — « Chercher x » (ვიდაცის ძებნა),

Ça ne lui regarde pas — « Ça ne le regarde pas » (ეს მას არ ეხება),

ან პირიქით, პირდაპირი დამატება ირიბის ნაცვლად:

Je l'ai besoin — « J'en ai besoin » (მე ის მჭირდება).

- ნაცვალსახელები:

Vous me dirai quoi ? — « Ce qu'il en est ?; de quoi il retourne ? » (რას შეეხება საქმე ?),

Tout qui — « Quiconque » (ნებისმიერი),

Leur deux — « Eux deux » (ის ორნი).

- წინდებულები და კავშირები:

Se faire sur — « Contre » (წინააღმდეგ),

D'abord que — « Dès que; pourvu que » (მანამ, სანამ).

- ზმნიხედები:

moi bien — « Moi oui, moi si » (მე კი),

Avoir x (francs) trop peu — « Manquer de x (francs) » (X (ფრანკის) დაკლება),

Aussi vite — « Aussitôt » (მაშინვე).

- ინვერსია:

Avoir de l'argent assez — « Assez d'argent » (საკმარისი ფულის ქონა).

- იდომატური გამოთქმები:

Avoir x de bon — « Garder le droit à x » (ვიღაცის უფლების დაცვა),

Il n'y a pas d'avance — « Ça ne sert à rien » (ეს არაფერს ნიშნავს),

Il se fait que — « Il se trouve que » (მიაჩნია),

Tenir le fou avec — « Se moquer de » (ვინმეს დაცინვა, გასულელეობა).

3. ბელგიური ფრანგულის ლექსიკური თავისებურებანი.

ბელგიური ფრანგულის სპეციფიურობის შექმნისდაგვარად უკეთ განსაზღვრისათვის ლინგვისტებმა შემოგვთავაზეს მოვლენათა თანმიმდევრობა 2 კუთხით: ისტორიული და დესკრიფციული.

ისტორიული ანუ გენეტიკური თვალსაზრისით არსებობს ლექსიკისა და სემანტიკის ენდოგენური (ფრანგული სისტემის შინაგანი განვითარება) და ალოგენური (დიალექტებთან და უცხო ენებთან კავშირი) განვითარება.

რაც შეეხება დესკრიფციულ ასპექტს, იმ ლექსიკურ მასალათა ჩვენების შედეგად, რომელიც წარმოდგენილია სიცოცხლისა და საქმიანობის იმ ფართო სფეროებით, სადაც ისინია გამოხატული, ის ცდილობს სხვადასხვა სპეციფიური ფორმების ანალიზს: გეოგრაფიული, სტატისტიკური, სოციოკულტურული...

ოსმანი (F.J. Hausmann) მიიჩნევს, რომ ბელგიური ფრანგული წარმოადგენს ფრანგული ენის ერთ-ერთ ეროვნულ სახესხვაობას, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს რეგიონალურ ვარიანტებსა და დიალექტებს. « Le français de Belgique constitue donc une variante nationale du français qui a elle-même ses variantes régionales : le français parlé à Bruxelles n'est pas le même que celui parlé à Liège, Mons ou Charleroi; et dialectes : picard, wallon, liégeois, gommiais etc.» (146; 59).

ბელგიური ფრანგულის სტანდარტულ ფრანგულთან დამოკიდებულების შესახებ მეცნიერთა აზრი ორად გაიყო:

პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ის მეცნიერები, რომელთა კვლევები ნორმატიულია. მათი მიზანია შეარჩიონ ე.წ. «საიმედო ბელგიციზმები» (Belgicisms

de bon aloi), ბელგიციზმები, რომლებიც ღირსია დამკვიდრდნენ სტანდარტულ ფრანგულში. მსგავსი ბელგიციზმის სავარაუდოდ ყველაზე ხშირად დასახელებულ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სიტყვა «aubette» ნეოლოგიზმი «abritus»_ ის სავარაუდო შემცველი (გადახურული მოსაცდელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განერებაზე). ეს ჯგუფი აერთიანებს ისეთ ბელგიელ ცნობილ ლინგვისტებს, როგორებიცაა ჟოზეფ ჰანსი (Joseph Hanse) (107) და ალბერ დოპანი (Albert Doppagne). (105, 106).

მეორე ჯგუფი წარმოდგენილია ბელგიელი ლინგვისტებითა და ლექსიკოლოგებით, რომლებიც ყველა საშუალებით ეწინააღმდეგებიან ბელგიური ფრანგულის ნორმალიზაციას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბელგიურ ფრანგულს მიიჩნევენ საფრანგეთის ფრანგულზე დაქვემდებარებულად. მათი მუშაობის ღერძს წარმოადგენს განსაზღვრონ ბელგიური ფრანგულის სპეციფიკა, რათა ამით ბელგიური წილი შეიტანონ საერთო ენაში. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელია ლინგვისტი ჟაკ პოლი (Jacques Pohl), რომელმაც ერთ-ერთ თავის სტატიაში პარიზული ფრანგული ენა შეადარა დიდი რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხოლო ამ დიდ რესპუბლიკაში ფრანკოფონია იგულისხმება « le français de Paris à une sorte de président d'une grande république, cette grande république fédérale qu'est la francophonie ». (160; 68.)

ბელგიური ფრანგულის ლექსიკური თავისებურებები გამოიხატება ბელგიციზმის საშუალებით, რომლის სახესხვაობა სტანდარტულ ფრანგულთან მიმართებაში ძირითადად მდგომარეობს სიტყვის თუ გამოთქმის ბელგიურ ფრანგულში დამკვიდრებულ მნიშვნელობაში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბელგიაში გავრცელებული ფორმებია, შეიძლება შეგვხვდეს რომანული ბელგიის მახლობელ სხვა რეგიონებშიც.

მკვლევარი ფრ. მასიონი ტერმინს « ბელგიციზმი » შემდეგნაირად განმარტავს: ბელგიციზმი აერთიანებს ფრანგული ენის იმ დამახასიათებელ თავისებურებებს (ფონეტიკურს, ფონოლოგიურს, სინტაქსურს, მორფოლოგიურს თუ ლექსიკურს), რომლებიც საერთოა ბელგიის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ ინდივიდთა ჯგუფისათვის, რომელთათვისაც ფრანგული არის მშობლიური ენა. თუმცა ეს უკანასკნელი გარკვეულწილად განსხვავდება “საფრანგეთის ფრანგულისაგან” (français de France — FF). « Belgicisme... (sur le plan phonétique, phonologique, syntaxique, morphologique ou lexical) commun à un groupe d'individus de la langue maternelle française vivant sur le territoire belge et qui diffère du français de France» (146;

56). ამგვარი განმარტება გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ესაა ტერმინი “ბელგიციზმის” განსაზღვრება და არა “ბელგიური ფრანგულისა” (français de Belgique — FB). ეს ორი ტერმინი ერთმანეთის გვერდით გამოიყენება, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავდება.

ბელგიციზმებთან და მის გავრცელებასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს:

პირველი მოსაზრება, რომელიც ძალიან ნორმატიული და შეზღუდულია, არც ერთი ლინგვისტის მიერ არაა გაზიარებული. იგი ცდილობს ბელგიციზმებად აღიაროს მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც ვრცელდებიან და ცნობილი არიან მარტო ბელგიის ტერიტორიაზე და გამოიყენება მხოლოდ ბელგიელების მიერ. მსგავსი დამოკიდებულების შედეგად ხდება საყოველთაოდ აღიარებული ბელგიციზმების დიდი ნაწილის შემცირება და « ნამდვილი » ბელგიციზმების უმნიშვნელო რიცხვამდე დაყვანა; თუმცა ამ მოსაზრების განხილვა გარკვეულწილად მაინც გამართლებულად მიგვაჩნია, რადგანაც იგი ეფუძნება ბელგიციზმების აღრიცხვის შესაძლებელ მინიმუმს და, მიუხედავად ყველაფრისა, გარკვეულ როლს ასრულებს ბელგიციზმების ანალიზის განმარტებაში.

მეორე მოსაზრება უფრო ფართოა, მაგრამ მთლიანად არ მოიცავს ბელგიური ფრანგულის სალაპარაკო ენას. იგი ყურადღებას ამახვილებს ბელგიური ფრანგულის შეზღუდულ ნაწილზე და ამ უკანასკნელს განიხილავს საფრანგეთის ფრანგულთან დაქვემდებარებულ დამოკიდებულებაში. მათ შორის, ვინც ბელგიციზმის მსგავს განმარტებას მართებულად მიიჩნევს, შეიძლება დავასახელოთ ანდრე გოოსი (A. Goosse) (93) და მორის პირონი (M. Piron) (152). პირონი ბელგიციზმების რიცხვიდან გამორიცხავს გეოლინგვისტური თვალსაზრისის ყველა რეგიონალიზმს და დიალექტიზმს. თუმცა იგი მზადაა რამდენიმე რეგიონალიზმის ფორმა აღიაროს ბელგიციზმად, რომლებიც ერთდროულად გამოიყენება სხვადასხვა პროვინციაში. იგი უარყოფს « არაფრანგულ » სიტყვებს, რომლებიც მარტო ბელგიური ფრანგულისათვის არაა დამახასიათებელი, მაგალითად, სიტყვები "septante" (სამოცდაათი), "octante" (ოთხმოცი) და "nonant" (ოთხმოცდაათი), ბელგიის გარდა გამოიყენება რომანულ შეეცარიაშიც. მ. პირონი ასევე უარყოფს ხალხური ფენისათვის დამახასიათებელ ლექსიკას, რის შედეგადაც უარს ამბობს ბელგიციზმების მდიდარ წყაროზე. მსგავსი მიდგომა ძალიან შეზღუდულია და გვერდს უვლის ბელგიციზმების მნიშვნელოვან რიცხვს.




მესამე მოსაზრება ბელგიციზმის გლობალური განმარტებაა, რომელიც ცდილობს აღწეროს ბელგიური ფრანგულის მთელი თავისებურებები. მისი არსი მდგომარეობს ბელგიური ფრანგული ენის დესკრიფციულ შესწავლაში.

ბელგიციზმის კონცეფციას ყოველთვის ჰქონდა გარკვეული პრობლემები მისი გაგრძელების ზონასთან დაკავშირებით. ბელგიციზმების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს გააჩნია საჭირო სპეციფიური ხარისხი, რისი მეშვეობითაც ისინი გაგრძელებას პოულობენ პოლიტიკური საზღვრების მიღმა, რომელიც არ ემთხვევა ლინგვისტურ საზღვრებს.


ბელგიური ფრანგულის ლექსიკა შეიძლება განვიხილოთ 2 მიმართულებით: მისი გეოლინგვისტური და სემანტიკური ნიშან-თვისებებით. გეოლინგვისტური თვალსაზრისით, გამოიყოფა სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გაგრძელებულია მთელს ბელგიაში (connu dans toute la Belgique), ბელგიის რომელიღაც ნაწილში (connu dans une partie de la Belgique), და რომლებიც უცნობია ბელგიისათვის (inconnu en Belgique).

სემანტიკური თვალსაზრისით, გამოიყოფა აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართება. კერძოდ ის, აღსანიშნს ერთადერთი აღმნიშვნელი აქვს თუ ეს უკანასკნელი მეტოქეობას უწევს ერთ ან რამდენიმე სხვა აღმნიშვნელს, რომელიც გამოიყენება მისი სინონიმის მნიშვნელობით? ამ კრიტერიუმებით კლასიფიცირებული ბელგიური ფრანგული შევადარეთ ამავე კუთხით კლასიფიცირებულ საფრანგეთის ფრანგული ენის ლექსიკას და მათი განხილვის შედეგად თვალნათლივ დავინახეთ, რომ აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართების რამდენიმე შემთხვევა შეიძლება არსებობდეს. ჩვენ ვეცდებით განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

1. როცა სიტყვა ცნობილია ბელგიისა და საფრანგეთის მთელს ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფა:
 - ა) ბელგიური ფრანგულის ენობრივი ნიშნები, რომლებსაც საერთო აღმნიშვნელი აქვთ საფრანგეთის ფრანგულის ენობრივ ნიშანთან, მაგრამ – განსხვავებული აღსანიშნი, ანუ ერთი და იგივე სიტყვა, რომელიც სხვადასხვა რამეს აღნიშნავს სტანდარტულ და ბელგიურ ფრანგულში. ასეთი მაგალითები მრავალია:



ბ) მეორე ქვეჯგუფში გაერთიანებულია ის სიტყვები, რომლებსაც საფრანგეთის და ბელგიის ფრანგულში გააჩნიათ საერთო აღმნიშვნელი და აღსანიშნი. თუმცა აქ საქმე ეხება მეტ-ნაკლებად საკამათო სიტუაციას, მაგრამ მისი განხილვა მაინც მართებულად მიგვაჩნია ბელგიციზმების განმარტებისათვის. ასეთ შემთხვევაში ეს სიტყვა წარმოადგენს საფრანგეთისა და ბელგიური ფრანგულის « საერთო ფონდის » ნაწილს. თუმცა მაინც შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაშიც გამოჩნდეს გარკვეული განსხვავებები, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს სიტყვის პოლისემიურობით ორ ენაში. ასეთ შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:



2. მეორე შემთხვევა, რომელიც ჩვენს ინტერესს იწვევს, არის შემთხვევა, როცა ბელგიის მთელს ტერიტორიაზე გავრცელებული სიტყვა ნაცნობია რეგიონალურ ფრანგულშიც. უმეტეს შემთხვევაში აქ საქმე გვაქვს საფრანგეთის ჩრდილოეთით გავრცელებულ სიტყვებთან, რაც გამოწვეულია ამ ნაწილის ისტორიული კავშირით ბელგიურ პროვინციებთან.

მაგ. “*drève*” (ხეივნიანი საავტომობილო გზა);

3. როცა სიტყვა გავრცელებულია მთელს ბელგიაში და უცნობია მთელს საფრანგეთში. ასეთი მაგალითები მრავალია და ის შეადგენს ყველაზე

დიდ ნაწილს იმისა, რაც შეიძლება მიხნეულ იქნეს “კლასიკურ” ბელგიციზმად.

(FB) carabistouilles — (FF) mensonge (ტყუილი);


(FB) cramique — (FF) brioche ou pain au lait, sucré, aux raisins secs (პური ან ფუნთუშა ქიშიშით);

(FB) bourgmestre — (ბურგომისტრი — ქალაქის თვითმმართველობის უფროსი).

ზემოთგანხილული მაგალითები დამახასიათებელია ბელგიისათვის ან შეიძლება ნაცნობი იყოს სხვა ფრანკოფონი მოსახლეობით დასახლებულ ქვეყანაში, ისე როგორც ეს არის "ბურგომისტრის" შემთხვევაში.

ჩვენს მიერ განხილული მაგალითები, გეოლინგვისტური თვალსაზრისით, პირველ ვარიანტს განეკუთვნება, როცა ესა თუ ის სიტყვა ბელგიის მთელს ტერიტორიაზეა გავრცელებული.

ამავე თვალსაზრისით, მეორე ვარიანტს განეკუთვნება სიტყვები, რომლებიც გავრცელებას პოულობენ სხვადასხვა რეგიონებში, მაგ.:



ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ეს სიტყვა გამოიყენება ლიევის პროვინციაში, ხოლო დანარჩენი ბელგიის ფრანგულში მისი აღმნიშვნელის თანხვედრა ლიმიტირებულია. საფრანგეთში სიტყვა “miche” აღნიშნავს გარკვეული წონის მრგვალ ან ოვალურ პურს. სრულიად განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე სიტყვა (FB) “ru”-ს (ნაკადული) გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს სიტყვა საფრანგეთშიც და ვალონიაშიც აღნიშნავს “un petit ruisseau” (ცვარი, ნაკადული), მაგრამ ეს სიტყვა უფრო ხშირად ვალონიაში გამოიყენება, მაშინ როცა საფრანგეთის ფრანგულში და დანარჩენ ბელგიაში იგი არქაიზმადაა მიხნეული. სიტყვა (FB) “poiret” (მსხლის ნაყენი) აღნიშნავს (FF) “du sirop du pomme et de poires” (მსხლისა და ვაშლის სიროფს) და საერთო გავრცელებას პოულობს ვალონიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში. ამასთანავე იგი ვალონიაში მეტოქეობას უწევს სიტყვას “sirop” (სიროფი).


და ბოლოს, ისეთი რეგიონალიზმებიც არსებობს, რომლებიც სრულიად უცნობია საფრანგეთში. ისინი შეიძლება ატარებდნენ დიალექტის კვალს ან

დაკარგული ჰქონდეთ ეს კვალი და მთლიანად გაერთიანებულნი იყვნენ რეგიონალურ ფრანგულში:

მაგ. “*vitoulet*” (მოხარშული ხორცის გუფთა)

ან “*rawette*” (პატარა დანამატი რამეზე).

დასასრულს აუცილებლად უნდა შევეხოთ საფრანგეთის და ბელგიური ფრანგულის განმასხვავებელ მესამე ვარიანტსაც, როცა საქმე ეხება სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლების ვრცელდებიან საფრანგეთში, მეგრამ უცნობია ბელგიური ფრანგულისათვის. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა ბელგიციზმებს, არამედ სიტყვებს, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ « ფრანციზმები » (*francismes*). სემანტიკური თვალსაზრისით აქ საქმე გვაქვს ისეთ სიტყვებთან, რომლებსაც გააჩნიათ საერთო აღსანიშნი, მაგრამ განსხვავებული აღმნიშვნელი, მაგ.:



ეს ტერმინი რომანულ ბელგიაში ფლამანდიურის გავლენით დამკვიდრდა.

რიგ შემთხვევებში საუბარია ბელგიციზმების ფრანგულ შესიტყვებებზე, ხოლო სხვა შემთხვევაში ტერმინებზე, რომლებიც ისეთ ცნებებს აღნიშნავენ, რაც უცნობია ბელგიური რეალობისათვის, განსხვავებული კულტურის, გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული განვითარების და პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული სისტემის გამო.

გავრცელების თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ ბელგიციზმების სამი სახეობა:

1. სადაც გაერთიანებულია ბელგიციზმები, რომელთა გავრცელების საზღვრები ემთხვევა სახელმწიფო საზღვრებს და ქვეყნის ფრანკოფონი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ გამოიყენება. ამ ტიპს ჟ. პოლი (J. Pohl) (160) სტატალიზმების (*statalismes*) სახელით მოიხსენიებს. ამ შემთხვევაში უმეტესად საქმე ეხება ფართო მნიშვნელობით გამოყენებულ ლექსიკურ ერთეულებს:

მაგ. FB — “*Livret (ou carnet) de mariage*”, FF — “*Livret de famille*”

(ქორწინების მოწმობა);

FB — «Faire son terme», FF — «Faire son service militaire»
(სამხედრო სამსახურის მოხდა);

FB — «athénée», FF — «école d'enseignement secondaire, à l'origine réservé au garçons» (საშუალო სკოლა, რომელიც თავდაპირველად განკუთვნილი იყო მხოლოდ ბიჭებისათვის);

FB — «école gardienne», FF — école maternelle (საბავშვო ბაღი)
აღსანიშნავია, რომ ბელგიციზმების გამოყენება არ ატარებს სავალდებულო ხასიათს ბელგიაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესაა ორიგინალური მემკვიდრეობის შენარჩუნება, რომელიც განისაზღვრება ფამილიარულ სტილთან კავშირით.

ამავე ჯგუფშია გაერთიანებული ტერმინები ყოველდღიური ცხოვრებიდან:

მაგ. FB — “Linge”, FF — “raie dans les cheveux” (თმის გაყოფა);

FB — “*Méconduite*”, FF — “mauvaise conduite” (ცუდი საქციელი);

FB — “Margaille”, FF — “dispute, désordre” (ჩხუბი, გარყვნილება);

და მყარი შესიტყვებების გარკვეული რიცხვი:

მაგ. FB — “Il n'y a pas d'avance”, FF — “Cela ne sert à rien” (ამას აზრი არა აქვს);

FB — “Ne pouvoir mal de faire quelque chose”, FF — “Ne pas y avoir de risque” (ყოველგვარი საფრთხის გარეშე);

FB — “Battre le beurre”, FF — «s'embrouiller, faire de vains effort»
(ღია კარის შემტვრევა);

FB — «Faire des affaires», FF — «faire des histoires, compliquer des choses» (სიტუაციის გამწვავება).

2. ამ ჯგუფში გაერთიანებულია სიტყვები, რომლებიც არათუ არ სცილდებიან ბელგიის საზღვრებს, არამედ გამოიყენებიან მხოლოდ მის ცალკეულ რეგიონებში. ასეთი ელემენტები ყველაზე ხშირად გამოიყენება ლიეჟის რეგიონში:

მაგ. FB — «Boulet», FF — «boulette, petite boule de viande hanchée»
(გუფთა);

FB — «*bouquette*», FF — «Crêpe faite à la farine de sarrasin»
(ბლინები);

FB — «bonbon», FF — «biscuit» (ორცხოზილა),

FB — « chique », FF — « bonbon » (კანფეტი);

FB — « drap du maison », FF — « torchon » (ჩვარი).

ეს ორი ჯგუფი უმეტესად აერთიანებს სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ «ჭეშმარიტი, უდავო ბელგიციზმები» (belgicisms incontestables), რადგანაც ისინი არ ვრცელდებიან ბელგიის პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა.

3. მესამე სახეობაში კი, პირიქით, გაერთიანებულია ისეთი ბელგიციზმები, რომლებიც, ხშირად შეცდომით, მიჩნეულნი იყვნენ იმ სიტყვების თანასწორად, რომლებიც დამახასიათებელი იყო საფრანგეთისთვისაც ბელგიის მოსაზღვრე რეგიონებში ან კიდევ სხვა ფრანკოფონი ქვეყნებისათვის (კერძოდ კანადისა და შეეიცარიის):

მაგ. FB — « Avant-midi » — « matinée » (დილა) კანადაში;

FB — « Auditoire » — « salle d' cours » (აუდიტორია) შეეიცარიაში;

FB — « Aubette » — « kiosque » (ჯიხური) საფრანგეთის რეგიონებში;

FB — « Femme d'ouvrage » — (მსახური ქალი), გამოიყენება რეგიონალურ ფრანგულში;

FB — « Unifamilial » — « maison destinée à une seule famille » (ერთი ოჯახისთვის განკუთვნილი სახლი) კანადაში;

ასევე FB — « Septante » (სამოცდაათი), "octante" (ოთხმოცი) და « nonante » (ოთხმოცდაათი), რომლებიც გამოიყენება მთელ ბელგიაში, ასევე შეეიცარიასა და საფრანგეთის მრავალ რეგიონშიც.

«Septante», "octante" და «nonante» მარტივი სიტყვებია და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისინი უფრო ადვილად აღქმადია, ვიდრე შედგენილი რიცხვითი სახელები «soixante-dix», "quatre-vingt" და «quatre-vingt-dix». გაცილებით რთული სიტუაცია იქმნება, როცა საქმე ეხება ტელეფონის ნომრებს. მაგალითად როცა ჩვენ გვესმის «quatre-vingt-dix-neuf» (99), გაურკვეველია აქ ჩვენი თანამოსაუბრე ერთ რიცხვს გულისხმობს, თუ რამდენიმეს, რადგან ზემოთ ნათქვამი სიტყვა შეიძლება რამდენიმენაირად გავიგოთ: «quatre-vingt, dix-neuf» (80-10), «quatre, vingt, dix-neuf» (4-20-19), «quatre-vingt, dix,neuf» (80-10-9) და ა.შ. ხოლო როცა გვესმის «nonante-neuf», დღესავით ნათელია, რომ აქ საუბარია 99-ზე. ამიტომ მართებულად მიგვაჩნია ამ ბელგიციზმების ფართო მასშტაბით გავრცელება და გამოყენება.

მთელი ერის კულტურა აერთიანებს ამ ერისათვის დამახასიათებელ ადგილობრივ თავისებურებებს, ჩვეულებებსა და საგნებს, რომლებიც შეიძლება მხოლოდ ამ ქვეყნის საკუთრებაა. ეს რეალიები ძალიან ხშირად იღებენ სპეციფიურ სახელწოდებებს, რომლებსაც თავიანთი ბუნებით შესატყვისი არა აქვთ სხვა ენებში. ისეთი სიტყვები, როგორებიცაა « shérif », « moujik », « geisha » მომდინარეობს ჩრდილოეთ ამერიკიდან, რუსეთიდან და იაპონიიდან და ფრანგულისათვის ცნობილია ნასესხების სტატუსით, რომლებსაც ეწოდებათ « ქსენიზმები » (xénismes- ბერძნული სიტყვიდან xeno « უცხო ელემენტი »)

იმ სიტყვებს შორის, რომლებიც აღნიშნავენ ბელგიურ სპეციფიურ რეალობას, ნაწილი შეიძლება ნაცნობი ან საერთოდ უცნობი იყოს ქვეყნის ტერიტორიის გარეთ (ჩვენ, მათი ადვილად გამორჩევის მიზნით, ბელგიციზმები, რომელთა გავრცელების არეც არ სცილდება ქვეყნის პოლიტიკურ საზღვარს, ნაშრომში აღვნიშნეთ განსხვავებული შრიფტით: გამოვყავით კურსივით და გავამუქეთ):

მაგ. FB — « *Choesels* », FF — « plat bruxellois à base de pancréas de boeuf ou de veau » (ბრიუსელური კერძი ხორციით),

FB — « *Merveilleux* », FF — « gâteau composé de meringue et de crème fraîche » (ნამცხვარი ბეზეთი და არაუნით),

FB — « *À couyon* », FF — « jeu de cartes connu en Wallonie » (კარტის თამაშის სახეობა ვალონიაში),

FB — « *byzance* », FF — « *délicieux* » (გემრიელი).

ნაწილი კი შეიძლება გახდეს საფრანგეთში ქსენიზმები ან პერეგრინიზმები (pérégrinismes « მოხეტიალე »), რასაც ხელს უწყობს ტურიზმი და მეზობელ ქვეყნებს შორის არსებული კავშირები. ეს სიტყვები, განსაკუთრებით, სასურსათო და სამზარეულოს სფეროს განეკუთვნება.

ჩვენს მიერ ჩატარებული მოკლე მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ სიტყვის გამოყენების სიხშირე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ბელგიციზმის განმარტებისათვის, ხოლო მისი ტოტალური აღრიცხვა რეალურად შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ათვლის წერტილად ბელგიური ფრანგულის ერთიანობას მივიჩნევთ.

ბელგიციზმებზე საუბრისას გამოვყავით ისეთები, რომლებიც ცნობილია მთელს ბელგიაში:

FB « *guindaille* » — FF « *fête d'étudiants* » — (სტუდენტების დღესასწაული),

რომლებიც ვრცელდება გარკვეულ რეგიონებში:

FB « *vitoulet* » — FF « *boulette de veau hanché* » — (გუფთა),

და ასევე ისინი, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც დიალექტიზმები:

FB "tarte al djote" — FF « *tarte aux bettes* » — (ჭარხლის ტორტი).

ენას გააჩნია სხვადასხვა დონეები. მოცემული სიტყვა შეიძლება წარმოადგენდეს ენის ვულგარულ, პოპულარულ, ფამილიარულ სტილს. ის შეიძლება მიეკუთვნებოდეს წერილობით ან ზეპირ მეტყველებას. ის შეიძლება იყოს სხვადასხვა ჯგუფის საკუთრება: იურიდიული, სტუდენტური და ა.შ.

მაგ. “Colloquer” — (მოთავსება, შეჩენება) — იურისტის სპეციალიზირებული მეტყველება;

“*Bardaf*” — patatras! (ტყაპანი, ტკაცანი) — ფამილიარული მეტყველება ;

“Middelmatisme” — (პატრიოტიზმი) — განათლებული ადამიანების მეტყველება და ა.შ.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში ფართოდ გავრცელებული ბელგიციზმები, რომლებიც ბელგიაში გამოიყენება ყოველდღიურ ურთიერთობებში:

ბელგიციზმები, რომლებსაც გამოიყენებენ სკოლამდელი

ასაკის ბავშვები:

École gardienne — École maternelle — (საბავშვო ბაღი),

L'arsouille — un enfant espiègle — (ცელქი, მოუსვენარი ბავშვი),

Gardienne (f) — (ბაღის მასწავლებელი),

Cachette — Cache-cache — (დამალობანა),

Cachette-courir — course poursuite — (ველორბოლა).

მოსწავლეების, სტუდენტებისა და ლექტორებისთვის
დამახასიათებელი ბელგიციზმები:

- Calepin (m) — Cartable (m) — (ჩანთა),
 Bloquer — Étudier consciencieusement — (კეთილსინდისიერად სწავლა),
 bloque (f) — la préparation aux examens — (გამოცდებისთვის მზადება),
 Heure de *fourche* — Heure creuse — (ფანჯარა გაკვეთილებს შორის),
Bloqueur (m) — Studieux — (ბეჯითი),
 Brosser les cours — Sécher les cours — (არასაპატიო მიზეზით გაცდენა),
Brosseur (m) — Qui sèche les cours — (გამცდენი),
 Péter, caler — Recaler — (გამოცდაზე ჩაჭრა),
 Doubler — Redoubler — (ჩარჩენა),
 Athénée — Lycée — (ლიცეუმი),
 Univ — Université — (უნივერსიტეტი),
Student — Étudiant — (სტუდენტი),
Kot (m) — (პატარა ბინა სტუდენტისათვის), დამკვიდრდა ფლამანდიური
 სიტყვისგან kot(je) და სტანდარტულ ფრანგულში არ მოექცნება შესატყვისი,
Koter — (დაქირავება),
Koteur (euse) — (ვინს ასეთ ბინაში ცხოვრობს),
Cocoter — (ერთად დაქირავება),
Cocoteur (euse) — (სტუდენტები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ ასეთ ბინებში),
Guindaille (f) — (სტუდენტური ღრეობა),
Guindailleur — (სტუდენტური ღრეობის მოწყობა),
Guindailleur — (სტუდენტური ღრეობის მონაწილე),
 Accadémique — Année d'études universitaire — (სასწავლო წელი),
 Cote (f) — Note (f) (ნიშანი),
Djok (m) — Toilette (ტუალეტი — სტუდენტურ ჟარგონზე),
 Présenter un examen — Passer un examen — (გამოცდის ჩაბარება),
 Professeur ordinaire — (სრული დატვირთვით მომუშავე მასწავლებელი, ლექტორი),
 Professeur extraordinaire — (არასრული დატვირთვით მომუშავე მასწავლებელი ან
 ლექტორი, რომელიც სხვა საქმიანობითაცაა დაკავებული),

Professeur émérite — (40 წლის სტაჟის მქონე ლექტორი, რომელიც 70 წელსაა გადაცილებული),

Péteur(m) — (ლექტორი, რომელიც ხშირად ჭრის გამოცდაზე სტუდენტებს).

კულინარიასთან დაკავშირებული ბელგიციზმები:

Fritkot (f) — Friterie (f) — (შემწვარი კარტოფილის გასაყიდი ჯიხური),

Assiette profonde — Assiette creuse — (ღრმა თეფში),

Goulaf(e) — Gourmand — (გურმანი),

Byzance — Délicieux (euse) — (ძალიან გემრიელი კერძი),

Jatte (f) — Tasse du café — (ყავის ფინჯანი),

Platekees (m) — (ბრიუსელში გაგრცელებული თეთრი ყველის სახეობა),

Waterzoo — (წიწილის ან თევზის ნახარშის წვნიანი),

Moules-frites — (მოლუსკები შემწვარ კარტოფილთან ერთად),

Beurrière (f) — (საკარაქე),

Trappiste (f) — Bière (ლუდი),

Bac à bière (m) — (ლუდის ბოკალი),

Pintje (f) — Petite pinte — (პატარა ჭიქა),

Goutte (f) — petit verre d'alcool — (პატარა ჭიქა ალკოჰოლისთვის),

Bière plate — Bière tiède — (თბილი, ქაფგაცლილი ლუდი),

Gueuse (f) — (ბელგიური წარმოების მწარე და მაგარი ლუდი),

Kriek (f) — (ბელგიური ლუდი, ალუბლის არომატით, ქაღებისათვის),

Faro (m) — (მსუბუქი, მუქი ფერის ლუდი),

Boire un à-fonds — (სულმოუთქმელად ბოლომდე გამოცლა),

bitu — ivre — (მთვრალი),

Douf(e) — Cuite — (სიმთვრალე),

Citronnée (f) — Limonade (f) — (ლიმონათი),

Dringuelle (f) — Pourboire — (მომსახურეობისთვის ნაჩუქარი ფული),

Estaminet (m) — Café (m) — (ბარი სადაც ლუდი იყიდება),

Cavitche (m), caberdouche (m) — Café (m) — (პატარა კაფე),

Bass (m), bozine (f) — (კაფეს მეპატრონე).

საკონდიტრო ნაწარმი:

- Praline (f) — chocolat (m) — (შოკოლადი),
 pâté (m) — petit gâteau à la crème — (პატარა კრემიანი ნამცხვარი),
 Caraque (f) — (კარამელის ფორმის შავი შოკოლადი),
 bâton (m) de chocolat — la barre de chocolat — (შოკოლადის დიდი ფილა, « ზოდი »),
Manon (f) — (თეთრი შოკოლადი, ყავის არომატიანი ნაღებით),
Bablute (f) — (თაფლიანი კანფეტი),
Cuberdon (m) — (გირჩის ფორმის სიროფიანი ფერადი კანფეტი),
 Chique (f), Boule (f) — Bonbon (m) — (კანფეტი),
 Bonbon (m) — (მშრალი ბიკსვიტი),
 Laquement (m) — Gaufre (f) — (ვალონური ვაფლი),
 Pistolet (m) — petit pain rond — (პატარა მრგვალი პური),
Corinthes (m) — Raisins secs — (ქიშმიში),
Cognou (m) — (ფუნთუშა, რომელზეც მაცხოვარია გამოსახული და შობას მზადდება),
 Pâté (m) — Gâteau à la crème — (კრემიანი ფუნთუშა),
Couquebaque (f) — Crêpe — (ბლინი),
Nic-nac (m) — (2-3 სანტიმეტრის, ანბანის ფორმის პატარა ბისკვიტები),
Baulus (m) — (ქიშმიშიანი ფუნთუშა),
 Maquée (f) — (ვალონური თეთრი ყველი).

სამხედრო სამსახურის სფეროში დამკვიდრებულიბელგიციზმები:

- Plouc (m) — Soldat (m) — (ჯარისკაცი),
 Accomplir ses devoirs de milice — Faire son service militaire — (სამხედრო სამსახურის მოხდა),
 Gamelle — Des volontaires de carrière — (მოხალისე).

სიყვარულთან და საოჯახო საქმეებთან დაკავშირებული
ბელგიციზმები:

Crapaude (f) (გავრცელებულია ლიეჟის ზონაში) — Amoureuse (შეყვარებული ქალი),

Elle est la crapaude à Paul. — (ის პოლის შეყვარებულია),

Hanter (ლიეჟში), courter — Se fréquenter — (შეხვედრა, ერთად სიარული),

Mijoler — Flirter (არშიყობა),

Croteke — chérie, bien aimée — (საყვარელო, ძვირფასო),

Mamé(e) — mon aimé(e), affectueux — (საყვარელო),

Fouf (f) — (მეგობარი გოგო ვულგარულად),

Être bleu — Aimer, raffoler, être passionné — (გატაცებული ყოფნა, ვინმეს გაგიჟებით სიყვარული),

Marier qn — l'épouser — (შერთვა),

Attendre famille — Être enceinte — (ფეხმძიმედ ყოფნა),

S'accoucher — Accoucher — (მშობიარობა),

Ket (m) — Garçon — (ბიჭი),

Boempa (m) — Grand-père (m) — (ბაბუა),

Boma (f) — Grand-mère (f) — (ბებია),

Dame (f) — Femme (f), madame (f) — (ცოლი, ქალბატონი),

Famille avec qn — (ოჯახის წევრი)

Il est famille avec moi. — (ის ჩემი ნათესავია),

Flat (m) — Petit appartement — (პატარა ბინა),

Porte de rue — Porte d'entrée — (შესასვლელი, მთავარი კარი),

Feu ouverte — Cheminée — (ბუხარი),

Colidor (m) — Corridor (m) — (დერეფანი),

Déjeuner (m) — Petit déjeuner — (საუზმე),

Dîner — Déjeuner — (სადილი),

Super — Dîner — (სამხარი),

Sujet (m) — Domestique — (დამხმარე ქალი სამზარეულოში),

Femme à journée — Femme de ménage — (მოსამსახურე),

l'essuie — la serviette — (პირსახოცი),

gazette (f) — le journal — (გაზეთი),

Bassin de natation — Piscine (f) — (აუზი),

Jardin arboré — (ხეხილიანი ბაღი),

Tévé (m)é — Télé (m) — (ტელევიზორი),

ramassette (f) — Petite pelle — (პატარა აქანდაზი),

Brosse (f) — Balai (m) — (ცოცხი),

Chamoisette (f), Loque à poussière — Chiffon à poussière — (პატარა ჩვარი მტვრის გადასაწმენდად),

Appropriation (f) — Nettoyage (m) — (გასუფთავება),

Drap de vaisselle — (ტილო),

Bac à ordures (m) — Poubelle (f) — (ნაგვის ყუთი),

Bac à cendres (m) — Cendrier (m) — (საფერფლე),

Blinquer — Briller — (ბრწყინვა).

ამინდთან და დროსთან დაკავშირებული ბელგიეციზმები:

Drache (f) — (ჭექაქუხილი),

Douf — (შემაწუხებელი სიცხე), Il fait doufe. — (დახუთული ამინდი),

Cru — Humide — (ნესტიანი ამინდი, წვიმის შემდეგ),

Il fait de la bise — (სუსხი, ცივი ამინდი ქარში),

Il fait caillant — Très froid, glacé — (ძალიან ცივა, ყინავს),

Eau de gouttière — (წვიმის წყალი),

Le temps est lourd — Le temps est à l'orage — (საწვიმრად მოქუფრული ამინდი),

Il fait pluvieux — Le temps est à la pluie — (საწვიმარი ამინდი, გაწვიმდება).

Aujourd'hui matin, soir — Ce matin, soir — (ამ დღით, საღამოს),

Jusque demain — Jusqu'à demain — (ხვალამდე),

Entre l'heure de midi — L'heure de déjeuner — (საუზმის დრო),

Mois écoulé — Mois dernier — (გასული თვე),

À cette heure — Maintenant — (ახლა, ამჟამად),

La semaine qui vient — La semaine prochaine — (მომავალი კვირა).

რამდენიმე შორისდებული, რომლებიც წარმოადგენენ
ბელგიციზმებს:

Bardaf! — Être patatras! — (ტყაპანის გადენა),
 Aïe aïe aïe..... — Douleur — (ტკივილი, მწუხარება),
Fourt! — Au diable!, Zut! — (ჯანდაბას !),
 proféciat ! — Félicitation ! — (მილოცვა),
 Bêke! bêk! — Pouah ! — (ფუჰ ! ფუი !).

მყარი გამონათქვამები, რომელთაც ბელგიელები განსხვავებული
მნიშვნელობით იყენებენ:

S'il vous plaît ბელგიაში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება:

1. იგივე მნიშვნელობით, როგორც იგი ვრცელდება საფრანგეთში. თხოვნა:
 Montrer moi ce livre, s'il vous plaît. (მაჩვენეთ, გეთაყვა, ეს წიგნი).
2. რაიმეს შეთავაზება ან ხურდის დაბრუნება მაღაზიაში:
 S'il vous plaît . — Prenez donc votre monnai. — (ინებეთ თქვენი ხურდა),
3. ფრაზის გამეორების თხოვნა, მისი ვერ გაგების შემთხვევაში:
 S'il vous plaît ? — Comment? Je n'ai bien compris. — (როგორ? ვერ გავიგე),
4. გზის გაკვლევისას (უშეტესად კინოში ან თეატრში):
 S'il vous plaît ! — Pardon, je voudrais passer — (უკაცრავად, გამატარეთ, თუ
 შეიძლება).

Non, peut-être — Bien sûr — (რა თქმა უნდა, უეჭველად),

მაგ. — Tu vas au cinéma ce soir ? — (ამ საგამოს კინოში მოდიხარ ?)
 — Non, peut-être! — (რა თქმა უნდა !).

Oui, mais non — Non —(არა)

მაგ. Est-ce que je peux aller au cinéma ce soir ? — (შეიძლება საღამოს კინოში წავიდე ?)

Oui, mais non ! La dernière fois tu es rentré trop tard. — (არავითარ შემთხვევაში! რადგან ბოლოს ძალიან გვიან დაბრუნდი).

ბელგიური ფრანგულით მოლაპარაკეთა გვერდით არსებობს ვალონური კილოს მომხმარებელთა გარკვეული ნაწილიც, რომლებიც ფრანგულ ენას მიმართავენ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. ისინი უფრო დიალექტურ ფრანგულს იყენებენ, ვიდრე რეგიონალურს, როგორც ფონეტიკური, ასევე ლექსიკური და სინტაქსური თვალსაზრისითაც. როგორც ზემოთ უკვე ავლნიშნეთ, ასე უმეტესად უფროსი თაობის წარმომადგენლები იქცევიან.

მიუხედავად მსგავსი სიტუაციებისა, შეიძლება განვაცხადოთ, რომ ვალონიასა და ბრიუსელში გამოყენებული ფრანგული ენის წარმოთქმა დროთა განმავლობაში იცვლება, იხვეწება და იგი თანდათან უახლოვდება სტანდარტული ფრანგულის ნორმებს. ამ საკითხში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფრანგულ რადიო და ტელეგადაცემებს, ინტერნაციონალური ურთიერთობის გაზრდას, განსაკუთრებით საფრანგეთთან, ასევე სასწავლო დაწესებულებებში ფრანგულის, როგორც, პირველი უცხოური ენის, სწავლების აუცილებლობას, რომელიც 18 წლამდე გაიზარდა, რის შედეგადაც ახალგაზრდების წარმოთქმა საკმარისად ახლოს დგას პარიზში აღიარებულ ნორმებთან.

თ ა ვ ი IV

ფრანგული ენა თანამედროვე ბელგიაში

ბელგიამ, რომელსაც დღესდღეობით სამი სახელმწიფო ენა გააჩნია, სწორად წარმოებული ლინგვისტური პოლიტიკის მეშვეობით, უნდა შეინარჩუნოს ამ ენებს შორის არსებული ურთიერთობის ხელმძღვანელობის საშუალება. ნაშრომის ამ თავში ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ, 1830 წელს, ბელგიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, თუ როგორ წარიმართა ლინგვისტური პოლიტიკა ქვეყანაში.

ენაზე ზემოქმედება შეიძლება ორი ფორმით: თვითონ ამ ენის ფორმაზე (ლექსიკა და დამწერლობა), ან მისი გავრცელებისა და გამოყენების პირობებზე გავლენის მოხდენით. ენის ფორმაზე ზემოქმედების ბელგიური მაგალითები უკვე განვიხილეთ ნაშრომის წინა თავში. ამ თავში კი ჩვენ შევეცდებით განვსაზღვროთ ფრანგული ენის ადგილი თანამედროვე ბელგიის ლინგვისტურ პოლიტიკაში და წარმოვადგინოთ მისი გავრცელებისა და გამოყენებისათვის აუცილებელი ზემოქმედების შემთხვევები დღევანდელ ბელგიაში.

1. ლინგვისტური პოლიტიკა ბელგიის დამოუკიდებელ სახელმწიფოში.

მრავალ ქვეყანაში რამდენიმე სახელმწიფო ენის არსებობა არანაირ პრობლემას არ ქმნის ამ ენების თანაარსებობაში. თუმცა იგივე ნამდვილად არ ითქმის ბელგიის შემთხვევაში, სადაც ლინგვისტური ნაციონალიზმი გაიგივებულია პატრიოტიზმის გრძნობასთან. ბელგიაში ფრანკოფონთა და ნიდერლანდოფონთა საზოგადოებებს შორის ურთიერთობა დღითიდღე რთული ხდება და ეს ქვეყნის პოლიტიკურ ყოფაზეც აისახება. ლინგვისტური საკითხის პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო და ბელგიის პოლიტიკურ ცხოვრებას თან სდევს მთელი მისი ისტორიის მანძილზე.

როგორც ნაშრომის I თავში ავღნიშნეთ, შუა საუკუნეებში ფლანდრიაში ფრანგული ენა საკმაოდ გავრცელებული იყო, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ვალონიაში, სადაც ადგილობრივი დიალექტები საკმაოდ წინააღმდეგობას უწევდა ფრანგულის გავრცელებას, ხოლო XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ფრანგული ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლების მიერ გამოიყენებოდა ბელგიის მთელს ტერიტორიაზე.

სახელმწიფო ენა ქვეყნის ხელისუფლების მიერ გამოიყენება, როგორც ხელისუფლების ცენტრალიზაციისა და მისი სტრუქტურული გაერთიანების საშუალება. 1830 წელს შექმნილი ბელგიის დამოუკიდებელი სახელმწიფო ემყარება ფრანკოფონული სოციალური ჯგუფის ენობრივი და კულტურული ჰომოგენურობის პრინციპს და გაბატონებული კლასის ენა – ფრანგული – გამოცხადდა სახელმწიფო ენად.

ახლადშექმნილი სახელმწიფოს მიერ ქვეყნის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში აღიარებულმა ერთენოვნებამ, მძიმე შედეგები გამოიწვია აქამდე ორენოვან საზოგადოებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ფლამანდიელების გააქტიურება. ისინი აწყობდნენ სხვადასხვა გამოსვლებსა თუ საჯარო მანიფესტაციებს, სადაც მოითხოვდნენ თავიანთი ენისათვის სტატუსის მინიჭებას, კერძოდ:

"Que les affaires communales et provinciales soient traitées en flamand dans les provinces flamandes.

Que les fonctionnaires, dans ces provinces, connaissent le flamand et traitent dans cette langue avec leurs administrés.

Que le flamand soit utilisé en justice, lorsque c'est la langue des des parties.

Qu'une Académie flamande soit créée.

Que le flamand soit considéré à l'égalité avec le français à l'Université de Gand et dans les autres établissements d'enseignement d'Etat." (143; 35)

ფლამანდიელების აქტიურობის შედეგად ბელგიის პარლამენტში 1873 წლიდან კენჭს უყრიდნენ ლინგვისტურ კანონებს. XIX საუკუნის მიწურულს კი, 1898 წლის გაზაფხულზე, მიღებულ იქნა ფლამანდიელებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლინგვისტური კანონი, ე. წ. "თანასწორობის კანონი" (loi d'égalité), რომლის თანახმადაც ბელგიის მთელს ტერიტორიაზე ფრანგული და ნიდერლანდური ენები თანაბარი უფლებების მქონედ ცხადდებოდა. თუმცა ამით არ დამთავრებულა ლინგვისტური დავა ბელგიაში.

პირველ მსოფლიო ომის დაწყებამ ხელი შეუშალა ქვეყანაში ბევრი ენობრივი რეფორმის განხორციელებას. ფლამანდიურმა მოძრაობამ ვერ შეძლო გენტის უნივერსიტეტის ფლამანდიზაცია. ამასთანავე ფლანდრიაში ლინგვისტური პრობლემა სოციალურ პრობლემაში გადაიზარდა: მუშებს ეზიზღებოდათ ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც თავს არიდებდნენ ხალხის ენაზე საუბარს.

XX საუკუნის 20-იან წლებში მრავალი ლინგვისტური კანონი შეიქმნა, რომლებმაც მაინც ვერ შეძლეს ლინგვისტური პრობლემების მოგვარება, რის შედეგადაც 30-იანი წლების დასაწყისში უფრო რადიკალური ნაბიჯები იქნა გადადგმული და სახელმწიფო ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ოფიციალურად გაეყო ფლანდრიისა და ვალონიის ადმინისტრაციები. ბელგიის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან ლინგვისტურ ცვლილებებზე საუბარი მხოლოდ 1932 წლიდანაა შესაძლებელი, როცა მიღებულ იქნა ლინგვისტური კანონი, რომელიც ეყრდნობოდა ენობრივი ერთგვაროვნების პრინციპს და რომლის მიხედვითაც ფლამანდიური რეგიონების ოფიციალური ენა გახდა ნიდერლანდური, ვალონიის – ფრანგული ენა, ხოლო 1919 წელს დაპყრობილი ეპანისა და სენ-ვიტის რეგიონებისა – გერმანული. ორენოვნება შენარჩუნებული იქნა მხოლოდ ქვეყნის დედაქალაქ – ბრიუსელში, რომელიც ტერიტორიულად ფლამანდიურ ზონაში მდებარეობს. თუმცა ფლამანდიელები არც ამ გადაწყვეტილებით დარჩნენ კმაყოფილი და თვლიდნენ, რომ მათ რეგიონს კვლავ ემუქრებოდა ფრანციზაციის საფრთხე, რადგანაც დედაქალაქში, რომელიც გეოგრაფიულად ფლანდრიის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ფრანგული ისევ გამოიყენებოდა მოსახლეობის ფართო მასების მიერ.

ბელგიაში პერიოდულად ტარდებოდა ენობრივი აღრიცხვები, რომელიც ავლენდა ქვეყნის ორი ლინგვისტური საზოგადოების წარმომადგენელთა რიცხოვრივ მაჩვენებლებს. უკანასკნელი ლინგვისტური აღრიცხვა ჩატარდა 1947 წელს. იგი ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული თავისი შედეგების გამო, რადგანაც ქვეყნის ახალ ტენდენციას აჩვენებდა. ფლამანდიურის გავლენა მცირდებოდა და სულ უფრო მეტი ადამიანი თავს ბილინგვად აცხადებდა. ამ პერიოდში ქვეყანაში მოსახლეობის 34% ერთენოვანი ფრანკოფონია, 42% ერთენოვანი ფლამანდიელი, დანარჩენი კი – ორენოვანი, ფრანგულ-ნიდერლანდური ენებით.

1947 წლიდან მოყოლებული ბელგიაში აღარ ხდება ენობრივი სიტუაციის რიცხოვრივი აღწერა. ფლამანდიურ პარტიებს, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ ბელგიურ მთავრობაში, აღარ უნდათ იმ ციფრების დანახვა, რაც რეალურად აჩვენებს ბრიუსელის და ბევრი ნიდერლანდური რეგიონის გაფრანგულებას. 1919 წლიდან დადგენილი გერმანულ-ფრანგული ბილინგვიზმის პირობებში გერმანულენოვნად ითვლება წერა-კითხვის მცოდნე 65 000 ადამიანი, რომელიც ამ ორენოვნების სიტუაციაში უფრო მეტად ფრანგულს იყენებს, ვიდრე ფლამანდიურს.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დაფიქსირდა ფრანკოფონი ბელგიელების ოდნავ გადაჭარბებული რიცხვი — 4 300 000, რაც ბელგიის მოსახლეობის 43%-ია. იმის შიში, რომ ფლანდრია შეიძლებოდა კვლავ გამხდარიყო “ფრანგული კოლონია”, კიდევ უფრო უბიძგებდა ზოგიერთ ფლამანდიურ მოძრაობას მოქმედებისაკენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ენობრივი საზღვრის შექმნამ, ვერ მოაგვარა ბელგიის ენობრივი პრობლემა, რისი წყალობითაც ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი ორენოვანი იყო. ამიტომაც ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილებით 1962 წლის ნოემბერში მოხდა ენობრივი საზღვრის ფიქსაცია, რომელშიც გათვალისწინებული იყო გარკვეული ცვლილებები, რის შედეგადაც ადმინისტრაციული საზღვრები ლინგვისტურს დაემთხვა. 1963 წლის ივლისში, ამას მოჰყვა მეორე ლინგვისტური კანონი, რომლის თანახმადაც თითოეული რეგიონი უნდა ყოფილიყო ერთენოვანი და მხოლოდ დედაქალაქი ბრიუსელი – ორენოვანი, რომლის 19 თემს ემატებოდა 6 პერიფერიული თემი, რომლებიც განკუთვნილი იქნებოდა ფრანკოფონი უმცირესობისათვის. 1963 წლის აგვისტოში გამოცემულმა მესამე ლინგვისტურმა კანონმა ქვეყნის ტერიტორია 4 ლინგვისტურ ზონად გაყო: ნიდერლანდოფონები, ფრანკოფონები, ორენოვნი და გერმანოფონები (რომლებსაც ეკავათ ლიეჟის პროვინციის აღმოსავლეთით მდებარე ოლქები). ამ პერიოდში რეგიონალური ერთენოვნება დაცული იყო როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციულ სფეროში, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენდა ლუვენის უნივერსიტეტის ფრანგული სექცია.

1963 წლის ლინგვისტური კანონის შედეგად ორენოვნება გაუქმებული იქნა ქვეყნის ტერიტორიაზე. ენობრივი საზღვარი “ამოქმედდა” და ამიერიდან უდიდესი მნიშვნელობა ექცევა იმ ფაქტებს, რაც მათ ერთმანეთისგან გამოყოფს და არა იმას – რაც აერთიანებს, როგორც ეს ადრე ხდებოდა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. 1963 წლიდან ფრანგული კერძო სკოლების დიპლომებს აღარ აღიარებენ ფლანდრიაში, ხოლო ნიდერლანდური სკოლებისას – ვალონიაში.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც თვალნათლივ ჩანს, 1830 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ბელგიის ლინგვისტურ ცხოვრებაში და ფლანდრიის მოსახლეობას საუკუნეზე ნაკლები დრო დასჭირდა იმისათვის, რომ ნიდერლანდური ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭებინა. როგორც ფლამანდიელი მკვლევარი დომინიკ უილემსის (Dominique Willems) (183) ნაშრომიდანაც ჩანს, ნიდერლანდური ენის წარმომადგენლებმა თავიანი

ენისათვის სტატუსის მოსაპოვებლად ბრძოლა XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო და თავდაპირველად "ფლამანდიური ენისა და კულტურის დაცვისა და განმტკიცების მოძრაობა" ("Un mouvement de défense et de promotion de la culture et de la langue flamandes") შექმნეს, რომელმაც შესძლო კანონიერად ელიარებიანა ნიდერლანდური ენის საზოგადოებრივ წრეებში გამოყენება, რის შედეგადაც 1873 წლიდან ფლანდრიის რეგიონი ორენოვანი გახდა. ამ პერიოდის შემდეგ თანდათანობით ხდება ნიდერლანდური ენის პროგრესირება ფლანდრიაში. "A partir de ce moment, nous assistons à une lente mais irrépressible évolution d'une région bilingue vers une région monolingue néerlandophone. Cette évolution est entérinée au cours des années 1930 par une série d'arrêtés officiels. Citons quelques dates clés: 1930, néerlandisation de l'Université de Gand; 1935, adoption de la langue néerlandaise comme langue officielle de la région en matière judiciaire; 1938, loi concernant l'usage des langues à l'armée; 1963, loi réglant l'emploi des langues en matière administrative; 1963 encore, enseignement obligatoire en néerlandais". (183; 37).

XX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ახალი ლინგვისტური კრიზისი გამოიწვია ლუვენის უნივერსიტეტის საკითხმა. ქვეყანაში მოქმედი ლინგვისტური კანონის თანახმად, ფლანდრიის ტერიტორიაზე მყოფ საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთადერთი ენა უნდა ყოფილიყო ნიდერლანდური, თუმცა ქ. ლუვენში არსებობდა უდიდესი ისტორიისა და მდიდარი ტრადიციების მქონე ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, სადაც საუკუნეების მანძილზე სწავლა ფრანგულ ენაზე მიმდინარეობდა. სწორედ ეს უნივერსიტეტი გახდა მორიგი დაპირისპირების საგანი, რომელიც ფლამანდიელების გამარჯვებით დასრულდა და რასაც შედეგად მოჰყვა უნივერსიტეტის დანაწევრება. ფრანკოფონული უნივერსიტეტის ძირითადი ნაწილი განთავსდა ვალონიის ტერიტორიაზე ახლად დაარსებულ ქალაქში, რომელსაც ახალი ლუვენი (Louvain-la-Neuve) ეწოდა, უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი კი ბრიუსელის მახლობლად იქნა გადატანილი.

1963 წელს, ლინგვისტურ ერთეოვნებაზე შექმნილ კანონს, მეოთხედი საუკუნე დასჭირდა, ვიდრე საბოლოოდ ამოქმედებას შეძლებდა. მთელი ამ 25 წლის განმავლობაში, ბელგიის, როგორც ვალონურ რეგიონში, ასევე ფლამანდიურშიც და თვით დედაქალაქშიც ტარდებოდა მრავალი რეფორმა, რომლებიც ემსახურებოდა ამ კანონის დამამკვიდრებელი წესების შექმნას.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს შეიქმნა ლინგვისტური კონტროლის პერმანენტული კომისია (une Commission permanente de Contrôle linguistique _ C.P.C.L.), რომელიც შედგებოდა 5 ფრანკოფონი, 5 ნიდერლანდოფონი და 1 გერმანოფონი წევრისაგან. კომისიის კომპეტენციაში შედიოდა ლინგვისტური კანონების დაცვა. კომისია იყოფოდა 2 ნაწილად: ფრანგულ და ნიდერლანდურ სექციებად და თითოეული მათგანი დაკავებული იყო ადგილობრივი პრობლემების მოგვარებით, ხოლო როცა საქმე ეხებოდა დედაქალაქს, ეს პრობლემა ორივე სექციის საერთო ძალებით წყდებოდა.

განსხვავებულ ლინგვისტურ საზოგადოებებს შორის ურთიერთობას ისიც ართულებს, რომ ამა თუ იმ ლინგვისტური საზოგადოების წარმომადგენლებმა უნდა ილაპარაკონ იმ ენაზე, რომლის ადმინისტრაციული გავრცელების ტერიტორიაზეც იმყოფებიან. მაგალითად, ნიდერლანდოფონთა საზოგადოებაში მოხვედრილ ბელგიელ ფრანკოფონს უფლება არ აქვს ფრანგულად მიმართოს მათ, ან დაინტერესების შემთხვევაში მოითხოვოს რაიმე საბუთის ან ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტის ფრანგულენოვანი თარგმანი; და პირიქით. გამონაკლისს წარმოადგენს ბრიუსელი.

1982 წლის ივნისში ბელგიაში შეიქმნა კანონი ენათა თავისუფალი გამოყენების შესახებ და ასევე ფრანგული ენის დამკვიდრების თაობაზე, არა მარტო კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროშიც. ამ კანონის თანახმადვე ხდებოდა შესაძლებელი ფრანგულენოვანი მუშახელის დაქირავება. ეს კანონი ნაწილობრივ გაუქმებულ იქნა 1986 წლის იანვარში, როცა ამოიღეს ეს უკანასკნელი პუნქტი.

1994 წლის ორი დეკრეტის მიხედვით, ფლანდრიაში განთავსებულმა ყველა ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს ინდივიდუალური ენა. შედეგად, ფლამანდიელები, ძირითადად, სამსახურში იღებენ ფლამანდიელებს და თავიანთი კადრებისგან პოლიგლოტობასაც ითხოვენ: მათ უნდა იცოდნენ ფრანგული, ნიდერლანდური, ინგლისური და, თუ შესაძლებელია, კიდევ ერთი ენა, განსაკუთრებით გერმანული.

დღესდღეობით ბელგიის კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად ბელგიაში ენების გამოყენება არჩევითია: "l'emploi des langues usitées en Belgique est facultatif", რაც გულისხმობს, რომ სუბიექტს საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია ენის არჩევა, განურჩევლად იმისა, თუ რომელ ტერიტორიულ ერთეულზე იმყოფება იგი.

ვლამანდიურ სკოლებში მოსწავლეების უმრავლესობა ირჩევს ფრანგულს, როგორც პირველ ენას და სწავლობს მას 4 ან 5 წლის განმავლობაში, 2 ან 3 საათი კვირაში, ამასთან ერთად მათი ცოდნა განუწყვეტლივ ღრმავდება ფრანკოფონული რადიოთი და ტელევიზიით (მათი 15% სისტემატურად უყურებს ფრანგულ ტელევიზიას და უსმენს ფრანგულ რადიოს), პრესით, რასაც ემატება სისტემატურად გატარებული არდადეგები საფრანგეთში. ამგვარად, მოსახლეობის 70% შეუძლია ფრანგულ ენაზე მეტყველება. ბელგიაში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომერციული პარტნიორია საფრანგეთი, ფრანგულ ენას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ამას გარდა ამ ორ ქვეყანას მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებიც აკავშირებს.

XX საუკუნიდან, ბელგიაში ნიდერლანდოფონთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა ფრანკოფონი ბელგიელების შემცირების ხარჯზე. დღესდღეობით კი ბელგიურ ფრანგულს საფრთხეს უქმნის ინგლისური ენაც, რადგანაც ამ უკანასკნელმა, მნიშვნელოვნად მზარდი ანგლიფიკაციის პროცესით მეშვეობით, შეძლო თავისი სტატუსის შეცვლა და გახდა ე.წ. "მსოფლიო ენა", რის შედეგადაც, გამოიყენება რა ეკონომიკის, პოლიტიკის, სამხედრო თუ სხვა სფეროებში, გახდა ეკონომიკის, მედიასაშუალებების, მეცნიერების, საჰაერო თუ საზღვაო ტრანსპორტის, ინფორმატიკის საერთაშორისო ენა. ინგლისურმა ენამ ბელგიაშიც ფართოდ მოიკიდა ფეხი.

მსოფლიო დომინანტი – ინგლისური ენა ქმნის მრავალ ტერმინოლოგიურ ნეოლოგიზმს, რომლებიც გამოიყენება მისი გავრცელების სხვადასხვა სფეროში და მკვიდრდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის რომანულ ბელგიაშიც. ასეთი ნეოლოგიზმების რიცხვი დღითიდღე იზრდება და საფრთხეს უქმნის ფრანგულ ენას, ამიტომაც ეს უკანასკნელი იძულებული ხდება იფიქროს თავდაცვაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ საფრთხის მიუხედავად, ინგლისური დადებით როლსაც თამაშობს ბელგიის ლინგვისტურ ცხოვრებაში. ერთი მხრივ, ფრანგული და ნიდერლანდური ენები ერთიანდებიან ინგლისურის გავლენის ქვეშ მოხვედრისაგან თავის დასაცავად, ხოლო მეორე მხრივ, ინგლისური ასრულებს ერთგვარი მაკავშირებელი ხიდის როლს ბელგიის ორ ლინგვისტურ საზოგადოებას შორის.

ფრანგული, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიჩნეული იყო გაბატონებულ ენად ბელგიაში, XX საუკუნის II ნახევრიდან იძულებულია

თავდაცვაზე იფიქროს, რადგანაც მისი პრესტიჟი მნიშვნელოვნად დაეცა. საზოგადოებრივი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ აუცილებელია ჩარევა ფრანგული ენის დასაცავად, რაც ახალი ტენდენციაა ფრანკოფონულ ბელგიაში.

2. ფრანგული ენის დაცვისა და გამოყენების საკითხისათვის თანამედროვე ბელგიაში. ამ ქვეთავში ჩვენ განვიხილეთ ფრანგული ენის დაცვის, მისი გავრცელებისა და გამოყენებისთვის აუცილებელი ზემოქმედების შემთხვევებს ბელგიაში. XX საუკუნის II ნახევრის ბელგიაში, ფრანგული ენის გამოყენებისა და მისი გავრცელებისათვის საჭირო 2 პერიოდის გამოყოფაა შესაძლებელი: 1970 წლიდან 1985 წლამდე და 1985 წლიდან დღემდე.

ბელგიის ტერიტორიაზე ფრანგული ენის სტატუსზე ზრუნვა XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო, თუმცა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისამდე ბელგიელ ფრანკოფონთა საზოგადოება უმნიშვნელო მონაწილეობას იღებდა თავისი ენის დაცვის საკითხში. 1970-1985 წლებში, ბელგიელ ფრანკოფონთათვის პრიორიტეტს წარმოადგენდა საუკუნეების განმავლობაში ფრანგული ენის მიერ მოპოვებული სტატუსის დაცვა და ისინი ნაკლებად ფიქრობდნენ ენის პროპაგანდაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ბელგიელ ფრანკოფონთა ყველაზე მნიშვნელოვან მოქმედებად შეიძლება მივიჩნიოთ 1982 წლის 12 ივლისის “სპაკის დეკრეტად” (décret Spaak) წოდებული კანონის კენჭისყრა ფრანგული ენის დაცვის შესახებ, სადაც უპირველეს ყოვლისა საუბარი იყო ფრანგული საზოგადოების მიერ თავიანთი ენის დაცვის დაკანონებაზე.

ეს კანონი, ერთი მხრივ, მიმართული იყო შეენარჩუნებინა ფრანგული ენის მთლიანობა, რის მიღწევასაც იგი აპირებდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებში ისეთი უცხოური ტერმინების გამოყენების აკრძალვით, რომელთა ეკვივალენტური ტერმინებიც არსებობდა ფრანგულში და რომლებიც ოფიციალურად აღიარებული იყო ფრანგული ენის საერთაშორისო საბჭოს მიერ; მეორე მხრივ, იგი ცდილობდა აეკრძალა ფრანგულის გარდა სხვა ენის გამოყენება ვალონიის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი ხელისუფლების განკარგულებაში მყოფ შენობებში.

ეს კანონი, რომელიც განიცდიდა საფრანგეთში შექმნილი მსგავსი კანონის ძლიერ ზეგავლენას, მიჩნეული იყო ინგლისური ენის მიერ ლინგვისტური დაპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად და მან ლინგვისტურ

საზოგადოებებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია: ერთი ნაწილი ქადაგებდა, რომ ქვეყნის ძალისმიერი ჩარევა აუცილებელი იყო ენის ერთიანობის დასაცავად, ხოლო მეორე ნაწილი კი, პირიქით, მოითხოვდა მოსაუბრეთა თავისუფალ არჩევანს.

საზოგადოებრივი ხელისუფლების მიერ ენობრივი კანონის შექმნით გამოწვეული საფრთხის გამო განადგურდა კანონის პირველადი ფორმით გათვალისწინებული თანხმობა. თუმცა ამ კანონმა მაინც შექმლო ფრანგული ენის მხარდასაჭერი სულისკვეთების აღძვრა გარკვეულ ასპექტში.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, საფრანგეთის ენის პალატა ცდილობდა შეექმნა ფრანგული ენის დაცვისა და გაგრძელების სწორი მეთოდები. 1979 წელს ეროვნულმა ასამბლეამ შექმნა კომისია, რომელსაც უნდა ეწარმოებინა გამოკითხვა ფრანგული ენის შესახებ, შესაბამისად კომისია იმუშავებდა ამა თუ იმ საკითხში არსებული პრობლემების დასაძლევად. 1982 წელს, აღნიშნულ კომისიაში მიიწვიეს ბრიუსელის და ვალონიის ფრანგული საზოგადოების საბჭოს პრეზიდენტი, რომელმაც თავის მოხსენებაში ისაუბრა ბელგიაში ფრანგული ენის მიერ თავისი პოზიციის დათმობაზე, სადაც საუბარი იყო ენის დეგრადაციაზეც; ასევე ფრანგული საზოგადოებრივი საბჭოს დამოკიდებულებაზე სპაკის კანონისადმი და ბელგიაში ფრანგულის განვითარების რეალურ შესაძლებლობებზე.

ბელგიაში, იმ ორგანიზაციებს შორის, რომელთა მთავარ საზრუნავსაც ფრანგული ენა წარმოადგენდა, იყო “ფრანგული ენის დაცვისა და განდიდების ასოციაცია” (Association de Défense et d’Illustration de la Langue française. — ADILF), რომელიც 1980 წელს შეიქმნა. იგი, სხვადასხვა კონკურსების ორგანიზებით ცდილობს ახალგაზრდა თაობის დაინტერესებას ფრანგული ენითა და მისი ხარისხით.

1985 წელს დაარსებული "ფრანგული-ბრიუსელი" (Bruxelles-Français) აძლიერებს ფრანგული ენის პოზიციებს ბრიუსელში.

პირველი პერიოდის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების მთავარი პუნქტი თავდაცვითი ხასიათის მატარებელი იყო, რომელიც მიმართული იყო ანგლიციზმების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ფრანგული ენის დასაცავად გაცილებით მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება 1985 წლიდან.

1985 წელს, ბელგიაში შეიქმნა ფრანგული ენის საბჭო (Conseil de la langue française), რომელიც იყო საკონსულტაციო ორგანიზაცია და რომლის მთავარი დანიშნულება იყო ენის პოლიტიკის მიზანმიმართულად განვითარება, რაც მიზნად ისახავდა ფრანგული ენის დაცვას ანგლო-ამერიკულის მზარდი გავლენისაგან. საბჭოს საჭიროდ მიიჩნდა ავტორიტეტისა ენის სტრუქტურა, რომელიც შექმნილია ბელგიური ფრანგულის ევოლუციური პრობლემების გადაჭრას, დაფანტული ინფორმაციების შეგროვებას, აუცილებელი ნორმების შესწავლასა და მათი განხორციელების უზრუნველყოფას; ასევე უცხოურ ჰომოგენურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

ბელგიის ფრანგულ საზოგადოებაში მსგავსი ლინგვისტური ორგანიზაციის შექმნა მოტივირებული იყო ფრანგული ენის პოლიტიკური მიზნის გათვალისწინებითაც, რაც სცილდებოდა ენობრივი სიწმინდის საკითხებს და ამ უკანასკნელის გარდა ჰქონდა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ინტერესებიც.

ბელგიის ფრანგული ენის საბჭოს პარარელურად იქმნება ფრანგული ენის სამსახური (La Service de la langue française), რომელიც კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების თანამშრომლობას ფრანგული ენის დაცვისა და განვითარების საკითხში, ფრანგული ენის მეცნიერული პუბლიკაციების მხარდაჭერას და საფრანგეთისა და კვებეკის ლინგვისტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ამასთანავე შურნალ "ფრანგული საზოგადოების" ("Français Société") გამოცემასა და გავრცელებას, რომელშიც წარმოდგენილია ბელგიის ფრანკოფონური საზოგადოების წარმომადგენლების მიერ ფრანგული ენისადმი მიძღვნილი ნაშრომები; ასევე შურნალ "ახალი ტერმინოლოგიის" (Terminologies nouvelles) დაბეჭდვასა და გავრცელებას, რომელშიც ვხვდებით საერთაშორისო ტერმინებსა და ნეოლიგიზმებს. აღნიშნული სამსახური უზრუნველყოფს ფართო მასების სატელეფონო ინფორმაციულ მომსახურებას ფრანგულ ენის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და პასუხობს ორთოგრაფიულ, გრამატიკულ, ტერმინოლოგიურ და ლინგვისტურ შეკითხვებს.

ქვეყნის პოლიტიკურ ხელისუფლებასთან პირდაპირი კავშირის მქონე ლინგვისტური ორგანიზაციების გარდა, აღსანიშნავია ბელგიური ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამეფო აკადემია (Académie royale de langue et de littérature française de Belgique), რომელიც ჯერ კიდევ 1920 წელს შეიქმნა ბელგიის ფრანკოფონთა

საზოგადოების მატერიალური დახმარების მეშვეობით. ის ემსახურება ფრანგული ენისა და ლიტერატურის შესწავლას, მის გამოყენებასა და განვითარებას ფართო მასებში. სამეფო აკადემია გარკვეულწილად განსხვავდება ფრანგული აკადემიისაგან (Académie française), რადგანაც იქ მწერლების გვერდით ვხვდებით გრამატიკებს, ლინგვისტებს, ენისა და ლიტერატურის ისტორიკოსებს. აკადემიის 40 წევრიდან 10 უცხოელია.

ბელგიაში შექმნილი ლინგვისტური ორგანიზაციები ფრანგული ენის ძირითადი პრობლემების გამოკვლევასა და სოციოლინგვისტური რეალობის შესწავლას შეუდგნენ, რისთვისაც საუნივერსიტეტო ცენტრები ატარებდნენ სხვადასხვა სახის კვლევებსა და გამოკითხვებს. ამ კვლევებისა და გამოკითხვების საფუძველზე, 1989 წლის 21 ივნისს შეიქმნა ფრანგული ენის წესდება, რომელიც შედგებოდა 10 პუნქტისაგან და გათვლილი იყო ფრანგული ენის პოლიტიკაზე, რომელშიც გამოიყოფოდა 4 ძირითადი ამოცანა: ფრანგული ენის ადაპტაცია თანამედროვე სამყაროს რეალობასთან, ენის ხარისხის გაუმჯობესება, ფრანგული ენის არსებობის განმტკიცება და გაძლიერება, მონაწილეობა ბელგიური ფრანგული ენისა და კულტურის ექსპანსიაში.

ეს ამოცანები გამოხატავდა ლინგვისტური პოლიტიკის ორ პოლუსს: ერთი მხრივ, თვით ფრანგული ენის ფორმაზე ზემოქმედებით და, მეორე მხრივ, ენის სტატუსზე ზემოქმედებით. ამ წესდების მიხედვით შეიქმნა კრებული, რომელიც ვრცელდებოდა სხვადასხვა დაწესებულებებში და თითოეულ ფრანკოფონს შეახსენებდა როგორც თავის ლინგვისტურ უფლებებს, ასევე ვალდებულებებსაც.

ბელგიელი ფრანკოფონები ყველა საშუალებას მიმართავდნენ ფრანგული ენის დასაცავად. 1990 წელს, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამეფო აკადემიამ ბელგიელ პოლიტიკოსებს თხოვნითაც კი მიმართა, აღარ დათანხმებოდნენ ისეთი სამეცნიერო კრებულების დაფინანსებას, რომლებიც უარყოფდნენ ფრანგული ენის გამოყენებას.

1991 წელს, ბელგიაში არსებულმა ფრანგული საზოგადოების საბჭომ კენჭი უყარა გადაწყვეტილებას ფრანგული ენის გამოყენების შესახებ მანიფესტაციებსა თუ კულტურულ და სამეცნიერო შეკრებებზე; ამასთანავე თხოვნით მიმართა მთავრობას მხარდასაჭერად, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ამ უკანასკნელს მხარი არ უნდა დაეჭირა ისეთი მანიფესტაციებისა და პუბლიკაციებისათვის, რომლებიც უარყოფდნენ ფრანგული ენის გამოყენებას.

1993 წელს, ბელგიური ფრანგული ენის უმაღლესმა საბჭომ აზრი გამოთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ფრანგული ენის ხარისხის ასამაღლებლად და მის სამეცნიერო პუბლიკაციებში, სასწავლო დაწესებულებებსა და კონფერენციებში გამოსაყენებლად სხვადასხვა საშუალებას სთავაზობდა.

1990 წელს, ფრანგული საზოგადოების აღმასრულებელი ხელისუფლება ქმნის კიდევ ერთ ლინგვისტურ ორგანიზაციას: ფრანგული ენის შესახებ კანონმდებლობის სამეთვალყურეო კომისიას (La Commission de surveillance de la législation sur la langue française), მას საკუთარი აზრი უნდა გამოეთქვა ფრანგული ენასთან დაკავშირებით შექმნილ ყველა დოკუმენტსა თუ კანონზე. მან განიხილა ყველა ის კანონი, რომლებზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. თუმცა მისი შესაძლებლობები, ამ კანონების პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებით, შემოიფარგლება ერთ ფრანგულენოვან რეგიონში ადმინისტრაციულ და სასწავლო სფეროებში ფრანგული ენის გამოყენებით.

1990 წელს, ბელგიაში არსებული ფრანგული ენის საბჭომ განიხილა წინადადება, რომელიც საფრანგეთიდან მომდინარეობდა და შეეხებოდა ინიციატივას ლინგვისტური რეფორმის შესახებ, რის შემდეგაც საბჭო ხელახლა ადასტურებს თავის ადრინდელ პოზიციას ორთოგრაფიულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

1993 წელს, ბელგიური ფრანგული ენის მოდერნიზაციის საკითხში განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული ენის სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიით გამდიდრებაზე, აგრეთვე სპეციალობების სახელთა ფემინიზაციაზე. ასევე საჭირო გახდა ფრანგული ენა ყველასთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო, რაც მოითხოვდა ადმინისტრაციული ენის გამარტივებას, ან მისი გამოყენების გაძლიერებას იმიგრირებულ და არახელსაყრელ პირობებში მყოფი მოსახლეობის ფენებში. და ბოლოს, ისინი ცდილობდნენ ფრანგული ენის პოზიციების გაძლიერებას სამეცნიერო სფეროში და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებშიც.

XX საუკუნეში, საზოგადოებრივი ევოლუციის შედეგად, სხვადასხვა თანამდებობებზე ქალების რიცხვი თანდათან იზრდება, თუმცა ამ თანამდებობების სახელწოდებები ჯერ ისევ მამრობით სქესში რჩებოდა. ამიტომაც 1993 წელს, საზოგადოებრივმა საბჭომ კენჭი უყარა კანონს სახელწოდებების ფემინიზაციაზე. მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა ბელგიური ფრანკოფონიის გარეთაც. თუმცა ამ

კანონს მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ პროფესიათა სახელწოდებების ფემინიზაცია საჭირო არ იყო, რადგანაც, მხოლოდ მამრობითი სქესის არსებობისას, არ ხდებოდა ყურადღების გამახვილება ბიოლოგიურ სქესზე. თუმცა მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, საზოგადოებრივი ინტერესი ამ რეფორმასთან დაკავშირებით მაინც დიდი იყო.

XX საუკუნის ბოლოს შექმნილ ფრანგულენოვანი ნეოლოგიზმებისა და ტერმინოლოგიის საერთაშორისო გაერთიანებაში (Réseau International de Néologies et de Terminologie – RINT), გაერთიანდნენ ბელგიელი, ფრანგი, კანადელი, შვეიცარიელი, მაროკოელი, ტუნისელი და ათამდე აფრიკული ქვეყნის ფრანკოფონები, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ ახალი სამეცნიერო და ტექნიკური გამოთქმები.

ლინგვისტური პოლიტიკა საჭიროა ენაზე ზეგავლენის მოსახდენად, რაც ნათლად ჩანს ჩვენს მიერ განხილული მაგალითებიდანაც; თუმცა ის აგრეთვე შეიძლება გამოვიყენოთ ფრანგული ენის პოზიციების განსამტკიცებლად იქ, სადაც მას საფრთხე ემუქრება სხვა ენებთან მიმართებაში.

XX საუკუნის ბოლოდან ბელგიის ლინგვისტურ სამყაროში შეიმჩნევა ფრანგული ენის გამოყენებაზე უარის თქმის ტენდენცია ინგლისურის სასარგებლოდ, რასაც ადგილი აქვს საზოგადოებრივი საქმიანობის მრავალ სფეროში. ეს მოვლენა განსაკუთრებულ განსაცდელში აყენებდა სამეცნიერო სფეროებს, რის გამოც ადგილი ჰქონდა არაერთ წამოწყებას, როგორც იყო მაგალითად, სამეცნიერო გამოკითხვა პრობლემის გადასაწყვეტად და საკითხის მოსაგვარებლად; ეწყობოდა საფრანგეთის ენის პალატის, კვებეკისა და ბელგიური ფრანგული საზოგადოებების ერთობლივი სემინარები.

ბელგიის სახელმწიფოში, ფრანგული ენის გამოყენებას ეკონომიკურ სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ჩატარებული იქნა გამოკვლევა, რომელიც შეისწავლიდა ენათა გამოყენების სიძლიერასა და უპირატესობას ფრანგული საზოგადოების მნიშვნელოვან დაწესებულებებში. მსოფლიოში გაერცხლებულმა ეკონომიკურმა საქონელბრუნვამ შეიძლება რეზონანსი გამოიწვიოს ლინგვისტურ სფეროშიც, რასაც ადგილი უკვე ჰქონდა ინგლისურთან მიმართებაში, თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისურის მასიურად დამკვიდრებას, როგორც ერთადერთ ენას ეკონომიკურ სფეროში. ამავე დროს ევროგაერთიანებაში მოქმედმა წესმა მომსახურებისა და სარგებლობის თავისუფალი მოქმედების შესახებ, შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები იმ ენაში,

რომელზეც ხორციელდება ეს მომსახურება და სარგებლობა. ფრანგული ენის ამ მნიშვნელობით გამოყენებადი სტატუსის მოსაპოვებლად, ფრანგული ენის სამივე საბჭომ თხოვნით მიმართა მთავრობას რეკომენდაცია მიეცა ფრანგული ენისათვის, რომლის მეშვეობითაც ამ უკანასკნელს საშუალება ექნებოდა სხვა ენების მსგავსი უფლებებით ესარგებლა ამ სფეროში, დაეცვა ფრანკოფონი მომხმარებლის უფლებები და პროდუქტი მიეწოდებინა თავის ენაზე, რითაც ხელს შეუწყობდა ლინგვისტური პოლიტიკის განვითარებას სამრეწველო დარგში.

ეს ახალი სფერო, რომელმაც დახმარებისათვის ენის ინფორმაციულ განმარტებას მიმართა, რეალურად განსაზღვრავს მნიშვნელოვან მიზანს ფრანგულის მომავლისათვის და საჭიროებს მრავალი სამინისტრო დეპარტამენტისა და სახელისუფლებო სფეროს შეთანხმებას, ასევე მნიშვნელოვან საერთაშორისო კოორდინირებას. ორთოგრაფიული და გრამატიკული კორექტორები, სტილისტური შემსწორებლები, დამხმარეები თარგმანში, ზეპირი ტექსტის წერილობითი ტრანსკრიბირება, მეტყველების სინთეზი — ყველა ეს სფერო უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფრანგულ ენაში, იმისათვის რომ ფრანგულმა შეძლოს მარგინალური დამოკიდებულების თავიდან აცილება იმ ენებთან მიმართებაში, რომლებიც დამკვიდრდნენ ამ ინფორმაციულ სფეროებში.

ბელგიაში, ფრანგული ენის წარმატების განმტკიცებას მრავალმა სფერომ შეუწყო ხელი: სამეცნიერო, ეკონომიკურმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ენის ინდუსტრიალიზაციამ, რის შედეგადაც ენის ქმედითუნარიანობის გაზრდისათვის საჭირო გახადა მისი კავშირი კულტურულ სფეროებთანაც, როგორც სამეცნიერო კვლევების საკითხში, ასევე საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობებშიც.

ფრანგული ენის განმტკიცებისვის ხელშეწყობის მიზნით წარმოებული სხვადასხვა მოქმედებები ყურადღებას ამახვილებენ ენასთან დაკავშირებული სოციალური ასპექტების ურთიერთობებზე.

ფრანგული ენის არსებობის გასაძლიერებლად, აუცილებელია მოქალაქეს დაეუბრუნოთ თავისი ენისადმი რწმენა. ამ მიზნით, 1995 წელს, იქმნება ახალი წამოწყება, რომელიც ცნობილია სახელით “ფრანგული ენის დღესასწაული” (La Langue française en fête). იგი მიზნად ისახავს შესთავაზოს ვალონიისა და ბრიუსელის მოსახლეობას თავიანთი მშობლიური ენის აბსოლუტურად განსხვავებული სურათი. ნორმატიული მეტყველებისგან განსხვავებით, რომელიც ხასიათდება ფრაზებით – “სწორია – არასწორია”, ასევე პესიმისტური ფრაზით –

“ფრანგული ენის კრიზისი”, “ფრანგული ენის დღესასწაული” მიზნად ისახავს აჩვენოს ფრანგული ენის სიმდიდრე და მთელი მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები; ყველას დაანახოს, რომ ფრანგული ენა ერთდროულად შეიძლება იყოს როგორც პიროვნული განვითარების გამოხატვის, ასევე სოციალური წინსვლისა და სიამოვნების მიღების საშუალება.

1995 წლიდან ეს დღესასწაული ბელგიაში იმართება ყოველწლიურად მარტის ბოლოს და იგი გრძელდება ერთი კვირის განმავლობაში, როცა საზოგადოება “ფრანგული ენის დღესასწაულს” სხვადასხვა საშუალებებით აღნიშნავს, რომლებიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი თამაშებით, კონკურსებით, ტელე და რადიო გადაცემებითა და მედიის დიდი მხარდაჭერით.

ბელგიაში ფრანგული ენის განვითარების საკითხში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფრანგული ენის უკეთ გაცნობას მათთვის, ვისთვისაც იგი არაა მშობლიური ენა. ეს აქცია ფრანგული საზოგადოების მიერ ვრცელდება სკოლებში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში.

ბელგიის სახელმწიფო ორგანიზაციები მარტო არ იყო ფრანგული ენის დაცვაზე ზრუნვის საკითხში. 1985 წლამდე ფრანგული ენის ხარისხის გასაუმჯობესებელ ინიციატივათა უმრავლესობა კერძო ასოციაციებიდან მომდინარეობდა.

1954 წლით დათარიღებული შარლ პლისნიეს საზოგადოებრივი დაწესებულება აწარმოებს ყოველწლიურ კამპანიას, რომელიც ორიენტირებული იყო ფრანგული ენის ხარისხზე და 1992 წლამდე ცნობილი იყო “კარგი მეტყველების ორკვირეულის” (Quinzaine du bon langage) სახელწოდებით, ხოლო 1993 წლიდან იწოდება “ფრანგულის ორკვირეულად” (Quinzaine du français). სწორედ ამ კამპანიასთან დაკავშირებით იქმნება კრებული “ლინგვისტური გაფრთხილებები” (mise en garde linguistique), რომელიც განიხილავს 15 ტერმინსა თუ გამოთქმას, რომლებსაც სწორად მიიჩნევს. კრებულში თავმოყრილია ისეთი ფრანგული ტერმინები თუ გამოთქმები, რომელთა გამოყენებაც ავტორს მიზანშეწონილად არ მიიჩნია; ან ბელგიციზმები და ანგლიციზმები. თითოეული ამ ტერმინის გვერდით მოცემულია მისი “სწორი” ფორმაც. თუმცა აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ აღნიშნული ორგანიზაციის მიერ ყოველწლიურად ნაწარმოები კამპანიის იდეას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ბელგიური ფრანგულის ორიგინალურობა და ინდავიდუალიზმი სწორედ ამ ბელგიციზმების მეშვეობით ვლინდება.

ამ წამოწეებამ, რომლის მეშვეობითაც დღემდე 500-მდე ფორმა გასწორდა, განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია გასული საუკუნის 80-ანი წლებში, რის შემდეგაც იგი განიცდის გარკვეულ უკანსვლას, რაც გამოწვეულია იმით, რომ ენის გამოყენების კონტექსტი შეიცვალა და დღესდღეობით პურისტული მეტყველება ნაკლებად მიღებულია; ამიტომაც ბელგიციზმებთან ბრძოლა, რომელიც წარმატებულ ხასიათს ატარებდა “კარგი მეტყველების ორკვირულში”, რის შედეგადაც იქმნებოდა წიგნები “ბელგიციზმებთან ბრძოლა” (Chasse aux belgicisms) 1971 წელს და “ხელახალი ბრძოლა ბელგიციზმებთან” (Nouvelle chasse aux belgicisms) 1974 წელს, დღესდღეობით აღარ მიიჩნევა პრიორიტეტულად. ამჯერად არა თუ არ კრძალავენ ბელგიციზმებს, არამედ პოულობენ და აღწერენ ისეთ ბელგიციზმებს, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ფრანგული ლექსიკონების შემადგენლობაში გვხვდებოდა. ეს მოძრაობა შესაბამისად იწვევს ფრანკოფონიის ევოლუციას.

1972 წელს ჟოზეფ ჰანსისა (Joseph Hanse) და ალბერ დოპანეს (Albert Doppagne) მიერ დაარსებული ორთოგრაფიის ჩემპიონატები დიდი წარმატებით სარგებლობს თანამედროვე ბელგიაში. ამ კონკურსში 1000-მდე ადამიანი მონაწილეობს, რაც ადასტურებს მათ სურვილს — მონაწილეობა მიიღონ ფრანგული ენის კორექციის საკითხში.

1976 წელს, ბელგიაში შეიქმნა “ფრანგული სახლი” (La maison Francité), რომელიც ორგანიზებას უკეთებდა ფრანგულ ენასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ექსპოზიციებს, კოლოქვიუმებს, კონფერენციებსა თუ პუბლიკაციებს.

აღსანიშნავია (1984 წელს) აღნიშნული ორგანიზაციის მიერ შექმნილი კრებული “ცოცხალი ფრანგულის კითხვები”-ს (“Questions du français vivant”) შესახებ, რომელიც 3 თვეში ერთხელ გამოდიოდა და რომელიც განიხილავდა არა მარტო ფრანგული ენის ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ მის სტატუსთან და მომავალთან დაკავშირებულ პრობლემებსაც. 1993 წლიდან იგი ყოველ 2 თვეში გამოდის და საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას ფრანგულ ენასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე და “ფრანგული სახლის” შესახებ, რომელიც ასევე დაკავებული იყო საგამომცემლო საქმიანობითაც.

“ფრანგული სახლის” ერთ-ერთი ყველაზე პრივილეგირებული საქმიანობა ანგლიციზმების წინააღმდეგ ბრძოლაა. ამ თემაზე შექმნილია მრავალი პუბლიკაცია თუ ექსპოზიცია. რამდენიმე სათაურიც ცხადყოფს ამ საქმიანობის მნიშვნელოვნებას: “ფრანგული ინგლისური საწებლით” (Le français à la sauce

anglaise) 1982წ; “ფრანგულ ფორმები ჩვენთან” (Images du français chez nous) 1985წ, “ანგლიციზმები და მისი ფრანგული შემცვლელები” (Anglicismes et substituts français) 1991წ და ა.შ. ...

სწორედ ამ მიმართულებით ჩამოყალიბდა 1983 წელს “ლექსიკონის სახელოსნო” (Atelier de vocabulaire) ბელგიაში, რომელიც 1991 წელს გადაიქცა “ცოცხალი ფრანგული ენის სახელოსნოდ” (Atelier de français vivant), რომლის მთავარ ინტერესსაც წარმოადგენდა საზოგადოებისთვის ინგლისური ტერმინების ფრანგული ეკვივალენტების მიწოდება. ამ სახელოსნოში შექმნილი ლექსიკური ჩამონათვალი იბეჭდება “ფრანგულ სახლში”.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ორგანიზაციები, სხვა მსგავსი დანიშნულების მქონე ორგანიზაციებთან ერთად, ზრუნავენ ფრანგული ენის ხარისხის დაცვაზე და მისი გამოყენების გაზრდაზე ბელგიაში.

საზოგადოებრივი ხელისუფლების ჩარევის აუცილებლობა ფრანგული ენის დაცვისა და წარმატების საკითხში, ახალი მეთოდია ბელგიის ფრანკოფონიაში.

ფრანკოფონთა საზოგადოების პირველი ჩარევა ენის საკითხში მოტივირებული იყო ფრანგულ ენაში ანგლო-ამერიკული ელემენტების არსებობის მზარდი რიცხვით, ასევე მისი სოციალურ-ეკონომიკური ყოფით სხვადასხვა სფეროში. ინგლისურის წინააღმდეგ მიმართული ეს ბრძოლა ჯერ ისევ რჩება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ფრანკოფონი სახელმწიფოების ლინგვისტური პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხად.

დ ა ს კ ვ ნ ა

ბელგიური ფრანგული ენა მარგინალური არეალის მაგალითად გვევლინება, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვითარდებოდა საფრანგეთის სახელმწიფო საზღვრებს გარეთ, რის გამოც იგი მოცილებული იყო ფრანგული ენის ცენტრალურ ნაწილად აღიარებული პარიზის ძირითად ინოვაციებსა და სალიტერატურო ნორმებს. ამიტომაც, ბელგიური ფრანგული გამოირჩევა მეტი სტაბილურობით სტანდარტულ ფრანგულ ენასთან შედარებით და განსაკუთრებული ორიგინალობით, რაც განპირობებულია იმით, რომ თავისი განმტკიცების პერიოდში (XII-XIVსს), რომელიც ქრონოლოგიურად ემთხვეოდა ფრანგული სალიტერატურო ენის დასაწყისს (X-XIIIსს), რომანულ ბელგიურში გავრცელებული ვალონური დიალექტი ცენტრალურფრანგული ზონისაგან უკვე გამოყოფილი იყო ამ ქვეყნებს შორის არსებული სახელმწიფო საზღვრით.

ბელგიური ფრანგულის თავისებურებების განხილვისას ვლინდება მისი სპეციფიკა, რაც განსაზღვრავს ბელგიური ფრანგულის სტატუსს ფრანგული ენისა და მისი რეგიონალური ფორმების ლინგვისტურ სიტუაციაში.

ნაშრომში ჩვენ გავაანალიზეთ ბელგიური ფრანგულის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ელემენტები, ის ფაქტები, რომლებმაც მასზე გავლენა მოახდინეს და ის მიზეზები, რითაც იგი განსხვავდება საფრანგეთის ფრანგულისაგან. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ვალონურ დიალექტზე და მის სხვადასხვა ფაზებზე, რომლებმაც უკანსვლა დაიწყო ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად, თუმცა დღესაც გამოიყენება ვალონური მოსახლეობის გარკვეული ფენების მიერ. ჩვენი დაკვირვებები დასკვნის სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ბელგიის სახელმწიფო, ადმინისტრაციულის გარდა, ენობრივი საზღვრის არსებობითაც გამოირჩევა, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს რომანულ და გერმანიკულ ლინგვისტურ ოჯახებს. ჩვენ განვიხილეთ ამ საზღვრის წარმოქმნის გამომწვევი მიზეზები, რომლის არსებობის საწყისები გალიის ტერიტორიაზე კელტების გამოჩენიდან შეიმჩნეოდა, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა რომანულ ეპოქაში, როცა იულიუს კეისრის მიერ დაპყრობილმა ჩრდილოეთ გალიის სამხრეთ ნაწილმა განიცადა რომანიზაცია, ხოლო მისი ჩრდილოეთ ტერიტორია გერმანულენოვანი დარჩა. ანტიკურ ეპოქაში, ენობრივი საზღვრის საბოლოო

გამიჯვნა ხდება ფრანკების დამკვიდრებით თანამედროვე ლინგვისტური საზღვრის ჩრდილოეთით.

2. რომანულ-გერმანიკული ენობრივი საზღვარი X საუკუნეში წარმოიშვა და თავდაპირველად დიალექტური ხასიათისა იყო, რადგანაც ამ პერიოდში იგი ერთმანეთისგან გამოყოფდა ქვემო-გერმანიკული ოჯახისა და ნეო-ლათინური ოჯახის კილოებს; თუმცა დღესდღეობით ესაა სტანდარტულ ენათა გამმიჯნავი საზღვარი ფრანგულ და ნიდერლანდურ ენებს შორის.

3. ბელგიაში ფრანგული ენა მკვიდრდება ჩრდილოეთ გალიის რომანიზაციის შედეგად, როცა ლათინური ენა ვრცელდება ჩრდილოეთ გალიის სამხრეთ ნაწილში. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, მრავალი საუკუნის განმავლობაში ვალონია დაკავებული ჰქონდათ ფრანკებს, რომელთა ენამაც მრავალი კვალი დატოვა ვალონურ მეტყველებაზე.

4. თავდაპირველად ბელგიაში ვალონური დიალექტი და ფრანგული ენა განიცდიდა ლათინური ენის გავლენას, “კაროლინგების რეფორმამ” ქვეყნის ცხოვრებაში გამოიწვია ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური ცვლილებები. თუმცა “კაროლინგების რეფორმამ” გარკვეულწილად ხელი შეუწყო ფრანგული ენის განვითარებას, რადგან მათ მიერ აღდგენილი ლათინური უცხო იყო საზოგადოებისათვის, რის გამოც საჭირო გახდა ახალი ენის შექმნა და ეს ენა გახდა ფრანგული.

5. ფრანგული, როგორც სალიტერატურო ენა, თანდათან მკვიდრდება შუა საუკუნეების ვალონიაში. XIII საუკუნიდან იგი ადმინისტრაციულ სფეროშიც იკავებს ლათინურის ადგილს, თუმცა ფამილიარულ ურთიერთობებში ჯერ ისევ ვალონური დიალექტი გამოიყენება. სამეფო კარი ხელს უწყობს ფრანგული ენის პრესტიჟის გაზრდას, რასაც მოყვება ბელგიის მაღალი საზოგადოების თანდათანობითი ფრანციზაცია.

6. XIII საუკუნიდან ფრანგული მაღალი საზოგადოების ენად იყო მიჩნეული და ამ პერიოდის ბელგიაში ენობრივი საზღვარი სოციალურ ხასიათს ატარებდა: მაღალი საზოგადოება ფრანგულად ლაპარაკობდა მაშინ, როცა უბრალო ხალხი უპირატესობას დიალექტებს ანიჭებდა. მსგავსი ლინგვისტური განწყობა ბელგიელ მოსახლეობას XIX საუკუნის ბოლომდე შემორჩა. თუმცა აქ საუბარი უმეტესწილად რომანული ბელგიის პერიფერიულ ტერიტორიებს შეეხება, ხოლო რაც შეეხება ურბანულ მოსახლეობას, მათი ფრანციზაცია გაცილებით ადრე მოხდა.

7. ქვეყნის დედაქალაქი — ბრიუსელი, რომელიც ფლანდრიის ტერიტორიაზე მდებარეობს, შუა საუკუნეებიდან თანდათანობით განიცდიდა ფრანციზაციას, რაშიც მას ხელს უწყობდა სამეფო კარზე და ბელგიელ მაღალ საზოგადოებაში ფეხმოკიდებული ფრანგული ენა, რომელიც ამ პერიოდში მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში კულტურის ენად იყო აღიარებული; ასევე ბრიუსელში იმიგრირებული ვალონელები; ასევე ფრანგული ენის სავალდებულო სწავლება სკოლებში და ფრანგულ ენაზე წარმართული ღვთისმეტყველება.

8. ფრანგული ენა რომანულ ბელგიად წოდებულ ვალონიის ტერიტორიაზე ვრცელდება, სადაც გავრცელებულია ვალონური დიალექტი, რომელიც, თავის მხრივ, განასხვავებს რეგიონალურ დიალექტურ ზონებს: აღმოსავლეთ-ვალონურს, ე.წ. ლიევის ზონას, ცენტრალურ ვალონურს, გარდამავალ ვალო-პიკარდიულ ზონას ქვეყნის დასავლეთით და ვალო-ლოტარინგულს — სამხრეთით.

9. ვალონური დიალექტი გამოიყენება ბელგიელი ფრანკოფონების მიერ, განსაკუთრებით კი უფროსი თაობის წარმომადგენლებში. დიალექტური ფორმები მკვიდრდება ყოველდღიურ მეტყველებაში. ეს დიალექტური ფორმები ორ ჯგუფად გაყვავით, პირველში თავმოყრილია ისეთი ვალონიზმები, რომლებმაც უცვლელად შეინარჩუნეს თავიანთი ფორმა, ხოლო მეორეში ვხვდებით ტერმინებს, რომლებმაც განიცადეს ფრანციზაცია. ბელგიური ფრანგულისთვის დამახასიათებელი ამ არქაიზმების არსებობა აიხსნება მისი პერიფერიული მდგომარეობით ფრანგული ენის პარიზულ ნორმასთან შედარებით.

10. განვიხილეთ მკვლევართა მოსაზრებები ბელგიური ფრანგული ენის წერილობითი ფორმის შექმნის შესახებ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ შუასაუკუნეებში ფრანგული წერილობითი ენა შეიქმნა არა რომელიმე ერთი დიალექტისაგან, არამედ ლათინური ენისა და რომის იმპერიის პერიოდში ჩრდილოეთ გალიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სხვადასხვა დიალექტის ლექსიკური ერთეულების შერწყმის შედეგად. ამ მოსაზრების მართებულობაში ისიც გვარწმუნებს, რომ პირველი წერილობითი ტექსტები თარიღდება უფრო ძველი პერიოდით, ვიდრე ფრანსიული დიალექტი მოიპოვებდა გარკვეულ პრივილეგიებს სხვა დიალექტებთან მიმართებაში.

11. ბელგიური ფრანგულისათვის დამახასიათებელი თავისებურებანის უკეთ შესასწავლად ჩავატარეთ ექსპერიმენტი, რომლის შედეგებსაც განვიხილეთ ნაშრომის მესამე თავში. ამ ექსპერიმენტის შედეგად გამოვავლინეთ ბელგიური

ფრანგულის ისეთი ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებანი, რომელიც მას განასხვავებს სტანდარტული ფრანგულისაგან, კერძოდ:

- სამი სახის აქცენტი: ბრიუსელური (ანუ ფლამანდიური), ვალონური (რომელშიც გამოიყოფა ლიეჟის, ნამურის, შარლერუას და ბრაბანის აქცენტები) და პიკარდიული (რომელიც თითქმის იდენტურია ჩრდილოეთ საფრანგეთის აქცენტისა);
- საარტიკულაციო ორგანოების ნაკლებდაჭიმულობა (სტანდარტულ ფრანგულთან შედარებით), რაც აიხსნება სუბსტრატის გავლენით (ბრიუსელში – გერმანიკულით, ვალონიში კი – რომანულით);
- ბელგიური ფრანგული ენის ისტორიული ევოლუციის ფონეტიკური ცვლილებები: მახვილიანი მარცვლის არაფიქსირებული ადგილი სიტყვაში, რითმიული ჯგუფების არარსებობა, "w"-ზე დაწყებული ფრანკული წარმოშობის სიტყვების არსებობა, "c"-სა და "g"-ს პალატალიზაცია "a"-ს წინ;
- ხმოვანთა გრძლიობა, მიუხედავად სიტყვაში მათი პოზიციისა და ორალურობა-ნაზალურობისა;
- სიტყვის ბოლოში [b], [d], [g], [v] თანხმოვნების დაყრუება სონანტების [l], [r]-ს წინ და ამ უკანასკნელთა არწარმოთქმა;
- ბოლოკიდური ხმოვნების დაგრძელება ან ნახევრად დაგრძელება;
- ბოლოკიდური მახვილიანი დახურული [e]-სა და [o]-ს ღიად წარმოთქმა;
- [ɑ̃] და [ɔ̃] ცხვირისმიერ ხმოვანთა იდენტური წარმოთქმა;
- დიფთონგების შემადგენელ ხმოვანთა, დამოუკიდებელ ხმოვნებად წარმოთქმის ტენდენცია, ასევე ბოლოკიდური ხმოვნების დიფთონგიზაციის ტენდენციაც;
- ნახევარხმოვან [Y]-ს არარსებობა და მისი შეცვლა [w]-თი;
- ნახევარხმოვნების – [j]-სა და [w]-ს ხშირი გამოყენება, რაც იწვევს დიფთონგთა წარმოქმნას;
- ბოლოკიდური მჟღერი თანხმოვნების [b], [d], [g], [v], [ʒ]-ს – დაყრუება: [p], [t], [k], [f], [ʃ]-დ წარმოთქმა;
- მჟღერების დაყრუება სიტყვის შუაშიც, მარცვლის ბოლოკიდურ პოზიციაში;
- ბოლოკიდური [t]-ს წარმოთქმა;

- ფრანგული ფვინიერი [h]-ის წარმოთქმა (გერმანიკული სუბსტრატის გაგლენა);
- შეერთება ill-ში [l]-ს წარმოთქმა...
- ბელგიური ფრანგულის გრამატიკული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ყველაზე თვალშისაცემი თავისებურებაა ზედსართავი სახელის პრეპოზიციული წყობა;
- არსებითი და ზადსართავი სახელის მდებარეობითი სქესის განსხვავებული წარმოება ცალკეულ შემთხვევებში;
- ბელგიურ ფრანგულში ისეთი ზედსართავი სახელების არსებობა, რომლებიც უცხოა მეტროპოლის ენისათვის;
- განსაზღვრული არტიკლის გამოყენების გამოტოვების სისწორე;
- მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის II პირის ნაცვალსახელთა ფორმების საყოველთაო არევა; ასევე უპირო ნაცვალსახელ "on"-ს მნიშვნელობით გამოყენებული სხვადასხვა პირის ნაცვალსახელები;
- სტანდარტული ფრანგულის ზოგიერთი არანაცვალსახელოვანი ზმნა ბელგიურ ფრანგულში ხდება უკუქცევითი და პირიქით;
- მორფოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალშისაცემია განსხვავება ბელგიური ფრანგულისა და სტანდარტული ფრანგულის წინდებულების გამოყენების საკითხში. ხშირია შემთხვევები, როცა ერთი წინდებული გამოიყენება მეორეს მნიშვნელობით;
- ბელგიური ფრანგულის ლექსიკა განვიხილეთ 2 მიმართულებით: მისი გეოლინგვისტური და სემანტიკური ნიშან-თვისებებით. გეოლინგვისტური თვალსაზრისით გამოიყოფა სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გავრცელებულია მთელს ბელგიაში (connu dans toute la Belgique), ბელგიის რომელიღაც ნაწილში (connu dans une partie de la Belgique), და რომლებიც უცნობია ბელგიისათვის (inconnu en Belgique);
- სემანტიკური თვალსაზრისით, განვიხილეთ აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ურთიერთმიმართება და ამ ურთიერთმიმართების რამდენიმე ვარიანტი;
- გამოვეყავით ისეთი რეგიონალიზმებიც, რომლებიც სრულიად უცნობია საფრანგეთში. ისინი შეიძლება გამოიყენებოდნენ ბელგიის რეგიონალურ

ფრანგულში ან გავრცელებული იყვნენ რომანული ბელგიის რომელიმე დიალექტში;

- გავრცელების თვალსაზრისით, გამოიყოფა ბელგიციზმების სამი სახეობა: პირველი, სადაც გაერთიანებულია ბელგიციზმები, რომელთა გავრცელების საზღვრები ემთხვევა სახელმწიფო საზღვრებს და ქვეყნის ფრანკოფონი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ გამოიყენება; მეორე სახეობაში გაერთიანებულია სიტყვები, რომლებიც არათუ სცილდებიან ბელგიის საზღვრებს, არამედ გამოიყენებიან მხოლოდ მის ცალკეულ რეგიონებში. ასეთი ელემენტები ყველაზე ხშირად გამოიყენება ლიეჟის რეგიონში; მესამე სახეობაში კი პირიქით, გაერთიანებულია ისეთი ბელგიციზმები, რომლებიც ხშირად შეცდომით მიჩნეულნი იყვნენ იმ სიტყვების თანასწორად, რომლებიც დამახასიათებელი იყო საფრანგეთისთვისაც ბელგიის მოსაზღვრე რეგიონებში ან კიდევ სხვა ფრანკოფონი ქვეყნებისათვის (კერძოდ კანადისა და შვეიცარიის);

თუმცა ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად გამოვლენილი ამ მრავალი ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურების მიუხედავად, ბელგიელი ფრანკოფონის საუბარი მაინც გასაგებია სტანდარტული ფრანგული ენით მოსაუბრისათვის.

